



კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმა



თებერვალი, 2025

ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია “ეკოტონი“-ის სამუშაო ჯგუფის ესპერტები

რუსუდან ჭოჭუა

ლია მაჭავარიანი

ნინო ჯამასპიშვილი

ვაჟა ტრაპაიძე

ზურა ჯავახიშვილი

გიორგი მახარაძე

იზოლდა ხოხაშვილი

არჩილ გუჩმანიძე

მაკა მურვანიძე

ნოდარ ელიზბარაშვილი

ხათუნა წიკლაური

იზოლდა მაჭუტაძე

გაბრიელ მაზმიშვილი +

ჰარალდ ლოიმენსი

შინაარსი

1. შესავალი.....	4
2. საკვლევი ტერიტორიის აღწერა.....	6
2.1 კოლხეთის ეროვნული პარკი, მდებარეობა და ფართობი.....	6
2.2 გეოეკოლოგიური მახასიათებლები.....	9
2.2.1 გეოლოგიური აგებულება.....	9
2.2.2 ჰიდროგეოლოგია.....	10
2.2.3 რელიეფი.....	11
2.2.4 ნიადაგები.....	13
2.2.5 კლიმატი.....	15
2.2.6 ლანდშეფტები.....	16
2.2.7 ბიომრავალფეროვნება.....	17
2.2.7.1 ფლორა.....	18
2.2.7.2 ფაუნა.....	37
<i>Leistus femoralis Chaudoir, 1846</i>	50
2.2.8 ჰაბიტატები.....	67
2.2.9 ეკოსისტემური სერვისები.....	71
2.3 სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები.....	73
2.3.1 ბუნებრივი რესურსები.....	73
2.3.2 მოსახლეობა.....	73
3.1 ტბები.....	76
3.2 ჭაობები.....	77
3.3 მდინარეები.....	78
3.4 შავი ზღვის აკვატორია.....	79
3.5 მიწისქვეშა წყლები.....	80
3.6 წყალდაცვითი ზონები.....	81
3.7 პალიასტომის ტბის ჰიდროქიმიური მახასიათებლები.....	82
4. კვლევის მეთოდოლოგია.....	113
4.1 ძირითადი მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	113
4.2. წყლის რესურსების მართვის გეგმის საკანონმდებლო საფუძვლები.....	116
4.2.1 ეროვნული კანონმდებლობა.....	116
4.2.2 საერთაშორისო კონვენციები და დირექტივები.....	119
4.3. წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავების ეტაპები.....	121
5. შედეგები.....	126
26	
6. წყლის ობიექტების საინფორმაციო ბარათები და მართვის გეგმა.....	131
6.1 კოლხეთის ეროვნული პარკის ერთიანი საინფორმაციო ბარათი.....	131
6.2 წყლის ობიექტების ზოგადი შეფასების ბარათები.....	134
6.3 წყლის ობიექტების მართვის გეგმა.....	150

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის მომზადების წინასაპროექტო ანგარიშს, რომელიც შემუშავებულია არასამთავრობო ორგანიზაცია “ეკოტონი“-ის მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით, საქართველოსა და შვედეთის სამეფოს მთავრობებს შორის, 2021 წლის დეკემბერში გაფორმებული საგრანტო შეთანხმებით გათვალისწინებული და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“-ს ფარგლებში. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაზრდა ეროვნულ დონეზე მიმდინარე ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის გაუარესებისა და სახეობების კარგვის შესაჩერებლად, ჰაბიტატების დეგრადაციის და განადგურების, ბუნებრივი რესურსებით არამდგრადი სარგებლობის, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარების საშუალებით.

კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის მომზადება ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტებისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და დირექტივების გათვალისწინებით, თანამონაწილეობით პრინციპებზე დაყრდნობით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, სხვა საჯარო და არასამთავრობო უწყებებთან, ადგილობრივი თემების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.

კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის მომზადების პროცესი ითვალისწინებს როგორც კოლხეთის ეროვნული პარკის და იქ არსებული წყლის რესურსების მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის იდენტიფიცირებას, გაცნობასა და დამუშავებას, ასევე სხვა და სხვა მიმართულებით სავსე კვლევა/დათვალიერებას, მასალის ლაბორატორიულ კვლევა/ანალიზს და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს.

პროექტის მიზანს წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავება, დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებული წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობის მიზნით, რაც უნდა განხორციელდეს წყლის რესურსების ამჟამინდელი მდგომარეობის/სტატუსის შესწავლის საფუძველზე გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების გათვალისწინებით შემუშავებული მართვის ძირითადი პრინციპების თანახმად.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრინციპები მნიშვნელოვნადაა განპირობებული საზღვაო მდებარეობის მქონე ქვეყნის სპეციფიკით, გეოეკოლოგიური, ლანდშაფტური, კულტურული, ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნებით. საქართველო, როგორც კავკასიის ეკორეგიონის უნიკალური ბუნებრივი გარემოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი,

მსოფლიოში არსებულ მთელ რიგ სხვა რეგიონებთან შედარებით ბუნებრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ შედარებით ნაკლებად სახეცვლილი ტერიტორიების კატეგორიას მიეკუთვნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების პოლიტიკის მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობა და შესაბამისად ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ინტერესების თანაბარზომიერი გათვალისწინება. აღნიშნულის უზრუნველ-საყოფად კი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების უზრუნველყოფას, მეორეს მხრივ კი გარემოს დაცვასა და მისი უნიკალური კომპონენტების კონსერვაციას. საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია წყლის რესურსები, რომელთაც ქვეყნისათვის ეკოლოგიურ ღირებულებასთან ერთად, ქვეყნის განვითარებისათვის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია, რაც თავისთავად მათი მდგრადი მართვის საჭიროებასა და აუცილებლობას განაპირობებს.

საქართველოში არსებული უნიკალური ბუნებისა და მრავალფეროვანი ლანდშაფტების დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის უზრუნველსაყოფად დღესდღეობით ბუნების დაცვის კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN)- ის კრიტერიუმების მიხედვით 6 (ექვსი) სხვადასხვა კატეგორიის 100 (ასი) დაცული ტერიტორიაა შექმნილი, კერძოდ, თოთხმეტი სახელმ-წიფო ნაკრძალი, თოთხმეტი ეროვნული პარკი, ორმოცი ბუნების ძეგლი, ოცდაექვსი აღკვეთილი, ხუთი დაცული ლანდშაფტი და ერთი მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. საქართველოში არსებული პირველი ოთხი კატეგორიის დაცული ტერიტორიების მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) დაცული ტერიტორიების სააგენტო და მის დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიული ადმინისტრაციები. დაცული ლანდშაფტებისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების მართვაზე კი პასუხისმგებელია ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

კოლხეთის ეროვნული პარკი საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომლის დაარსების მიზანია კოლხეთის დაბლობზე არსებული უნიკალური ეკოსისტემების, მიგრირებადი და წყალმცურავი ფრინველებისათვის საბინადრო გარემოს დაცვისა და აღდგენის ხელშეწყობა, ბუნებრივი ჰაბიტატების, როგორცაა სფაგნუმიანი ტორფნარები, რელიქტური ტყეები, ტბები და ტბორები, გლობალური თუ ეროვნული წითელი ნუსხის, ენდემური და რელიქტური სახეობების უნიკალური ჰიდროლოგიური რეჟიმის დაცვა და აღდგენა, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის მომზადება ხელს შეუწყობს, როგორც მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და დაცვას, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია რეგიონის სოციო-ეკონომიკური პოტენციალით მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად სარგებლობისათვის.

2. საკვლევი ტერიტორიის აღწერა

2.1 კოლხეთის ეროვნული პარკი, მდებარეობა და ფართობი

კოლხეთის დაცული ტერიტორიები საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილია, რომელიც 1998 წლის საქართველოს კანონის “კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ” შესაბამისად, მოიცავს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებს: კოლხეთის ეროვნული პარკი; ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი; ქობულეთის აღკვეთილი; კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

თავის მხრივ, კოლხეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობია 44'980 ჰა. აქედან, 29'229 ჰა სახმელეთო ფართობია, ხოლო ზღვის აკვატორიის – 15'751 ჰა.

ეროვნული პარკი კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჰარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი. გამოირჩევა ველური ფლორისა და ფაუნის მაღალი ბიომრავალფეროვნებით, ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვით, სადაც სხვადასხვა ტიპის ლანდშაფტები, ცალკეული ეკოსისტემები და ცენოზებია წარმოდგენილი. კოლხეთის ეროვნული პარკი მნიშვნელოვანია როგორც მიგრირებად, მიმომფრენ და წყალმცურავ ფრინველთა საბინადროდ ვარგისი არეალი, ასევე როგორც შავი ზღვის ზუთხისებრთა ოჯახის თევზების ტოფობის (განაყოფიერების) ადგილი (მდ. რიონის შესართავის 9 კმ-იანი მონაკვეთი).

კოლხეთის ეროვნული პარკი დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მდებარეობს და მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. ეროვნული პარკი განთავსებულია ფოთის, ხობის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და სენაკის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე), რომლებიც საქართველოს ორი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების – სამეგრელოსა და გურიის ნაწილს წარმოადგენს.

კოლხეთის დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია ეფუძნება “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილ დაცული ტერიტორიების ზონირების პრინციპს, რომლის შესაბამისად დაცული ტერიტორიის თითოეული კატეგორიის კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში შეიძლება მოეწყოს (გამოიყოს) ამავე კანონით განსაზღვრული ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონა/ზონები. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შემდეგი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონები ეწყობა:

- ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;
- ბ) ბუნების მართვადი დაცვის ზონა;
- გ) აღდგენის ზონა;
- დ) ტრადიციული გამოყენების ზონა;
- ე) ვიზიტორთა ზონა;
- ვ) ისტორიულ-კულტურული ზონა;
- ზ) ადმინისტრაციის ზონა.

კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონა “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში დაშვებულია მხოლოდ: არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა; საგანმანათლებლო საქმიანობა; სამსახურებ-რივი მოვალეობების შესრულების მიზნით კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის პერსონალის ავტომობილო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება; მონიტორინგის სამუშაოების წარმოება; საკადასტრო სამუშაოების განხორციელება; ბუნების მკაცრი დაცვის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფიზიკური დაცვა); უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება; ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება კანონით განსაზღვრული წესით დადგენილ საზღვრებში განსაზღვრული წესით დადგენილ საზღვრებში.

კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვის ზონა, “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ეწყობა გარემოს დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის, აგრეთვე მანიპულაციური სამეცნიერო კვლევის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ბუნების მართვადი დაცვის ზონაში დაშვებულია მხოლოდ: არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევები; საგანმანათლებლო საქმიანობა; ეკოტურიზმი; აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება; სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომობილო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება; მონიტორინგის სამუშაოების წარმოება; საკადასტრო სამუშაოების განხორციელება; ბუნების მართვადი დაცვის ზონის კანონმდებ-ლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ბუნების მართვადი დაცვის ზონის ფიზიკური დაცვა); უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება; ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება კანონით განსაზღვრული წესით დადგენილ საზღვრებში.

კოლხეთის ეროვნული პარკის აღდგენის ზონა, “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ეწყობა ანთროპოგენური ჩარევით დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების დაცვა-აღდგენისათვის. აღდგენის ზონაში დაშვებულია მხოლოდ: არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევები; აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება; სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომობილო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება; მონიტორინგის სამუშაოების წარმოება; საკადასტრო სამუშაოების განხორციელება; აღდგენის ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (აღდგენის ზონის ფიზიკური დაცვა); უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება.

კოლხეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა, “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ეწყობა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვისა და თვითმყოფადი გარემოს შენარჩუნებისათვის. ტრადიციული გამოყენების ზონის ძირითადი მიზანია განახლებადი ბუნებრივი რესურსების კონტროლი-რებადი და მდგრადი გამოყენება ეკოსისტემების დაცვისა და მონიტორინგის აუცილებელი

განხორციელებით. ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია მხოლოდ: ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებისა და ბუნებრივი პროდუქტიულობის გათვალისწინებით ლიმიტირებული ძოვება, თიბვა, თევზჭერა და საშემე მერქნის დამზადება; არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევები; საგანმანათლებლო საქმიანობა; ეკოტურიზმი, მათ შორის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ვიზიტორთა გადაადგილება განსაზღვრული წესით დადგენილ საზღვრებში (ქვეითად, ცხენით, ნიჩბიანი ან ელექტროძრავიანი ნავით); აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება; მონიტორინგის სამუშაოების წარმოება; საკადასტრო სამუშაოების განხორციელება; სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომობილ-, საჰაერო და სანაოსნო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება; ტრადიციული გამოყენების ზონის ფიზიკური დაცვის მიზნით აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონა ეწყობა ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ვიზიტორთა ზონის თითოეული კონკრეტული უბნის ფარგლებში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული კოლხეთის ეროვნული პარკის იმ ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონის რეჟიმით, რომლის ტერიტორიის ნაწილსაც მოიცავს აღნიშნული უბანი.

კოლხეთის ეროვნული პარკის ისტორიულ-კულტურული ზონა ეწყობა ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტების და/ან არქიტექტურული ძეგლების დაცვა-აღდგენის, რეკრეაციის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ისტორიულ-კულტურული ზონის მოწყობის ძირითადი მიზანია აგრეთვე ზონის ფარგლებში მდებარე ისტორიულ-კულტურული ძეგლებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაცვა და კონსერვაცია. ისტორიულ-კულტურულ ზონაში დაშვებულია მხოლოდ: საგანმანათლებლო საქმიანობა; ტურიზმი; აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება და კონსერვაცია; სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით ავტომობილ- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება; მონიტორინგის სამუშაოების წარმოება; საკადასტრო სამუშაოების განხორციელება; ისტორიულ-კულტურული ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ისტორიულ-კულტურული ზონის ფიზიკური დაცვა); უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება; ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება.

კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ზონა ეწყობა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განსათავსებლად. ადმინისტრაციის ზონაში დაშვებულია მხოლოდ: არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა; საგანმანათლებლო საქმიანობა; ტურიზმი; მონიტორინგის სამუშაოების წარმოება; საკადასტრო სამუშაოების განხორციელება; ადმინისტრაციის ზონის კანონ-მდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ადმინისტრაციის ზონის ფიზიკური დაცვა); ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება; ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება; ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი სამუშაოების წარმოება.

2.2 გეოეკოლოგიური მახასიათებლები

კოლხეთის დაბლობი მოიცავს აკუმულაციურ ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე სტრუქტურულ-ეროზიულ გორაკ-ბორცვებს ზ.დ. 200 მ სიმაღლეზე. კოლხეთის დაბლობი ოდნავ დახრილია შავი ზღვისაკენ და მცირე სიღრმის ხეობებით იკვეთება. მას სამკუთხედის ფორმა აქვს, ფუძით შავ ზღვას ებჯინება, წვერი აღმოსავლეთისკენ ვრცელდება.

2.2.1 გეოლოგიური აგებულება

კოლხეთის დაბლობი აგებულია პლეისტოცენური და ჰოლოცენური თიხნარებით, ქვიშებითა და რიყნარით. დაბლობის მიმდებარე სტრუქტურულ-ეროზიული გორაკ-ბორცვები კი დისლოცირებული კაინოზოური ასაკის ნალექებით. კოლხეთის დაბლობის თანამედროვე მორფოსტრუქტურული სახე ძირითადად გეოლოგიური აგებულებითა და გეოლოგიური განვითარების ისტორიითაა განპირობებული. კოლხეთის განვითარების მთავარი პროცესის მისი გეოტექტონიკური ბუნებითაა განპირობებული, კერძოდ მისი კუთვნილებით მედიანური მასივისადმი, რომელიც დიდი და მცირე კავკასიონის ნაოჭა მთიან სტრუქტურებს შორისაა განლაგებული. კოლხეთის დაბლობი ამ მედიანური მასივის დასავლეთ ნაწილშია წარმოდგენილი.

კოლხეთის ფარგლებში საკმაოდ ფართო გავრცელება აქვს იურულ, ცარცულ, პალეოგენურ და ნეოგენურ ნალექებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, მეოთხეული წარმონაქმნებითაა გადაფარული. ეს ნაფენები მედიანური მასივის დანალექ საფარს შეადგენენ, რომლის მეზოზოურამდელი კრისტალური ფუძე დაბლობის აღმოსავლეთისკენ შიშვლდება.

მეოთხეული ნაფენები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული კოლხეთის დაბლობის ფარგლებში და სხვადასხვა გენეტიკური ტიპებითაა წარმოდგენილი – ზღვიური, მდინარეული, ტბიური, ჭაობური, დელუვიურ-პროლუვიური და ელუვიური წარმონაქმნებით.

ჰოლოცენის ალუვიურ-ზღვიური და ალუვიურ-ჭაობური წარმონაქმნების სიმძლავრე 40 მ-ს აღწევს. ყველაზე ახალგაზრდა ზღვიური ნალექებისგანაა აგებული 100-200 მ (ზოგან 1 კმ) სიგანის სანაპირო ზოლები, დიუნები და პლაჟები. კოლხეთის სანაპირო ზოლის ცენტრალური ნაწილი ქვიშებითაა წარმოდგენილი, რომლებიც 5 მ-მდე სიმაღლის დიუნებს ქმნის. მათში დიდი რაოდენობით გვხვდება თანამედროვე ზღვის ფაუნა. კოლხეთის მდინარეების ველებზე თანამედროვე ალუვიონი ჭალებსა და დაბალ ტერასებს ქმნის და წარმოდგენილია სხვადასხვა სიმძლავრის (30-35 სმ-მდე) კენჭებით, ქვიშებით და თიხნარებით. დაბლობის პერიფერიული ნაწილებიდან მის ცენტრალური ნაწილისკენ ხდება მსხვილმარცვლოვანი ალუვიური მასალის ფაციალური ჩანაცვლება თიხოვანი წარმონაქმნებით. ტბიურ-ჭაობური და ჭაობური ნაფენები ძირითადად დაბლობის სანაპირო ზოლსა და ცენტრალურ ნაწილშია გავრცელებული. ამ მონაკვეთებში ტბიურ თიხიან ნაფენებზე ტორფიანი მასივები და ტორფნარებია განვითარებული, პალეოსტომის ტბის ფსკერზე კი საპროპელი და დიატომიტის დეპოზიტები გვხვდება. მათი სიმძლავრე 12 მერამდეა. დელუვიურ-პროლუვიური ნაფენებითაა გადაფარული მდინარეული ტერასები. ისინი წარმოდგენილია 10 მ-მდე სიმძლავრის თიხებით, თიხნარებით, ხრეშით და

გრავილებით. ელუვიური წარმონაქმნები გავრცელებულია მესამეული ქვიშიან-თიხიან ნაფენების გავრცელების რაიონებში, სადაც ისინი ყვითელი თიხებითაა წარმოდგენილი ნატეხი მასალის მინარევებით; ასევე ვულკანოგენური ქანებისა და პორფირიტული კონგლომერატების გამოკვეთის რაიონებში, სადაც გვხვდება რკინის შენაერთებით გამდიდრებული 15 მეტრამდე სიმამლავრის წითელმიწები გვხვდება.

2.2.2 ჰიდროგეოლოგია

კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს ჰიდროგეოლოგიური ოლქის ე.წ. ქართული ბლოკის არტეზიული აუზების დასავლეთ ჩაძირულ ნაწილს. აღნიშნული ოლქი მთათაშორის დეპრესიას წარმოადგენს და აგებულია ძირითადად მეზოკაინოზოური ნაფენების დანალექი კომპლექსით. კოლხეთის დაბლობის დიდ სიღრმეში განფენილია ძალზე ნელი წყალგაცვლის ზონა. მისი ქვედა საზღვარი კრისტალური სუბსტრატის ზედაპირს წარმოადგენს, ზედა საზღვარი კი – წყალგაუმტარი ეკრანია, რომელიც აქტიური წყალგაცვლის ზონის ქვეშაა განფენილი.

კოლხეთის დაბლობის მიწისქვეშა წყლების დაგროვებასა და მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ტექტონიკური რღვევები ასრულებენ. ისინი მიწისქვეშა წყლების მნიშვნელოვანი მასების გადაადგილებას განაპირობებენ ქვედა ჰორიზონტებიდან ზედა ჰორიზონტებისაკენ, რითაც ჰიდროქომიურ და გეოთერმულ ანომალიებს ქმნიან ჰიდროგეოლოგიური ჭრილის ზედა შრეებში.

კოლხეთის დაბლობის ფარგლებში თანამედროვე ალუვიური ნაფენები განსაკუთრებით გავრცელებულია შედარებით მსხვილი მდინარეების (რიონი, ხობი, აბაშა, ტეხურა, ენგური და სხვ.) გასწვრივ, სადაც მათ ჭალები და პირველი ტერასები უკავია. მათი გავრცელების ზოლის სიგანე 3-4 კმ-ს აღწევს. ისინი განფენილია ძირითადად ზღვიურ ალუვიურ ნაფენებზე. ჰორიზონტი ალუვიური ქვიშებით (თიხნარების, ქვიშნარებისა და თიხის შრეებითა და ლინზებით), ხრეშით, ქვებით და ლოდებითაა აგებული. ნატანის გრანულომეტრიული შედგენილობის ცვლილება მდინარის დინების მიხედვით ხდება სათავიდან შესართავამდე. მდინარის ზედა და შუა წელში მსხვილდისპერსული მასალა ჭარბობს (ქვები, ლოდები), მაშინ როდესაც, ქვემო წელში დინების სიჩქარის შემცირებასთან ერთად, ალუვიონი უპირატესად ქვიშის ფრაქციებით, ლამით, ქვიშნარით და იშვიათად ხრეშითაა წარმოდგენილი. ალუვიური ნაფენების სიმამლავრე იმავე მიმართულებით 5-30 მ ფარგლებში მერყეობს.

თანამედროვე კალაპოტური და ჭალის ნაფენების წყალშემცველი ჰორიზონტის კვება ძირითადად მდინარეული წყლებისა და ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის ხარჯზე ხდება, ზოგან მიწისქვეშა წყლების შემოდინებით. ჰორიზონტის რეჟიმი მჭიდროდ კავშირშია მდინარეების დონის რყევებთან და ატმოსფერულ ნალექებთან.

თანამედროვე ზღვიური ნაფენები ვიწრო ზოლად (200-500 მ) ვრცელდება შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ. მდინარეულ შესართავებთან ამ ნაფენების სისქე რამდენიმე კილომეტრს აღწევს. ისინი სანაპირო დიუნების სახით, რამდენიმე პარალელურ ზოლებს ქმნიან.

წყლების ქიმიური შედგენილობა და მინერალიზაცია იცვლება ზღვის მიქცევა-მოქცევისა და ატმოსფერული ნალექების რაოდენობასთან დაკავშირებით. ამ ჰორიზონტის მტკნარი წყლები ბევრგან მინერალიზებულ წყლებს ფარავს.

წყალშემცველი ჰორიზონტის კვებაში მთავარ როლს ატმოსფერული ნალექები და მდ. რიონის კალაპოტისქვეშა ნაკადები. ჰორიზონტის მიწისქვეშა წყლების რეჟიმი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მდინარის რეჟიმზე და ატმოსფერული ნალექების მოსვლაზე. თანამედროვე ტბიურ-ჭაობიანი ნაფენების მიწისქვეშა წყლებს უმნიშვნელო დაქანება აქვს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რის გამოც მათი მოძრაობა ძალზე უმნიშვნელოა და დაბლობის დაჭაობებას განაპირობებს.

2.2.3 რელიეფი

გეომორფოლოგიურად კოლხეთის დაბლობი საქართველოს მთათაშორისი ვაკის დასავლეთ ნაწილს წარმოადგენს. წარსულში ის მრავალგზის განიცდიდა ევსტაზიური და ტექტონიკური მოძრაობებისგან გამოწვეულ შავი ზღვის დონის რყევადობის გავლენას, ასევე მრავალრიცხოვანი ადგილობრივი და ტრანზიტული მდინარის აკუმულაციურ ზემოქმედებას.

ოროგრაფიულად, კოლხეთი ორი განსხვავებული ნაწილისაგან შედგება – დაბლობი ვაკე და დაბალმთიან-ბორცვიანი მთისწინები. თუმცა, საპროექტო არეალი დაბლობის დასავლეთ ზღვისპირა ტერიტორიას მოიცავს. მისი ზედაპირი ზღვის მხარეს, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ოდნავ დახრილია. ზღვისპირა ზოლში დაბლობი ზოგან ზღვის დონეზე დაბლა ეშვება.

დაბალ ვაკეებსა და ბორცვიან მთისწინებს შორის მკვეთრი მორფოლოგიური გადასვლა ყველგან არ შეინიშნება. იმ ადგილებში, სადაც მაღლობები და მთები უშუალოდ ებჯინება დაბლობს, მათ შორის საფეხური იკვეთება. ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით მდინარეების ხეობებში, დაბლობი ვაკე ღრმად იჭრება ბორცვიანი მთისწინების ზონაში, სადაც, დაბალი ვაკის ერთგვაროვანი რელიეფისაგან განსხვავებით, შემალღებული წყალგამყოფი სერები და ცალკეული გორაკებია. ვაკის წყალგამყოფები, ანუ მდინარეთაშორის სივრცეები ადგილობრივ მდინარეებზე მხოლოდ 4-6 მეტრითაა აღმართული.

დაბლობი მრავალი მდინარით ისერება, მათ შორის მთავარია მდ. რიონი შენაკადებით და სხვა ტრანზიტული მდინარეები, რომლებიც უშუალოდ შავ ზღვაში ჩაედინება. მხოლოდ რამდენიმე მცირე მდინარე ფორმირდება კოლხეთის ფარგლებში.

მთლიანობაში, კოლხეთის მონაკვეთები დაბალი ჰიფსომეტრული მაჩვენებლებით, ერთგვაროვანი მოსწორებული რელიეფით, სუსტად დანაწევრებული და სუსტად დახრილი ზედაპირით ხასიათდება. კოლხეთის მსხვილ მორფოლოგიურ ერთეულებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზღვიური და კონტინენტური ნაფენებისაგან აგებული სუსტად დახრილი აკუმულაციური ვაკე, განსაკუთრებით მისი დასავლეთი დადაბლებული, უპირატესად დაჭაობებული ბრტყელი დაბლობი. მის ფარგლებში გამოიყოფა: ა) პლაჟის ვიწრო ზოლი,

რომელიც სხვადასხვამარცვლოვანი ქვიშითა და კენჭებითაა დაფარული; ბ) ქვიშიან-დიუნური სერები; გ) დაბალი დაჭაობებული დაბლობები ტორფნარებით.

სანაპირო ვიწრო ზოლი, ქვიშითა და კენჭებითაა დაფარული. რაც კოლხეთის მთელ სანაპიროზოს გასწვრივაა განვითარებული, თუმცა მისი სიგანე და შენება დამოკიდებულია რელიეფის ხასიათსა და გეოლოგიურ თავისებურებაზე. იმ ტერიტორიებზე, სადაც მთიანი რელიეფი საკმაო მანძილითაა ზღვასთან დაშორებული, ზოლი უფრო ფართოა და ზედაპირი უმნიშვნელოდაა დახრილი ზღვისკენ. მის ზედაპირს ხშირად ტალღოვანი რელიეფი აქვს. სანაპირო ზოლის რელიეფზე ძლიერ მოქმედებენ მდინარეები (განსაკუთრებით წყალდიდობებისას), ასევე ზღვის ტალღები და ადამიანის სამეურნეო საქმიანობა.

ქვიშიან-დიუნური სერები. სანაპირო ზოლის შემდეგ, კოლხეთის თითქმის მთელ სანაპიროზე დიუნური სერებია გადაჭიმული, რასაც გარკვეული ცვლილებები შეაქვს დაბლობის ზღვისპირა რელიეფის ერთგვაროვნებაში. დიუნური სერები ქარებისა და ზღვის ტალღების ზემოქმედებითაა წარმოქმნილი. 100 მ-მდე სიგანის დიუნური ზოლი რამდენიმე პარალელური სერისაგან შედგება, რაც რამდენიმე მეტრის სიმაღლის მაღლობებს ქმნის. ისინი დამრეცი მხარით არიან ზღვისკენ მიმართული, რითაც გზას უღობავენ მდინარეთა ნაკადებს და მათ მიმართულებაზე მოქმედებენ (გარკვეულ მანძილზე ისინი ზღვის სანაპიროს პარალელურად მიედინებიან). ამ დიუნურ სერებს შორის კი გრძივი ვითრდება დაჭაობებული ფსკერით.

დაბალი დაჭაობებული დაბლობები ტორფნარებით. დიუნური სერების უშუალო გაგრძელებაზე გავრცელებულია ამ გეომორფოლოგიური ერთეულის დაჭაობებული ნაწილი. აქ გავრცელებულია შემდეგი დაჭაობებული მასივები: ჭურიის, ჭალადიდი-ფოთის, ფიჩორა-პალიასტომის, ასევე მალთაყვის, ანაკლიის, ქობულეთის და სხვ. ჭაობების წარმოქმნის განმაპირობებელი ფაქტორებია: დიუნური სერების არსებობა, რომლებიც ტბორავენ წყალს ჩადაბლებულ მონაკვეთებზე; ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მდებარეობა ზღვის დონეზე დაბლა; გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური აგებულება; დადებითი წყლის ბალანსი; დრენაჟის არარსებობა; გრუნტის წყლების მაღალი დონე და სხვ. გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, დაჭაობებას ხელს უწყობს ასევე ფლუვიალურ-აკუმულაციური დაბლობის პერმანენტული ჩაძირვა. დაძირვის სიდიდე განსცავებულია. მაქსიმუმი ქ. ფოთის რაიონში აღინიშნება (~6 მმ წელიწადში). ზოგიერთი ჭაობწარმოქმნელი ფაქტორი არ ექვემდებარება რაიმე აქტიურ ღონისძიებებს. დაჭაობებული ტერიტორიების შემადგენლობაში მონაწილეობენ ტორფიანი ქვიშები, ან თიხნარები, რომლებიც წყალგაუმრატ თიხებზე ძევს. ტორფის წარმოქმნაში, გარდა ბალახეული მცენარეულობისა, მონაწილეობდნენ ხის სახეობებიც – მურყანი, წაბლი, რცხილა, მუხა, წიფელი, ცაცხვი და ა.შ.

ტორფიანი მასივები ერთმანეთისაგან მდინარეებითაა დაყოფილი, რომელთა შორის, სულ ცოტა 1-2 კმ სიგანეზე, ტორფი არ წარმოიქმნება. ა. მოწერელიას აზრით, ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობა, წყალდიდობის წყალთან ერთად, 4000-მდე მმ შეადგენს, რაც 5-ჯერ აღემატება აორთქლებას. ნიადაგ-გრუნტის მუდმივი ჭარბი ტენიანობა ნიადაგში ანაერობულ მდგომარეობას ქმნის, რის შედეგადაც ხდება დაუშლელი ორგანული ნივთიერების, ანუ ტორფის დაგროვება.

დაჭაობებული დაბლობი ტრანზიტული მდინარეებით იკვეთება, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დაჭაობებაში, განსაკუთრებით დონის აწევისას. მდინარეების გარდა, აქ ტბებიც გვევლინება, მათ შორის განსაკუთრებულია რელიქტური ტბა პალიასტომი. დაჭაობებული ვაკე მოიცავს ზღვისპირა, ანუ ტორფიან, და ტყით დაფარულ აღმოსავლეთ ნაწილებს.

2.2.4 ნიადაგები

კოლხეთის დაბლობი დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივაა გავრცელებული. იქ წარმოდგენილი ნიადაგების საერთო ფართობი 700 ათას ჰექტარს აღემატება. მათ შორის, ყვითელმიწებს, სუბტროპიკულ ეწერებსა და ეწერ-ლებიანებს 317'600-მდე ჰა უკავია, ხოლო წითელმიწებსა და წითელმიწა-ლებიანებს 225'800 ჰა. მნიშვნელოვანია კოლხეთის დაბლობზე ე.წ. ჭაობიანი ნიადაგების არსებობა. მათ შორის მინერალურ ჭაობიან ნიადაგებს 130'400 ჰა უკავია და ორჯერ აღემატება ორგანულ ჭაობიანი ნიადაგების ფართობს (70'600 ჰა). ისინი დაბლობის დასავლეთ ჩადაბლებულ ნაწილშია წარმოდგენილი ტორფიან-ჭაობიანი და ლამიან-ჭაობიანი ნიადაგების სახით. კოლხეთის ნიადაგების კვლევა გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს დაიწყო, რის შედეგადაც დადგენილია მათი ძირითადი ტიპები, ნიადაგწარმოქმნის პირობები, დაჭაობებული ნიადაგების შემადგენლობა და აგრომელიორაციული თვისებები. შეისწავლებოდა დაბლობის ნიადაგების დაჭაობების მიზეზები, გრუნტის წყლების როლი, ტენზონის ბალანსი სხვადასხვა სავარგულებზე, დრენირების სისტემების ეფექტურობა, დაშრობის შემთხვევაში მათი ათვისების შესაძლებლობები და სხვ.

კოლხეთის ნიადაგები, აღ. მოწერელიას მიერ, სამ ჯგუფში ერთიანდება: 1. ელუვიურ, 2. ელუვიურ-ჰიდრომორფულ და 3. ჰიდრომორფულ. *ელუვიური* ნიადაგების ჯგუფში წარმოდგენილია დაღმავალი ხსნარების სიჭარბით გამორჩეული ნიადაგები ატმოსფერული დატენიანების პირობებში. *ელუვიურ-ჰიდრომორფული* ნიადაგები წარმოდგენილია დაღმავალ-აღმავალი ნიადაგური ხსნარებით, ან ხსნარის გართულებული გადაადგილებით ქვედა ჰორიზონტებში ატმოსფერულ-გრუნტოვანი დატენიანების პირობებში. *ჰიდრომორფული* ნიადაგები კი ჭარბტენიანობის პირობებში ფორმირდება დაღმავალი ნიადაგური ხსნარის არარსებობისას. ეს ჯგუფები დახასიათებულია ასევე როგორც ფაზების კომბინაციები: I ჯგუფი – სამფაზიანი სისტემა მთელს პროფილში (მყარი ფაზა, წყალი, ჰაერი); II ჯგუფი – პერიოდულად სამფაზიანი პროფილის ზედა ნაწილში და პრეფაზიანი (მყარი, წყალი) ქვედაში; III ჯგუფი – ორფაზიანი (მყარი, წყალი) მთელს პროფილში. ამ ყველაფერმა, მექანიკური და მინერალოგიური შედგენილობის, ასევე გეომორფოლოგიური პოზიციის გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს მელიორაციული ღონისძიებების შერჩევის სისტემები.

ჩატარებულია ასევე კოლხეთის დაჭაობებული და ჭარბტენიანი ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი კვლევები 500 ათას ჰა ფართობზე. შედგენილია სხვადასხვა მასშტაბის ნიადაგური რუკები (1 : 5'000, 1 : 10'000, 1 : 25'000, 1 : 100'000).

ისტორიული, არქეოლოგიური და სხვა მასალები ადასტურებენ, რომ ისტორიულ წარსულში კოლხეთი წარმოადგენდა რეგიონს მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო კულტურით. თანამედროვე ლანდშაფტები კი მოწმობენ დროში პროგრესირებად დაჭაობების პროცესზე. ცნობილია, რომ დაჭაობება ხორციელდება მაშინ, როდესაც გეომორფოლოგიურ-ლითოლოგიურ პირობებს არ შეუძლიათ ტერიტორიის კარგი დრენაჟის უზრუნველყოფა. ი. ჯანელიძის მონაცემები კოლხეთის სტრატეგრაფიასა და რადიოკარბონის მეთოდით დათარიღებაზე, ნათლად ადასტურებს კოლხეთის სედიმენტაციის ციკლებს შემდგომი პროგრესირებადი დაჭაობებით.

ნიადაგი ლანდშაფტის ერთერთი კომპონენტია, რომელიც განსაკუთრებით სწრაფად რეაგირებს დაჭაობების წარმოქმნაზე. ის კარგად ავლენს ამ პროცესის სხვადასხვა სტადიებს თავისი დინამიკური და კონსერვატული თვისებებით.

დაჭაობება, თავისთავად, გულისხმობს ნიადაგების კომბინაციების დროში გაძლიერებულ დატენიანებას და ჰიდრომორფულობას, რაც განაპირობებს მათ განვითარებას ორგანოგენულ და ორგანოგენულ-ლებიანი ნიადაგების მიმართულებით. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით კი დაჭაობება რეალიზდება პირვანდელი ლანდშაფტების გარდაქმნით ტორფიანი ჭაობების ლანდშაფტში.

ნიადაგმცოდნეობაში არსებული ჰიპოთეზები, გეობოტანიკურ მასალებთან ერთად, საშუალებას იძლევა გამოიყოს ნიადაგების ავტოქტონური და ალოქტონური დაჭაობება. *ავტოქტონური* დაჭაობება, ნიადაგური ჰიპოთეზის თანახმად, ჭარბტენიანობის გავლენით ვითარდება მკვერივი ილუვიური გენეტიკური ჰორიზონტის ზემოთ, რომელიც ნიადაგის თვითგანვითარების შედეგადაა ფორმირებული. *ალოქტონური* დაჭაობება კი წარმოიქმნება და ვითარდება ჭაობიდან ზედაპირზე დამატებითი ტენის მოხვედრით მისი ჰორიზონტული მატებით. ეს წარმოადგენს ნიადაგის მეტამორფოზას და არა თვითგანვითარებას, რადგან ევოლუციის მიზეზია გარედან მოხვედრილი დამატებითი ტენი.

ფართო ბრტყელფსკერიანი მშრალი ხევების დაჭაობება (მათი მეტამორფოზა) შესაძლოა წარმოიქმნას ბუნებრივი პირობების ნებისმიერი ცვლილების შედეგად, რომლებიც დრენაჟის გაუარესებას იწვევს და ზრდის წყლის ბალანსის დადებით მდგენელს (ხე-მცენრეულობის იარუსის ბუნებრივი და ანთროპოგენური განადგურება). ანთროპოგენურის შემთხვევაში დაჭაობება შესაძლოა იყოს როგორც შექცევადი, ისე შეუქცევადი.

კოლხეთის ნიადაგების ათვისების პრობლემა განპირობებულია არა მხოლოდ ნიადაგურ-ჰიდროლოგიური პირობებით, არამედ ჰიდრომორფული ჯირჯვადი ნიადაგებისა და ორთშტეინიანი ჰორიზონტების გენეტიკური არსითაც, რაც სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ძირითად მიწის ფონდს ქმნის.

კოლხეთის ბუნებრივი პირობების მრავალწლიანი კვლევის შედეგად, ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ დაჭაობების ძირითადი მიზეზებია: უხვი ატმოსფერული ნალექები, თავსხმა წვიმების ნაკადები მომიჯნავე ტერიტორიებიდან, წყალდიდობები და გრუნტის წყლებით დამატებითი კვება ტერიტორიის დიდ ნაწილზე. გარდა ამისა, დაჭაობებას ხელს უწყობს ასევე ნიადაგ-გრუნტის

მძიმე მექანიკური შედგენილობა და ფილტრაციის ძალზე დაბალი უნარი. აღნიშნული ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედების შედეგად შეიქმნა ამ მიწების ინტენსიური დაჭაობების ხელშემწყობი პირობები.

2.2.5 კლიმატი

საპროექტო არეალი ნოტიო სუბტროპიკული ჰავით ხასიათდება, რომელიც შავი ზღვის მნიშვნელოვან გავლენას განიცდის. გამოირჩევა თბილი ზამთრითა და შედარებით გრილი ზაფხულით. ზამთარში – აღმოსავლეთის, ზაფხულში კი დასავლეთის ქარებია გაბატონებული. კარგად არის განვითარებული ბრიზები და ფიონები.

საკმაოდ მაღალია ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, წელიწადში დაახლოებით 1'700-2'500 მმ ნალექი მოდის. კოლხეთის დაბლობზე ატმოსფერულ ნალექებს ზამთარში გაჭიანურებული, ხოლო თბილ პერიოდში – კოკისპირული წვიმების ხასიათი აქვს. თოვლის მდგრადი საფარი იშვიათად ჩნდება. ზღვის სიახლოვისა და ხშირი დასავლეთის ქარების გავლენით, მთელი წლის განმავლობაში დიდია ღრუბლიანობა და ტენიანობა. შავი ზღვა და დაჭაობებული ტერიტორიები განაპირობებენ რეგიონში მაღალ სინოტივეს, განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში. ელჭექი და სეტყვა მთელი წლის განმავლობაში იცის. საპროექტო არეალისათვის დამახასიათებელი ატმოსფერული ნალექების განაწილება და ჰაერის ტემპერატურები თვეების მიხედვით მოცემულია ცხრილებში.

კლიმატური ცვლილებების თანამედროვე ტენდენციებიდან ცალსახაა კლიმატური სისტემის დათბობა და რიგი კლიმატური ექსტრემალური მოვლენების ცვლილებები. საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის მიმდინარე და სამომავლო ცვლილებების ძირითადი ტენდენციების შესაბამისად, ნალექების რეჟიმში ცვლილებები არამდგრადია. თუმცა ნალექების წლიური ჯამები ძირითადად უცვლელი დარჩება ან დასავლეთ საქართველოში ნალექები მცირედით მოიმატებს.

ცხრილი 2.1 ატმოსფერული ნალექები (მმ)

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	ჯამი
ჭალადიდი	165	146	119	89	62	125	182	212	262	188	178	166	1894
ფოთი	171	156	114	93	64	130	189	220	273	195	194	173	1962
სუფსა	204	182	136	111	78	162	235	276	332	239	218	206	2379

ჰაერის ტემპერატურა (°C)

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
ჭალადიდი	5.0	5.8	8.4	11.9	16.4	19.9	22.3	22.6	19.2	15.2	10.9	6.8	13.7
ფოთი	5.2	5.8	8.7	12.0	16.6	20.3	22.9	23.2	19.8	15.9	11.8	7.1	14.1
სუფსა	4.5	5.2	7.9	11.4	16.2	20.0	22.5	22.6	19.4	15.2	10.5	6.5	13.5

გლობალური დათბობის შემთხვევაში მოსალოდნელია არა იმდენად მდინარეთა წლიური ჩამონადენის სიდიდის ცვლილება, რამდენადაც ამ ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების ცვლილება. კერძოდ, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება უფრო ინტენსიური გახდება – შემცირდება მცირეწელიანი პერიოდის და გაიზრდება უხვწყლიანი პერიოდის ჩამონადენი, რაც ნიშნავს იმას, რომ გაიზრდება ექსპტრემალური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირე და ინტენსივობა, რაც წყალდიდობისა და წყალმოვარდნების გააქტიურებას გულისხმობს.

2.2.6 ლანდშფტები

ფიზიკურ-გეოგრაფიულად კოლხეთი აკუმულაციურ ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე სტრუქტურულ-ეროზიულ გორაკ-ბორცვებს მოიცავს ზ.დ. 200 მ-მდე. დაბლობის ბუნებრივი გარემოს თავისებურება მის ბრტყელზედაპირიან, თანაბარ ნესტიან თბილი ჰავისა და უხვი ჰიდროგრაფიული ქსელის არსებობაში მდგომარეობს. აღსანიშნავია ასევე ჭაობები და რელიქტური ტბები. ნესტიანი გრუნტისათვის დამახასიათებელი ნიადაგები და ჰიგროფილური მცენარეულობა. გეოლოგიურ-გეომორფოლოგიურად შავი ზღვის ყოფილი უბეა, რომლის ფარგლებშიც კლიმატურ-ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით, გამოიყოფა: სამურზაყანოს დაბლობი, ოდიშ-გურიის დალობი და იმერეთის დაბლობი.

კოლხური პოლიდომინანტური ფლორა წარმოდგენილია მარადმწვანე ქვეტყით, ლიანებით და უამრავი რელიქტური და ენდემური სახეობებით. კოლხური ტყე ე.წ. რეფუგიული ტყეა, სადაც ჭარბწყლიან ცენოზებთან ერთად, ხმელთაშუაზღვიურ ელემენტებსაც ვხვდებით. კოლხეთში ჭაობებს 200 ათასი ჰექტარი უჭირავს, ისპაჰანის 770 ჰა, გურია-სამეგრელოს 337 ჰა და სხვ.

კოლხეთში წარმოდგენილია ვაკე-დაბლობებისა და გორაკ-ბორცვიანი მთისწინებისათვის დამახასიათებელი ნოტიო სუბტროპიკული ლანდშაფტები. ჰავის ძირითადი ნიშნებია ზამთარ-ზაფხულის მაღალი ტემპერატურები, თანაბარი და მაღალი ტენიანობა. დაშრობილ ჭაობიან ტერიტორიებზე და გორაკ-ბორცვიან ზოლში ბუნებრივ-აგარარული კომპლექსებია გაბატონებული.

კოლხეთი მსოფლიოს 36 ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილს შორისაა. კოლხეთის ეროვნული პარკის ლანდშაფტი ჭარბტენიანი ჰაბიტატებითაა წარმოდგენილი, როგორცაა: სფაგნუმის ტორფნარები, რელიქტური ტყეები, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, ტბები, მდინარეები, სანაპირო დიუნები, ჭარბტენიანი მდელოები.

კოლხეთის ბარის ძირითადი ზუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტებია: კოლხური ვაკე-დაბლობისა და გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთის ლანდშაფტი, ანთროპოგენიზირებული მონაკვეთებით, ეროზიული და მეწყრული პროცესებით, ჰუმიდური ჰავით, კულტურული მცენარეულობით, სოფლის მეურნეობის სავარგულებით (ჩაის, ციტრუსოვნების, კივის ნარგავებით), იაპონური კრიპტომერიისა და ევკალიპტის ქარსაცავი ზოლებით, საკურორტო და ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტებით; ვაკე-დაბლობების სუბტროპიკული ჰუმიდური; გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთების სუბტროპიკული ჰუმიდური.

საქართველოს ეროვნულ ატლასში წარმოდგენილი ლანდშაფტური რუკის (National Atlas of Georgia. Stuttgart: Steiner-Verlag, 2018) მიხედვით, კოლხეთის დაცული ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული ლანდშაფტებია:

ექსტრა ჰუმიდური:

- ვაკეები და დაბლობები მურყნარი და მუხრანი ტყეებით ეწერ და ეწერ-ლებიან ნიადაგებზე ძლიერ ტრანსფორმირებული მელიორაციული და სასოფლო-სამეურნეო სავარგულელებით.
- ვაკე-დაბლობები მურყნარი ან ისლიანი, ტორფიან-ხავსიანი და ლერწმიანი ჭაობებით ლამიან-ჭაობიან ნიადაგებზე; თითქმის ხელუხლებელი.

ზომიერად თბილი და ზომიერად ცივი ნოტიო:

- ქვედა მთები რცხილნარ-მუხნარითა და მუხის ხეებით ყავისფერ ყომრალ და ნემომპალა-კარბონარულ ნიადაგებზე; ზოგიერთ რაიონში არსებითად ტრანსფორმირებული.
- საშუალო მთები წიფელის სიჭრბით ყომრალ ნიადაგებზე; სუსტად ტრანსფორმირებული.

2.2.7 ბიომრავალფეროვნება

კოლხეთის ბუნებრივი პირობების თავისებურება მცენარეულობის გავრცელებასა და მათი ჯგუფების განლაგებაზე მოქმედებს. კოლხეთის დაბლობის ბრტყელი რელიეფური პირობებისა და თბილი, რბილი, ნოტიო კლიმატიდან გამომდინარე, ინტენსიურად დაინერგა და ინერგება სუბტროპიკული მცენარეულობა. ამას ემატება მათი თანმხლები ველური მცენარეულობის გავრცელებაც, რომლებიც ავიწროვებენ ასობით სახეობის ადგილობრივ, მათ შორის ენდემურ მცენარეულობას. ამ მოვლენამ თავისი კვალი დატოვა მცენარეულ საფარზე და ნაწილობრივ შეცვალა მისი იერსახე.

შემონახულია კოლხეთისათვის დამახასიათებელი ჭაობისა და დაბლობის ტყეების ლანდშაფტი. უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური ლიანებიანი ტყე მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი. აქ წარმოდგენილია ტუგაის ტყეების ბევრი ვარიანტი, მათ შორის ლაფნის, ტირიფის, ვერხვის, მურყანის, მუხის, თელას, წიფელის, რცხილას, კოლხური სუროს, წყავის, შქერის გავრცელებით. გვხვდება რელიქტური ბალახოვანი მცენარეები.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან კოლხეთის ეკოსისტემა შეტანილი იყო იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. 2021 წელს კოლხეთის ტროპიკული ტყეები და ჭაობები, რომელიც კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიასაც მოიცავს, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შევიდა. პალეასტომის ტბის ნაპირებზე წიფლნარ-რცხილნარი ტყეები გვხვდება.

კოლხეთში შენარჩუნებულია მესამეული ფლორის რელიქტები: ძელქვა, როდოდენდრონი, თელა, რცხილა, წიფელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაფანა და ძელქვა.

კოლხეთის ვაკეებზე, ზ.დ. 0-50 მ სიმაღლეზე ძირითადად ჭაობები და დაჭაობებული ტყეები გვხვდება, ხოლო 50-200 მ-ზე – კოლხური ტიპის ლიანები და ჭალის ტყეები.

ჯერ კიდევ ჰეროდოტე წერდა, რომ კოლხეთი უძველესი დროიდან გაოცებს თავისი თვითმყოფადობით. მისი პირვანდელი ტიპი, მცირე კუნძულის სახით, პალეასტომის ტბაზე შენარჩუნდა (და ასევე მწვანე კონცხზე).

კოლხურ ტყეს თავისებურ იერსახეს მატებს ქვეტყე – მარადმწვანე ხეები და ბუჩქნარები. მათ შორის გამოირჩევა: უთხოვარი, შქერი, წყავი, ბამგი, პონტოური თაგვისარა და სხვ. ფოთლოვანებიდან: შინდანწლა, მუმმულა სუბტროპიკული, მოცვი, უცვეთელა, კუნელი, ძახველი, დიდგულა და სხვ. ტყის თვისებურების ფორმირებაში მონაწილეობენ გვიმრანაირნი და ეპიფიტები. ზ.დ. 50-200 სიმაღლეზე შენარჩუნებულია კოლხური რელიქტური ტყე – ლიანებიანი და ნოტიო ჭაობის ტყე, ხავსიანი ჭაობები, კირქვიანი ბუჩქნარები, კეთილშობილი დაფნა და სხვ. ტყიან ჭაობებში, ბაკახეულ საფართან ერთდ, ხე-მცენარეულობაც გვხვდება: მურყანი, ლაფანი, ტირიფი. ზოგჯერ ისინი ცალკეულ დაჯგუფებებს ქმნიან. ჭაობიან ტყეებში ხშირად შერეულია თუთის ხე, ლელვი, ხურმა და სხვ.; ნაკლებად ტენიან ადგილებში – იფანი/კოპიტი, ნეკერჩხალი, კოლხური ლელვი.

კოლხური ლიანებიანი ტყე მარადმწვანე ქვეტყით დამახასიათებელია ზ.დ. 50-250 მ სიმაღლისთვის და ქმნიან სუბტროპიკულ ზონად წოდებულ სარტყელს. ამ ზოლში გვხვდება: წიფელის, წაბლის, იმერული მუხის, კოლხური და პონტოური მუხის, რცხილას და სხვ. კუნძულები, სადაც ზოგჯერ შერეულია იფანი, ნეკერჩხალი, ძელქვა, ხურმა და სხვ. აღნიშნული ტყეებში გამოიყოფა მარადმწვანე ქვეტყით და ფოთოლმცვენი ქვეტყით. მთლიანობაში, კოლხეთისთვის ყველაზე დამახასიათებელია წიფლნარ-გვიმრანაირთა ტყეები, სადაც გვხვდება ასკილი, გვიმრანაირნი; ტიპურია წიფლნარ-რცხილნარი, წიფლნარ-მუხნარი ტყეები.

კოლხური ფლორის ბევრი სახეობა, დროთა განმავლობაში, გადაშენდა, თუმცა გაჩნდა ახალი, ე.წ. “ემიგრანტები”, რომლებიც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთი სახეობის მიერ მეორის გადევნას და ახალი პირობებისადმი ადაპტირების უნარს.

ამგვარად, კოლხეთის დაცული ტერიტორიის მცენარეული საფარის ძირითადი სახეობებია: მურყანი (*Alnus barbata*), ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), ვერხვი (*Populus canescens*), ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa*), ზამბახი (*Iris pseudocorus*), დროხერა (*Drosera rotundifolia*), ტირიფი (*Salix caprea*, *Salix alba*), კატაბალახა (*Clematic vitalba*), ეკალიქი (*Smilax excels*). ჭაობები და სანაპიროების მცენარეული საფარის ძირითადი სახეობებია: ისლი (*Carex acuta*), ლაქაში (*Typha latifolia*), ლელი (*Phragmites australis*) და ჭილი (*Juncus effuses*). ზღვის სანაპიროზე შეიძლება შეგხვდეთ: ლურჯეკალა (*Eringium maritimum*) და ისლი (*Carex colchica*).

2.2.7.1 ფლორა

კოლხეთის ეროვნული პარკის ფლორა 300-მდე ჭურჭლოვანი სახეობითაა წარმოდგენილი, რომელთაგან 24 სახეობა გლობალური წითელი ნუსხითაა დაცული: მათ შორის მერქნიანი სახეობებია: ხეები: ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), კოლხური ბუჩქ (*Buxus colchica*), ბუჩქები: ბროწეული (*Punica granatum*), ლელვი (*Ficus carica*), გვიმრებიდან: სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), ჭაობის თელიპტერისი (*Thelipteris palustris*), სალვინია (*Salvinia natans*), ოთხფოთოლა

მარსილეა (*Marsilea quadrifolia*); ბალახოვნებიდან: თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*), ჯადვარი (*Spiranthes amoena*), ჭაობის ჯადვარი (*Epipactis palustris*), კოსტელეტსკია (*Kosteletzkya pentacarpos*), პონტოს ტუხტი (*Hibiscus ponticus*), კოლხური წყლის კაკალი (*Trapa colchica*), მალეევის წყლის კაკალი (*Trapa maleevi*), მედვედების რამფიკარპა (*Rhamphicarpa medwedewii*), კოლხური დუმფარა (*Nymphaea colchica*), ღიმის ორი სახეობა (*Ceratophyllum demersum*, *Ceratophyllum submersum*), წყლის ვაზი (*Potamogeton natans*), ხერხა (*Cladium mariscus*), ბუმტოსანა (*Utricularia minor*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), მრგვალფოთოლა დროზერა (ცვრიანა) (*Drosera rotundifolia*). გლობალური სტატუსის მქონეა სფაგნუმის ორი სახეობა: აუსტინის სფაგნუმი (*Sphagnum austinii*) და ჭაობის სფაგნუმი (*Sphagnum palustre*). კავკასიის და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობაა: ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), თელა (*Ulmus carpinifolia*), ძელქვა (*Zelqova caroinifolia*) უნდა აღინიშნოს, რომ ძელქვის, რამდენიმე ეგზემპლარი გვხვდება მხოლოდ იმნათის ტორფნარის სამხრეთ-დასავლეთით მიმდებარე ტყეებში.

კოლხეთის სფაგნუმიანი ტორფნარების ფლორა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი - ხავსისნაირები: 5 ოჯახი, 7 გვარი და 15 სახეობა; გვიმრანაირები: 4 ოჯახი, 4 გვარი და 5 სახეობა; ფარულთესლოვნები: ორლებნიანები წარმოდგენილია 23 ოჯახით, 44 გვარით და 71 სახეობით; ერთლებნიანები 4 ოჯახით, 46 გვარითა და 81 სახეობით. სულ: 38 ოჯახი, 114 გვარი, 175 სახეობა. აქედან:

„ფიჩორას“ ტორფნარზე აღნუსხულია 45 სახეობის მცენარე, აქედან 4 სახეობის სფაგნუმი, 11 მერქნიანი სახეობა და 26 სახეობის ბალახოვანი მცენარე, მათ შორის 9 რელიქტური, 2 ენდემური და 4 გლობალური სტატუსის მქონე სახეობა.

გრიგოლეთის ტორფნარზე 55 სახეობის მერქნიანი და ბალახოვანი სახეობაა აღნუსხული, მათ შორის 6 სახეობის სფაგნუმი, 7 რელიქტური და 3 გლობალური სტატუსის მქონე სახეობა.

ტყეების ფლორა წარმოდგენილია – ხავსისნაირები: 2 ოჯახი, 5 გვარითა და 6 სახეობით; ხეები: 10 ოჯახით, 13 გვარითა და 16 სახეობით; ბუჩქები: 6 ოჯახით, 7 გვარითა და 7 სახეობით; ლიანები: 8 ოჯახით, 8 გვარითა და 12 სახეობით; ბალახეულობა: 25 ოჯახით, 79 გვარითა და 113 სახეობით, მარცვლოვნები: 6 ოჯახით, 46 გვარითა და 66 სახეობით. სულ რელიქტური ტყის ფლორა მოიცავს: 57 ოჯახს, 158 გვარსა და 220 სახეობას. აქ იზრდება გლობალური სტატუსის მქონე 4 სახეობა: ლეღვი (*Ficus carica*). ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), ბროწეული (*Punica granatum*), კოლხური ბუჩქი (*Buxus colchica*). კავკასიის წითელი წიგნის სახეობები: ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), თელა (*Ulmus glabra*), ძელქვა (*Zelqova carpinifolia*).

კოლხეთის ეროვნული პარკის მტკნარწყლიანი ტბორების ფლორა წარმოდგენილია 21 ოჯახით, 33 გვარითა და 50 სახეობით. აქ ხარობს გლობალური წითელი ნუსხის 7 სახეობა: კოლხური წყლის კაკალი (*Trapa colchica*), სალვინია (*Salvinia natans*), ბუმტოსანა (*Utricularia minor*), ღიმი (*Ceratophyllum demersum*), ღიმი (*Ceratophyllum submersum*) – წყლის ვაზი (*Potamogeton natans*).

ლიტერატურული მონაცემებით პალიასტომის ტბაში აღწერილია ფიტოპლანქტონის 203 სახეობის და ქვესახეობის წყლამცენარე. აქედან: დიატომეების 105 სახეობა, 49 სახეობის მწვანე წყალმცენარე, ლურჯმწვანე მცენარეების 21 სახეობა, პიროფიტოვნების 15 სახეობა, 11 სახეობის ევგლენასნაირები, 1 სახეობა ოქროსფერი წყალმცენარისა.

ჰალოფიტური (სიმლაშისადმი დამოკიდებულების წყალმცენარეების სახეობრივი შემადგენლობა შემდეგია: პოლიჰალინური სახეობების 51 სახეობა, მეზოჰალინური - 28 სახეობა და 115 ოლიგოჰალინური სახეობებისა.

საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეები

კოლხეთს ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილში იზრდება საქართველოს წითელი ნუსხის სამი მერქნიანი სახეობის მცენარე: ჰარტვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), თელა (*Ulmus carpinifolia*) და ძელქვა (*Zelqova carpinifolia*).

ენდემური მცენარეები

კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის ტერიტორიაზე იზრდება 8 ენდემური სახეობება, მათ შორის: კოლხეთის ენდემი კოლხური ბუხა (*Buxus colchica*), კავკასიის ენდემი - კავკასიის რინხოსპორა (*Rhynchospora caucasica*) და კოლხური დუმფარა (*Nymphaea colchica*), ტორფნარის ოქროწყვეპლა (*Solidago turfosa*)

რელიქტური ფლორა

გამომდინარე იქედან, რომ სფაგნუმანი ტორფნარები რელიქტურია, რელიქტურია აქ გავრცელებული ფლორის სახეობებიც, როგორცაა: მწერიჭამია დროხერა (*Drosera rotundifolia*), ჩრდილოეთის ისლი (*Molinia litoralis*), თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*), სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), მანანა ჩვეულებრივი (*Calluna vulgaris*), ხერხა (*Cladium mariscus*), იმბრიკატუმის სფაგნუმი (*Sphagnum imbricatum*), ტიხრებიანი სფაგნუმი (*Sphagnum papillosum*), წითელი სფაგნუმი (*Sphagnum rubellum*), მაგელანის სფაგნუმი (*Sphagnum magellanicum*), ჭაობის სფაგნუმი (*Sphagnum palustre*), ჯადვარი (*Spiranthes amoena*), პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododendron luteum*), მოცვი (*Vaccinium arctostaphyllum*), ისლი (*Carex lasiocarpa*).

გლობალური წითელი ნუსხის სახეობები

კოლხეთის ეროვნული პარკის ჰაბიტატებში გავრცელებულია გლობალური წითელი ნუსხის 24 სახეობა, მათ შორის:

სფაგნუმიან ტორფნარებზე იზრდება 8 სახეობის მცენარე: კოსტელეტსკია (*Kosteletzkya pentacarpos*) (*Hibiscus pentacarpos*), სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), ჯადვარი (*Spiranthes sinensis* (*amoena*)), თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*), ჭაობის ჯადვარი (*Epipactis palustris*), ხერხა (*Cladium mariscus*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), მედევედვის რამფიკარპა (*Rhamphicarpa medwedewii*).

რელიქტურ კოლხურ ტეებში იზრდება 4 სახეობის მერქნიანი მცენარე: ლეღვი (*Ficus carica*), ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), ბროწეული (*Punica granatum*), კოლხური ბუხა (*Buxus colchica*).

ბუნებრივ მტკნაწყლიან ტბორებში იზრდება 8 სახეობის მცენარე: წყლის კაკალი (*Trapa natans*), კოლხური წყლის კაკალი (*Trapa colchica*), წყლის გვიმრა (*Salvinia natans*), ოთხფოთოლა მარსილეა (*Marsilea quadrifolia*), ბუმტოსანა (*Utricularia minor*), ღიმის ორი სახეობა (*Ceratophyllum demersum*, *Ceratophyllum submersum*), წყლის ვაზი (*Potamogeton natans*)

ოჯახი კატისებრნი – Felidae		
ტყის კატა - <i>Felis silvestris</i> Schreber, 1777	მდ. ფიჩორის სათავე	LC
	ნაბადას ჭაობი	
	კოლხეთის ნაკრძალი	
	მდ. ფიჩორის სათავე	
რიგი წყვილჩლიქიანები – Artiodactyla		
ოჯახი ღორისებრნი – Suidae		
გარეული ღორი - <i>Sus scrofa</i> Linnaeus, 1758	ნაბადას ჭაობი	LC
	მდ. ფიჩორის სათავე	
	იმნათის ტყე	
ოჯახი ირმისებრნი – Cervidae		
შველი - <i>Capreolus capreolus</i> (Linnaeus, 1758)	კოლხეთის ნაკრძალი	LC
	მდ. ფიჩორის სათავე	
	ნაბადას ჭაობი	
	იმნათის ტყე	
	ჭურის ჭაობი	
	ჭალადიდი	
	პალიასტომი	
ირემი - <i>Cervus elaphus</i>	კოლხეთის დაბლობი	LC

ცხრილი 2.9 კოლხეთის დაბლობის ეკოსისტემების ცხოველთა მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები

მსხვილი სისტემატიკური კატეგორია (ტიპი, კლასი)	დაბალი სისტემატიკური კატეგორია (რიგი, ოჯახი)	შენიშვნა
ტიპი - ფეხსახსრიანები - Arthropoda	რიგი ქეცლფრთიანები, ანუ პეპლები და ჩრჩილები: Lepidoptera	ხმელეთის ბინადრები
	რიგი ხეშეშფრთიანები, ანუ ხოჭოები: Carabidae	ხმელეთის ბინადრები
	რიგი ხეშეშფრთიანები, ანუ ხოჭოები: Coccinellidae	ხმელეთის ბინადრები
	რიგი სიფრიფანაფრთიანები - Hymenoptera	ხმელეთის ბინადრები
	რიგი ქერცლფრთიანები - Lepidoptera, დღის პეპლები	ხმელეთის ბინადრები
ტიპი ქორდიანები, ქვეტიპი ხერხემლიანები - Vertebrata	კლასი ამფიბიები კლასი ქვეწარმავლები კლასი ძუძუმწოვრები	

ცხრილი 2.10 ტერიტორიების ჩამონათვალი, საიდანაც შესწავლილია კოლხეთის დაბლობის ცხოველთა მოსახლეობა

გეოგრაფიული დასახელება	ეკოსისტემის ტიპი
სუფსა	მდინარის პირი
პალიასტომი	ტბა
ფიჩორა	მდინარე
ფოთი	არაა დაკონკრეტებული
ქობულეთი	არაა დაკონკრეტებული
ანაკლია	არაა დაკონკრეტებული
კაპარჭინა	მდინარე
ჩახათი	არაა დაკონკრეტებული

კოლხეთის დაბლობის უხერხემლოების მოსახლეობა

ტიპი - ფეხსახსრიანი ცხოველები - Arthropoda

კლასი მწერები - Hexapoda, Insecta

მწერების კლასი ყველაზე მრავალრიცხოვანია სახეობების რაოდენობის მხრივ. წარმოვადგენთ იმ ტაქსონებს, რომლებიც გავრცელებულნი არიან კოლხეთის დაბლობზე, თუმცა განვითარების ციკლით შესაძლოა არ იყვნენ დაკავშირებულნი წყალსატევებთან და იძლევიან ფონურ ინფორმაციას საკვლევი ტერიტორიის მწერების ბიომრავალფეროვნების შესახებ. კოლხეთის ეროვნულ პარკში კი სამი რიგით, რვა ოჯახითა და 28 სახეობით.

რიგი ხეშეშფრთიანები, ანუ ხოჭოები - Coleoptera

ცხრილი 2.10 კოლხეთის დაბლობის ხეშეშფრთიანების სახეობების ჩამონათვალი

რიგი ხეშეშფრთიანები, ანუ ხოჭოები - Coleoptera	
ოჯახი - Coccinellidae ჭიამაიები	
<i>Rhyzobius lophanthae</i> (Blaisdell 1892)	ქობულეთი
<i>Rodolia cardinalis</i> (Mulsant, 1850)	ქობულეთი
<i>Scymnus haemorrhoidalis</i> Herbst, 1797	პალიასტომის ტბის მიდამოები
<i>Scymnus frontalis</i> Fabricius 1787	ფოთი
<i>Scymnus apetzi</i> Mulsant 1846	პალიასტომის ტბის მიდამოები
<i>Chilocorus bipustulatus</i> Linnaeus, 1758	ფოთი
	ანაკლია
<i>Exochomus quadripustulatus</i> Linnaeus, 1758	ფოთი
<i>Anisosticta novemdecimpunctata</i> Linnaeus, 1758	პალიასტომის ტბის მიდამოები

<i>Coccinella hieroglyphica</i> Linnaeus, 1758	პალიასტომის ტბის მიდამოები
<i>Calvia quatuordecimguttata</i> Linnaeus, 1758	ფოთი
ოჯახი - Carabidae - ბზუალები	
<i>Leistus femoralis</i> Chaudoir, 1846	მდ. სუფსა

რიგი ქერცლფრთიანები - Lepidoptera - პეპლები და ჩრჩილები

ცხრილი 2.11 კოლხეთის დაბლობის ქერცლფრთიანების სახეობების ჩამონათვალი

ოჯახი - Geometridae - მზომელები	
<i>Sterrhia inornata</i> Howorth, 1809	ფოთი
<i>Scopula umbelaria</i> Hübner, 1798	ფოთი
	პალიასტომის ტბის მიდამოები
	მდ. ფიჩორა
	მდ. კაპარჭინა
<i>Scopula rubiginata</i> Hufnagel, 1767	ფოთი
	პალიასტომის ტბის მიდამოები
<i>Scopula flacidaria</i> Zeller, 1853	ფოთი
<i>Codonia orbicularia</i> Hübner, 1799	ფოთი
	პალიასტომის ტბის მიდამოები
<i>Codonia pupillaria</i> Hübner, 1799	ფოთი
	მდ. ფიჩორა
	მდ. კაპარჭინა
<i>Protorhoe unicata</i> Guenee, 1857	ჩახათი
<i>Melanthia procellata</i> Denis et Schiffmüller, 1755	ქობულეთი
<i>Semiothisa alternate</i> Denis et Schiffmüller, 1775	ფოთი
<i>Gnopharmia colchidaria</i> Lederer, 1870	ქობულეთი
<i>Apilates gilvaria</i> (Denis et Schiffmüller, 1775)	ქობულეთი
ოჯახი Notodontidae ქოჩორები	
<i>Peridea anceps</i> (Goeze, 1781)	ქობულეთი
ოჯახი Hesperidae მსხვილთავები	
<i>Carcharodus alceae</i> (Esper, 1780)	ქობულეთი
ოჯახი Papilionidae - აფროსნები	
<i>Allancastris caucasica</i> Lederer, 1864	რიონის ხეობა
ოჯახი Pieridae - თეთრულები	
<i>Colias chrysotheme</i> (Esper, 1777)	ქობულეთი
ოჯახი Lycaenidae - ცისფერები	
<i>Leptodes pirithous</i> (Linnaeus 1767)	ფოთი

2.2.7.2.2 იხტიოფაუნა

შავი ზღვის აკვატორია

კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო აკვატორიაში ბოლო პერიოდში წარმოებულ კვლევათა შედეგად დაფიქსირებული იქნა თევზების 27 ოჯახი და 45 სახეობა, რაც საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს იქთიოფაუნის დაახლოებით 41%-ია (იხ. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში).

ამათგან 18 სახეობა ბენტალური ანუ ფსკერული ფორმაა, გვხდება ძირითადად ფსკერზე და ფსკერთან ახლოს, 18 სახეობა ბენტო-პელაგიურია, რომლებიც გვხდება როგორც ფსკერზე და ფსკერთან ისე წყლის სისქეში, დანარჩენი 9 სახეობა პელაგიურია, ანუ ძირითადად გვხდება წყლის სისქეში (იხ. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში).

იქთიოფაუნის 26 სახეობა მიეკუთვნება ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტების ეკო-ფაუნისტურ კომპლექსს, რაც ნიშნავს იმას, რომ შავ ზღვაში მათი არსებობა დაკავშირებულია ხმელთაშუაზღვის იქთიოფაუნისტურ კომპლექსთან, 5 სახეობა ბორეო-ატლანტური რელიქტია, ანუ მათი არსებობა კავშირშია გამყინვარების პროცესებთან, 13 სახეობა პონტო-კასპიური რელიქტია, ანუ მკვიდრი ფორმაა, ეს სახეობები ფორმირდნენ პონტო-კასპიურ აუზში, ერთი სახეობა კეფალი პილენგასი ინტროდუცირებულია იაპონიის ზღვიდან გასული საუკუნის 80-იან წლებში (იხ. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში).

კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო აკვატორიის იქთიოფაუნაში რაოდენობრივად დომინირებს ქაფშია სტავრიდა, ხონთქარა და მერლანგი. სხვა ფორმები გვხდება ბევრად ნაკლები რაოდენობით.

დაფიქსირებული სახეობებიდან 5 მათგანი (ზუთხისებრთა ოჯახის წარმომადგენლები – ტარადანა, კოლხური ზუთხი, რუსული ზუთხი, სვია და ღორჯოსებრთა ოჯახის წარმომადგენელი – მექვიაშია ღორჯო) შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

იქთიოფაუნის სიუხვის კატეგორიები მოცემულია შემდეგი შკალის მიხედვით:

ცხრილი 2.12 კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო აკვატორიის იქთიოფაუნა და მისი დაცულობის სტატუსი, ბიო-კონსერვაციული ღირებულება, ენდემიზმი, რიგი ბიო-ეკოლოგიური თავისებურებები და სიუხვის კატეგორიები

სიუხვის კატეგორია	კატეგორიის რიცხვი
მასიურია	7
მრავალრიცხოვანია	6
წარმომადგენლობითია	5
მცირერიცხოვანია	4
იშვიათია	3
ძალზედ იშვიათია	2
შემთხვევითია	1
არაა წარმოდგენილი	0

ცხრილი 2.13 იხტიოფაუნა

##	სამეცნიერო სახელწოდება	ქართული სახელწოდება	ინგლისური სახელწოდება	დაცულობის სტატუსი/ ბიო-კონსერვაციული ღირებულება	ენდემიზმი, ბიო-ეკოლოგიური თავისებურებები	სიუხვის კატეგორია
I	Acipenseridae Bonaparte, 1831	ოჯ. ზუთხისებრნი	Fam. Sturgeons			
1	Acipenser stellatus Pallas, 1771	ტარღანა	Starry Sturgeon	IUCN Red List Status - Critically Endangered (CR); CITES - Appendix II: International trade monitored; BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES; BONN Convention - Appendix II; შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, სტატუსი EN	ბენტო-პელაგიური, პონტო-კასპიური რელიქტი	2
2	Acipenser colchica Marti, 1940 (Acipenser persicus colchicus Marti, 1940)	კოლხური ზუთხი	Colchic strurgeon	IUCN Red List Status - Critically Endangered (CR); CITES - Appendix II: International trade monitored; BONN Convention - Appendix II; შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, სტატუსი EN	ბენტო-პელაგიური, პონტო-კასპიური რელიქტი კოლხეთის ენდემი	2
3	Acipenser gueldenstaedtii Brandt & Ratzeburg, 1833	რუსული ზუთხი	Russian sturgeon	IUCN Red List Status - Critically Endangered (CR); CITES - Appendix II: International trade monitored; BONN Convention - Appendix II; შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, სტატუსი EN	ბენტო-პელაგიური, პონტო-კასპიური რელიქტი	2
4	Huso huso (Linnaeus, 1758)	სვია	Beluga Strurgeon	IUCN Red List Status - Critically Endangered (CR); CITES - Appendix II: International trade monitored; BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES; BONN Convention - Appendix II; შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, სტატუსი EN	ბენტო-პელაგიური, პონტო-კასპიური რელიქტი	2
III	Gobiidae Fleming, 1822	ოჯ. ღორჯოსებრნი	Fam. Gobies			
5	Neogobius melanostomus (Pallas, 1814)	შავპირა ღორჯო	Round Goby	IUCN Red List Status - Least Concern (LC);	პონტო-კასპიური რელიქტი, ფსკერული	5
6	Neogobius fluviatilis (Pallas, 1814)	მეჭვიშია ღორჯო	Monkey Goby	IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES; შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, სტატუსი VU	პონტო-კასპიური რელიქტი, ფსკერული	1

7	<i>Neogobius ratan</i> (Nordmann, 1840)	ღორჯო-რატანი	Ratan Goby		პონტო-კასპიური რელიქტი ფსკერული	1
8	<i>Proterorhinus marmoratus</i> (Pallas, 1814)	მიღვებირა ღორჯო	Tubenose Goby	IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES	პონტო-კასპიური რელიქტი, ფსკერული	1
9	<i>Neogobius gymnotrachelus</i> (Kessler, 1857)	ყელტიტველი ღორჯო	Racer Goby	IUCN Red List Status - Least Concern (LC);	პონტო-კასპიური რელიქტი, ფსკერული	1
10	<i>Ponticola kessleri</i> (Günther, 1861)	თავდიდა ღორჯო	Bighead goby		პონტო-კასპიური რელიქტი, ფსკერული	1
11	<i>Gobius niger</i> Linnaeus, 1758	შავი ღორჯო	Black Goby		ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი, ფსკერული	2
12	<i>Knipowitschia longicaudata</i> (Kessler, 1877)	კაჭკაჭა ღორჯო	Longtail dwarf goby		პონტო-კასპიური რელიქტი, ფსკერული	1
III	Pleuronectidae Rafinesque, 1815	ოჯ. მდინარის კამბალასებრნი	Fam. Flounders			
13	<i>Platichthys flesus</i> (Linnaeus, 1758)	კამბალა-გლოსა	Flounder	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ფსკერული, ბორეო-ატლანტური რელიქტი	3
IV	Soleidae Bonaparte, 1831	ოჯ. ზღვის ენასებრნი	Fam. Soles			
14	<i>Pegusa nasuta</i> (Pallas, 1814)	ზღვის ენა	Blackhand sole	IUCN Red List Status - Not Evaluated	ფსკერული, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	4
V	Scophthalmidae Chabanaud, 1933	ოჯ. ქამბალა კალკანისებრნი	Fam. Turbots			
15	<i>Scophthalmus maoticus</i> (Pallas, 1814)	შავი ზღვის ქამბალა-კალკანი	Black sea Turbot	IUCN Red List Status - Not Evaluated	ფსკერული, ბორეო-ატლანტური რელიქტი	4
VI	Anguillidae Rafinesque, 1815	ოჯ. გველთევზასებრნი	Fam. Freshwater Eels			
16	<i>Anguilla anguilla</i> (Linnaeus, 1758)	ევროპული გველთევზა	European Eel	IUCN Red List Status - Critically Endangered (CR); CITES - Appendix II: International trade monitored; BONN Convention - Appendix II.	ბენთო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	1
VII	Atherinidae Risoo, 1827	ოჯ. ათერინასებრნი	Fam. Silversides			
17	<i>Atherina boyeri pontica</i> Eichwald, 1831	შავი ზღვის ათერინა	Black Sea Sandsmelt	IUCN Red List Status - Least Concern (LC);	შავი ზღვის ენდემი, პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	4
VIII	Moronidae Bonaparte, 1831	ოჯ. ლავრაკისებრნი	Fam. Basses			
18	<i>Dicentrarchus labrax</i> (Linnaeus, 1758)	ლავრაკი	Sea Bass	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	პელაგიური,	2

					ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	
IX	Syngnathidae, Bonaparte, 1831	ოჯ. ნემსთევზასებრნი	Fam. Pipefishes			
19	Syngnathus abaster Risso, 1827	ნემსთევზა	Black Sea Pipefish	IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES.	ბენთო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	3
20	Hippocampus <u>guttulatus</u> Cuvier, 1829	გრძელდინგა ცხენთევზა	Long-snouted Seahorse	IUCN Red List Status - Data deficient (DD)	ბენთო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	4
X	Mugilidae Bonaparte, 1831	ოჯ. კეფალსებრნი	Fam. Mullet			
21	Mugil cephalus Linnaeus, 1758	კეფალი	Flat-Headed Mullet	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ბენთო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	5
22	<i>Liza haematocheila</i> (Temminck & Schlegel, 1845) (Syn: Mugil soiuy Basilewsky, 1855)	პილენგასი	So-iuy Mullet	IUCN Red List Status - Not Evaluated	ბენთო-პელაგიური, ინტროდუცირებულია	4
23	<i>Liza aurata</i> (Risso, 1810)	ოქროსფერი კეფალი	Golden Mullet	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ბენთო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	6
24	<i>Liza saliens</i> (Risso, 1810)	ცხვირმახვილა კეფალი	Leaping Gray Mullet	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ბენთო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	5
XI	Clupeidae, Cuvier, 1816	ოჯ. ქაშაყისებრნი	Fam. Herrings			
25	<i>Alosa caspia palaeostomi</i> Sadovsky, 1934	პალისტომის ღიპა ქაშაყი	Paliastomi Shad	IUCN Red List Status - Not Evaluated (NE); შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში (სტატუსით - VU)	პელაგიური, პონტო-კასპიური რელიქტი, კოლხეთის (შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს) ენდემი	4
26	<i>Alosa immaculata</i> Bennett, 1835	შავი ზღვის ქაშაყი	Black sea Shad	IUCN Red List Status - Vulnerable (VU)	პელაგიური, პონტო-კასპიური რელიქტი, შავი ზღვის აუზის ენდემი	5
27	<i>Sprattus sprattus</i> (Linnaeus, 1758)	ქარსალა	sprat	IUCN Red List Status - Not Evaluated (NE)	პელაგიური, ბორეო-ატლანტური რელიქტი	7
XII	Engraulidae Gill, 1861	ოჯ. ქაფშიასებრნი	Fam. Anchovies			
28	<i>Engraulis encrasicolus ponticus</i> Alexandrov, 1927	ქაფშია	Black Sea Anchovy	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	პელაგიური, შავი ზღვის აუზის ენდემი; ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	7
XIII	Dasyatidae D. S. Jordan, 1888	ოჯ. კუდხანჯალასებრნი	Fam. Stingrays			

29	<u>Dasyatis pastinaca</u> (Linnaeus, 1758)	კუდხანჯალა	Common Stingray	IUCN Red List Status - Data deficient (DD)	ფსკერული, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	5
XIV	Carangidae Rafinesque, 1815	ოჯ. სტავრიდასებრნი	Fam. Jacks			
30	<u>Trachurus mediterraneus</u> ponticus Aleev, 1956	შავი ზღვის სტავრიდა	Black Sea Horse Mackerel	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	პელაგიური, შავი ზღვის აუზის ენდემი, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	6
XV	Sciaenidae Cuvier, 1829	ოჯ. სციენასებრნი	Fam. Drums			
31	<u>Umbrina cirrosa</u> (Linnaeus, 1758)	ქოთები (ღია)	Shi drum	IUCN Red List Status - Not Evaluated (NE)	ბენტო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	4
32	Sciaena umbra Linnaeus, 1758	მუქი ქოთები	Brown meagre or corb	IUCN Red List Status - Near Threatened (NT)	ბენტო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	3
XVI	Gadidae Rafinesque, 1810	ოჯ. მერლანგისებრნი	Fam. Cods			
33	Merlangius merlangus (Linnaeus, 1758)	მერლანგი	Whiting	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ბორეო-ატლანტური რელიქტი, ბენტო-პელაგიური	6
XVII	Mullidae Rafinesque, 1815	ოჯ. ხონთქარასებრნი	Fam. Red mullets			
34	Mullus barbatus ponticus Essipov, 1927	ხონთქარა	Black sea red mullet	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	შავი ზღვის აუზის ენდემი, ფსკერული, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	6
XVIII	Lotidae Bonaparte, 1832	ოჯ. ლაბუტასებრნი	Fam. lings or rocklings			
35	Gaidropsarus mediterraneus (Linnaeus, 1758)	სამწვერა ლაბუტა	Shore rockling	IUCN Red List Status - Not Evaluated (NE)	ბენტო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	3
XIX	Trachinidae Rafinesque, 1815	ოჯ. ზღვის ურჩხულისებრნი	Fam. Weeverfishes			
36	Trachinus draco Linnaeus, 1758	ზღვის ურჩხული	Greater weever	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ფსკერული, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	4
XX	Ophidiidae Rafinesque, 1810	ოჯ. ნიკაპვარფლასებრნი	Fam. Cusk-eels			
37	<u>Ophidion rochei</u> Müller, 1845	ნიკაპვარფლა, გველმზგავსა	Cusk-eel, Roche's snake blenny	IUCN Red List Status - Data deficient (DD)	ფსკერული, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	3
XXI	Scorpaenidae A. Risso, 1826	ოჯ. ზღვის ჩიქვისებრნი	Fam. scorpionfishes			

38	<i>Scorpaena porcus</i> Linnaeus, 1758	ზღვის ჩიქვი	Black scorpionfish	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ფსკერული, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	5
XXII	Rajidae Bonaparte, 1831	ოჯ. ზღვის მელასებრნი	Fam. Skates			
39	<i>Raja clavata</i> Linnaeus, 1758	ზღვის მელა	Thornback ray	IUCN Red List Status - Near Threatened (NT)	ფსკერული, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	4
XXIII	Pomatomidae Gill, 1863	ოჯ. ლუფარისებრნი	Fam. bluefishes			
40	<i>Pomatomus saltatrix</i> (Linnaeus, 1766)	ლუფარი	Bluefish	IUCN Red List Status - Vulnerable (VU)	პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	5
XXIV	Sparidae Rafinesque, 1810	ოჯ. ზღვის კარჩხანასებრნი	Fam. Sea Breams and Porgies			
41	<i>Spicara smaris</i> (Linnaeus, 1758) / <i>Spicara maena</i> (Linnaeus, 1758)	სმარისი	picarel	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ბენტო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	5
42	<i>Diplodus annularis</i> (Linnaeus, 1758)	ზღვის კარჩხანა	Annular seabream	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ბენტო-პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	3
XXV	Uranoscopidae Jordan & Evermann, 1898	ოჯ. ზღვის ვარსკლავთმორიცხე ელისებრნი	Fam. Stargazers			
43	<i>Uranoscopus scaber</i> Linnaeus, 1758	ზღვის ვარსკლავთმორიცხელი	Stargazer	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	ფსკერული, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	5
XXVI	Squalidae Bonaparte, 1834	ოჯ. ქიცვიანი ზვიგენისებრნი	Fam. Dogfish sharks			
44	<i>Squalus acanthias</i> Linnaeus, 1758	ქიცვიანი ზვიგენი	Spiny dogfish	IUCN Red List Status - Vulnerable (VU)	ბენტო-პელაგიური, ბორეო-ატლანტური რელიქტი	3
XXVII	Scombridae Rafinesque, 1815	ოჯ. სკუმბრიასებრნი	Fam. Mackerels			
45	<i>Sarda sarda</i> (Bloch, 1793)	პელამიდა	Atlantic bonito	IUCN Red List Status - Least Concern (LC)	პელაგიური, ხმელთაშუაზღვიური იმიგრანტი	4

პალიასტომის ტბა

პალიასტომის ტბა მიეკუთვნება საქართველოს უმნიშვნელოვანეს შიდა წყალსატევს. მიუხედავად წარსულში განხორციელებული რიგი ანთროპოგენური მანიპულაციებისა ტბა დღესაც გამორჩეულია თავისი პროდუქტიულობითა და ჭერილებით. ასევე გამორჩეულია ტბის იქთიოფაუნის ბიოლოგიური მრავალფეროვნებაც.

პუზანოვი (Пузанов, 1940) პალიასტომის ტბის იქთიოფაუნა 39 სახეობით განსაზღვრავს, მათგან 11 სახეობაა აკუთვნებს ზღვის ფორმებს, რომლებიც პერიოდულად შედიან გამტკნარებულ უბნებში, 16 სახეობას მტკნარი წყლის ფორმებს, რომლებსაც მცირე გამლაშების ატანის უნარი გააჩნიათ, 7 სახეობას მომლაშო წყლის და 5 გამსვლელ ფორმებს. მათგან პირველხარისხოვანი სარეწაო მნიშვნელობა გააჩნდა კობრს, ოქროსფერ კეფალს, ათერინას და ფარგას, ხოლო მეორეხარისხოვანი სარეწაო მნიშვნელობის მატარებელი იყო ტარადანა, პალიასტომის ქაშაყი, კაპარჭინა, ღლავი, წერი, ლავრაკი და ღია ნაგვერდალა (ქოთეხი). პუზანოვი (Пузанов, 1940) აქვე აღნიშნავდა, რომ იქთიოფაუნის მის მიერ მოცემული ნუსხა არ უნდა იყოს საბოლოო და ტბის უფრო დეტალური კვლევის შემთხვევაში არ გამორიცხავდა ნუსხის შევსებას ზღვის იმ ფორმების ხარჯზე, რომლებსაც მომლაშო წყლების ატანა შეუძლიათ და ასევე წვრილი მტკნარი წყლის თევზების ხარჯზე, რომლებიც, როგორც წესი არ ხვდებიან სარეწაო ბადე-აირაღებში.

როგორც ჩანს ტბის ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული იქთიოფაუნა ატარებდა შერეულ ხასიათს. აქ ზრდა-ნასუქობის კარგი პირობები იყო შექმნილი მტკნარი წყლის თევზებისთვის, რომლებიც ტოფობდნენ ტბის სხვადასხვა ლოკალიტეტში ან მასში ჩამავალ მდინარეებში. პალიასტომის ტბა ასევე წარმოადგენდა ზუთხისებრთა, განსაკუთრებით მისი ახალმოზარდეულის საზრდელ წყალსატევს. ტბა აგრეთვე წარმოადგენდა რიგი ზღვის თევზების ზრდა-ნასუქობის ლოკალიტეტსაც, ტბაში დიდი რაოდენობით შედიოდა კეფალისებრთა სახეობები.

ისტორიულად პალიასტომი წარმოადგენდა სუსტად გამლაშებულ წყალსატევს, ტბის გამლაშება კი პერიოდულ-სეზონურ ხასიათს ატარებდა. ზღვის წყლის მასები რთულად აღწევდნენ ტბაში, რადგან ტბიდან სამხრეთითი გამავალი კაპარჭას სიგრძე – ზღვასთან შეერთებამდე იყო 2.5-3.0 კმ, და შესართავში კაპარჭა ქმნიდა 180°-იან ბრუნს ზღვის მიმართულებით. სავარაუდოდ გამლაშება არ მოიცავდა ტბის მთლიან აქვატორიას, ტბაში არსებობდა საკმაოდ ვრცელი გამლაშებას მოკლებული უბნები. 1924-1925 წელს ტბის სამხრეთ-დასავლეთი ნაპირიდან გაიყვანეს მალთაყვის არხი და ტბა პირდაპირ შეუერთეს ზღვას. არხი გაჭრილი იქნა იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო პალიასტომის ტბიდან ზღვისკენ ჭარბი წყლის გადინების ტემპი და მოცულობა, რათა ძლიერი წყალდიდობების დროს თავიდან აეცილებინათ ქ. ფოთის დატბორვა ნიაღვრებით. მალთაყვის არხის გაყვანის (1924-1925 წელი) შემდეგ ტბის გამლაშების დონემ მოიმატა, თუმცა ის ჯერ კიდევ ატარებდა მკვეთრად გამოხატულ სეზონურ ხასიათს. 1933 წლის დეკემბერში პალიასტომის ტბაში წყლის დონის მკვეთრი აწევის და ზღვის ძლიერი ზვირთცემის შედეგად მოხდა არხის გარღვევა – გაგანიერება/დაღრმავება (140-160 მ. სიგანე, 3,2 მ სიღრმე) და წარმოიქმნა სრუტე, რის შედეგად ტბა გადაიქცა ღია ზღვიურ ლაგუნად. 1933 წლიდან–მალთაყვის სრუტის წარმოქმნის გამო ტბის მნიშვნელოვანი გამლაშება უკვე მუდმივი მოვლენა გახდა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში სახეზეა პალიასტომის ეკოსისტემის ძირეული გარდაქმნა ძირითადად მტკნარი და ნაწილობრივ მოლამო ტიპიდან, ძირითადად გამლაშებულ ტიპზე, თანმდევნი ნეგატიური მოვლენებით, რომლებიც ტბის ბიოლოგიის ყველა მიმართულებაში აისახა. განსაკუთრებით დრამატული იყო ეს ცვლილებები იქთიოცენოზის ხარისხობრივ და რაოდენობრივ სტრუქტურაში.

როგორც ცნობილია იქთიოფაუნა წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების ყველაზე კომერციულ კომპონენტს, რომელიც განიცდის ანთროპოგენური პრესის ყველა იმ ფორმას (დაბინძურება, ევტროფიკაცია, ინვაზიური სახეობები, კლიმატის ცვლილება და სხვა), რომლებიც სახასიათოა ბიომრავალფეროვნების სხვა კომპონენტებისათვის და პლიუს სარეწაო პრესს, რაც იქთიოფაუნის ანთროპოგენისა და გარემოს ცვლილებათა მიმართ განსაკუთრებულ სენსიტიურობას განაპირობებს. იქთიოფაუნა წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების ერთადერთ კომპონენტს, რომლის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ წყლის გარემოში და მისი ბიოტის ყველა კომპონენტში (ფიტოპლანქტონი, ზოოპლანქტონი, ნეისტონი, ბენტოსი, ეპიფაუნა, ზღვის თერიოფაუნა და ზღვის ორნიტოფაუნა) მიმდინარე ცვლილებებს.

გასული საუკუნის 30-იან წლებიდან მკვეთრად მცირდება მტკნარი წყლის თევზების წილი, იზრდება დაბალი სიმლაშის ამტანი ზღვიური ფორმების მრავალფეროვნება და რიცხოვნობა. 1940 წლამდე პალიასტომის იქთიოფაუნის ბიოლოგიური მრავალფეროვნება 39 სახეობით იყო შეფასებული (Пузанов, 1940). მოგვიანებით ჩერნოვა (Чернова, 1973) ტბაში 32 სახეობას აღრიცხავს, ხოლო ბურჭულაძე (ბურჭულაძე და სხვა, 1974-1989 წწ) 27 სახეობას. ბოლო პერიოდში წარმოებული კვლევები პალიასტომის იქთიოფაუნას 16-17 სახეობით განსაზღვრავს (Komakhidze, Mazmanidi, 1998; კომახიძე და გორაძე, 2006). ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით პალიასტომის იქთიოფაუნის ამჟამინდელი ბიოლოგიური მრავალფეროვნება შეადგენს 30 სახეობას, რაც მნიშვნელოვანად აღემატება 2006 და 1998 წლის მონაცემებს, მცირედით აღემატება 1985 წლის და მცირედ ჩამორჩება 1973 წლის მონაცემს, მნიშვნელოვანად ჩამორჩება 1940 წლამდე არსებულ მრავალფეროვნებას (იხ. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში).

მთლიანობაში პალიასტომის ტბაში თევზების 57 ფორმაა დაფიქსირებული (იხ. ცხრილში).

გასული საუკუნის 30-იან წლებში ტბის პროდუქტიულობა ჰექტარზე 100 კგ-ს აღწევდა და კიდევ უფრო მაღალი იყო მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 დასაწყისში, როდესაც ყოველწლიური ჭერილები 300 ტონას აჭარბებდა (Барах, 1964).

გასული საუკუნის 30-იან წლებში ტბაში რეწვა ეფუძნებოდა კეფალისებრ თევზებს (საშუალოდ 40%), ფარგას (საშუალოდ 29%), კობრსა (საშუალოდ 10%) და ღლავს (საშუალოდ 5%). კაპარჭინა, წერი, პალიასტომის ქაშაყი და შავი ზღვის ქაშაყი, ლავრაკი, ღია ნაგვერდალა, ზუთხისებრნი, ქორჭილა, ფარფლწითელა, შამაია, კაპარჭა შეადგენდა საერთო ჭერილის საშუალოდ 20%-ს (Барах, 1964).

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში პალიასტომის ტბის საერთო წლიური ჭერილი 310 ტონის ფარგლებში იყო, 1931 წელს ჭერილმა 187 ტონა შეადგინა, 1936 წელს ჭერილები კატასტროფულად მცირდება და 33 ტონამდე დადის, შემცირების ტენდენცია ნარჩუნდება და კიდევ უფრო ღრმავდება მომდევნო წლებში. 1973 წელს ჭერილმა მხოლოდ 12 ტონა შეადგინა. 2015 წელს ჩვენი მონაცემებით პალიასტომის ტბაში საერთო ჭერილი 47 ტონას


შეადგენს, რითაც ის აღემატება 1936 წლის ჭერილს, თუმცა თითქმის 4-ჯერ ჩამორჩება 1931 წლის ჭერილს.

ჭერილების ანალოგიურად ცვალებადობს ტბის თევზპროდუქტიულობაც, 1900 წელს ჰექტარზე ის – 170 კგ-ის ფარგლებშია, 1936 წელს – 102 კგ, 1936 წ. – 18-19 კგ, 1973 წ. – 6-7 კგ და 2015 წ. – 25-26 კგ.

როგორც ჩანს, ბოლო 80 წლის განმავლობაში პალიასტომის ტბის ძირითადად მტკნარმა და ნაწილობრივ მოლამო ეკოსისტემამ მოახერხა ტრანსფორმირება ლაგუნურ ტიპის ძირითადად გამლამბებულ ეკოსისტემად.

2015 წელს ჩვენს მიერ წარმოებული კვლევებით პალიასტომის ტბის იქთიომასა 365 ტონას აღწევს. იქთიომასის მაქსიმალური მაჩვენებელი აღინიშნება მაის-ივნისის თვეებში. იქთიომასის 52,2%-ს შეადგენს ოქროსფერი კეფალი, 21,2% კარასი, 14,5% კეფალი (ლობანი), 3,4% ლორჯოსებრნი, იქთიომასის სახეობრივი შემადგენლობა მოცემულია დიაგრამის სახით (იხ. დიაგრამა).

იქთიომასის შემადგენლობა



ცხრილი 2.14 პალიასტომის ტბის თევზების სახეობრივი მრავალფეროვნება

#	სახეობა		წლები					
			1940	1973	1985	1998	2006	2015
1	Acipenser nudiventris Lovetsky, 1828	ჯარღალა	+	-	-	-	-	-
2	Acipenser gueldenstaedtii Brandt & Ratzeburg, 1833	რუსული ზუთი	-	-	-	-	-	-
3	Acipenser colchica Marti, 1940	კოლხური ზუთი	+	-	-	-	-	-
4	Acipenser sturio Linnaeus, 1758	ფორონჯი	+	-	-	-	-	-
5	Acipenser stellatus Pallas, 1771	ტარღანა	+	-	+	-	-	-
6	Dasyatis pastinaca (Linnaeus, 1758)	ზღვის კატა	+	-	-	-	-	+
7	Alosa caspia palaeostomi Sadovsky, 1934	პალასტომის ქაშაყი	+	+	+	-	+	+
8	Alosa immaculata Bennett, 1835	შავი ზღვის ქაშაყი	+	+	+	+	+	+
9	Engraulis encrasicolus ponticus Alexandrov, 1927	ქაშაყი შავი ზღვის	+	+	+	-	-	+
10	Esox lucius Linnaeus, 1758	წერი	+	+	+	+	+	+
11	Rutilus rutilus (Linnaeus, 1758)	ნაფოტა	+	+	+	-	-	-
12	Rutilus frisii (Nordmann, 1840)	მორეის ნაფოტა	+	-	-	-	-	-
13	Squalius cephalus orientalis Nordmann, 1840	ქაშაყი კავკასიური	-	-	-	+	-	-
14	Scardinius erythrophthalmus (Linnaeus, 1758)	ფარფლწითელა	+	+	-	-	-	+
15	Leuciscus aspius (Linnaeus, 1758)	ჭერეხი	+	-	-	+	-	-
16	Tinca tinca (Linnaeus, 1758)	გუწუ (ლოქორია)	+	-	-	-	+	-
17	Alburnus derjugini Berg, 1923	კოლხური შემაია	+	+	+	+	+	+
18	Alburnus alburnus (Linnaeus, 1758)	თაღლითა	+	-	-	-	-	-
19	Alburnoides bipunctatus (Bloch, 1782)	ფრიტა	+	-	+	-	-	-
20	Blicca bjoerkna (Linnaeus, 1758)	კაპარჭა	+	+	-	-	-	-
21	Abramis brama (Linnaeus, 1758)	კაპარჭინა	+	+	+	-	-	-
22	Vimba vimba (Linnaeus, 1758)	მცირე ვიმბა	+	+	+	+	+	+
23	Rhodeus amarus (Bloch, 1782)	ტაფელა	+	-	+	-	-	-
24	Carassius gibelio (Bloch, 1782)	ვერცხლისფერი კარასი	+	-	-	+	+	+
25	Cyprinus carpio Linnaeus, 1758	კობრი	+	+	+	-	-	-
26	Cobitis satunini Gladkov, 1935	გველანა	+	-	-	-	-	-
27	Silurus glanis Linnaeus, 1758	ღლავი (ლოქო)	+	-	-	-	+	-
28	Anguilla anguilla (Linnaeus, 1758)	გველთევზა	+	+	+	-	-	-
29	Gasterosteus aculeatus Linnaeus, 1758	სამეკალა	+	-	+	-	-	-
30	Syngnathus abaster Risso, 1827	ნემსთევზა	+	+	+	+	-	+
31	Hippocampus guttulatus Cuvier, 1829	ცხენთევზა	-	+	+	-	-	+
32	Gambusia holbrooki Girard, 1859	გამბუზია	-	+	+	-	-	+
33	Mugil cephalus Linnaeus, 1758	კეფალი	+	+	+	-	+	+
34	Liza haematocheila (Temminck & Schlegel, 1845)	პილენგასი	-	-	-	+	+	+
35	Liza aurata (Risso, 1810)	ოქროსფერი კეფალი	+	+	+	+	+	+
36	Liza saliens (Risso, 1810)	მახვილცხვირა კეფალი	-	-	-	-	-	+
37	Atherina boyeri A. Risso, 1810	ათერინა	+	+	+	-	-	+
38	Dicentrarchus labrax (Linnaeus, 1758)	ლავრაკი	+	-	-	-	-	-
39	Sander lucioperca (Linnaeus, 1758)	ფარგა	+	+	+	-	-	-
40	Perca fluviatilis Linnaeus, 1758	ქორჭილა	+	+	+	+	+	+
41	Trachurus mediterraneus ponticus Aleev, 1956	სტავრიდა	-	+	+	+	+	+
42	Sciaenops ocellatus Linnaeus, 1758	მუქი ნაგვერდალა	+	-	-	-	-	-
44	Umbrina cirrosa (Linnaeus, 1758)	ღია ნაგვერდალა	+	+	+	-	-	+
45	Diplodus annularis (Linnaeus, 1758)	ზღვის კარჩხანა	-	-	-	+	-	-
46	Merlangius merlangus Nordmann, 1840	მერლანგი	-	+	-	-	-	+
47	Mullus barbatus ponticus Essipov, 1927	ხონტყარა	-	+	-	-	-	+
48	Pomatoschistus caucasicus Berg, 1916	კავკასიური ღორჯო	-	+	+	-	-	-
49	Knipowitschia longicauda (Kessler, 1877)	კაჭკაჭა ღორჯო	-	+	+	-	-	-
50	Babka gymnotrachelus (Kessler, 1857)	ყელტიტველა ღორჯო	-	+	-	-	+	+
51	Gobius niger Linnaeus, 1758	შავი ღორჯო	-	-	-	-	+	+
52	Neogobius melanostomus (Pallas, 1814)	შავპირა ღორჯო	+	+	-	+	+	+
53	Ponticola kessleri (Günther, 1861)	დიდთავა ღორჯო	-	-	-	-	+	+
54	Neogobius fluviatilis (Pallas, 1814)	მეკვიშია ღორჯო	+	+	-	+	-	+
55	Scopthalmus maeoticus (Pallas, 1814)	ქამბალა-კალკანი	-	+	-	+	-	+
56	Platichthys flesus (Linnaeus, 1758)	ქამბალა-გლოსა	+	+	+	-	-	+
57	Pegusa nasuta (Pallas, 1814)	ზღვის ენა	-	+	-	-	-	+
სულ:			39	32	27	16	17	30
55	Scopthalmus maeoticus (Pallas, 1814)	ქამბალა-კალკანი	-	+	-	+	-	+
56	Platichthys flesus (Linnaeus, 1758)	ქამბალა-გლოსა	+	+	+	-	-	+
57	Pegusa nasuta (Pallas, 1814)	ზღვის ენა	-	+	-	-	-	+
სულ:			39	32	27	16	17	30

მდ. ჭურია და მისი შენაკადები.

მდ. ჭურია ტიპური დაბლობის ტიპის მდინარეა, დაჭაობებული სანაპირო ზოლით. მდ. ჭურის შესართავში და ქვემო წელში ფიქსირდება თევზების 24 სახეობა/ქვესახეობა, მათგან 3-სახეობა კატადრომულია და 21-სახეობა რეზიდენტული და პოტამოდრომულია. აქ გავრცელებულია 1 კოლხური ენდემური სახეობა, ასევე შესართავში გვხვდება კავკასიური, შავი ზღვის ენდემების და პონტო-კასპიური რელიქტების არაერთი სახეობა. შესართავში წარმოდგენილია 3 ინტროდუცირებული და 1 ინვაზირებული ფორმა (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი).

ცხრილი 2.15 მდ. ჭურის (შესართავი და ქვემო წელი) იქთიოფაუნა

სამეცნიერო სახელწოდება	ქართული სახელწოდება	ინგლისური სახელწოდება	სიუხვე	დაცულობის სტატუსი/ ენდემიზმი, ბიო-კონსერვაციული ღირებულება
<i>Neogobius melanostomus</i> (Pallas, 1814)	შავპირა ღორჯო	Round Goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC); პონტო-კასპიური რელიქტი
<i>Neogobius fluviatilis</i> (Pallas, 1814)	მექვიშა ღორჯო	Monkey Goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES; პონტო-კასპიური რელიქტი, შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, სტატუსი VU
<i>Neogobius ratan</i> (Nordmann, 1840)	ღორჯო-რატანი	Ratan Goby		პონტო-კასპიური რელიქტი
<i>Proterorhinus marmoratus</i> (Pallas, 1814)	მილცხვირა ღორჯო	Tubenose Goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES; პონტო-კასპიური რელიქტი
<i>Neogobius gymnotrachelus</i> (Kessler, 1857)	ყელტიტველი ღორჯო	Racer Goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC); პონტო-კასპიური რელიქტი
<i>Perca fluviatilis</i> Linnaeus, 1758	ქორჭილა	Perch		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Esox lucius</i> Linnaeus, 1758	წერი	Pike		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Syngnathus abaster</i> Risso, 1827	ნემსთევზა	Black Sea Pipefish		IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES.
<i>Gambusia holbrooki</i> Girard, 1859	გამბუზი	Mosquitofish		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Mugil cephalus</i> Linnaeus, 1758	კევალი	Flat-Headed Mullet		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Mugil soiuy</i> Basilewsky, 1855	პილენგასი	So-iuy Mullet		
<i>Liza aurata</i> (Risso, 1810)	ოქროსფერი კევალი	Golden Mullet		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Gasterosteus aculeatus</i> Linnaeus, 1758	სამეკალა	Three-Spined Stickleback		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Cyprinus carpio</i> Linnaeus, 1758	გოჭა (კობრი)	Carp		IUCN Red List Status - Vulnerable (VU)
<i>Carassius gibelio</i> (Bloch, 1782)	ვერცხილფერი კარასი	Crucian Carp		
<i>Squalius orientalis</i> Heckel, 1847	ქაშაპი	Chub		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Petroleuciscus borysthenicus</i> (Kessler, 1859)	გუჯა ქაშაპი	Black sea Chub		IUCN Red List Status - Least Concern (LC) შავი ზღვის აუზის ენდემი

<i>Scardinius erythrophthalmus</i> (Linnaeus, 1758)	ვარვლწითელა	Rudd		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Tinca tinca</i> (Linnaeus, 1758)	გუწუ (ლოქორია)	Tench		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Alburnus derjugini</i> Berg, 1923	კოლხური თრისა (ელავი)	Colchic Bleak		IUCN Red List Status - Least Concern (LC) კოლხეთის ენდემური ფორმა
<i>Vimba vimba</i> (Linnaeus, 1758)	ვიმბა	Zahrte		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Rhodeus colchicus</i> Bogutskaya & Komlev, 2001	კოლხური ტაფელა	Colchic bitterling		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Hypophthalmichthys nobilis</i> (Richardson, 1845)	ჭრელი სქელშუბლა	Bighead carp		
<i>Abramis brama</i> (Linnaeus, 1758)	კაპარჭინა	Freshwater bream		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
24				

ცხრილი 2.16 მდ. ჭურის იქთიოფაუნის სიუხვის კატეგორიები

##	სიუხვის კატეგორია	კატეგორიის აღმნიშვნელი ფერი
1	მასიურია	
2	მრავალრიცხოვანია	
3	წარმომადგენლობითია	
4	მცირერიცხოვანია	
5	იშვიათია	
6	ძალზედ იშვიათია	
7	შემთხვევითია	
8	არაა წარმოდგენილი	

მდ. ცივა და მისი შენაკადები

მდ. ცივა, მდი ხობისწყლის მარცხენა შენაკადია, ის მდინარე ხობისწყალს უერთდება შესართავიდან დაახლოებით 700 მეტრში, შესაბამისად მდ. ცივას იქთიოფაუნა მდ. ხობისწყლის შესართავისა და ქვემო წელის იქთიოფაუნის მსგავსია. მდ. ცივა ტიპური დაბლობის ტიპის მდინარეა, დაჭაობებული სანაპირო ზოლით.

ლიტერატურული მონაცემების (Барац Г. П. 1941. Фауна Грузии. Т. I. Рыбы пресных вод. Изд-во АН Груз. ССР. Тбилиси. Эланидзе Р. Ф. 1983. Ихтиофауна рек и озер Грузии. Изд. "Мецნიერება". Тбилиси.) და ა. გუჩმაიძის მიერ 2008-2023 წლებში განხორციელებული კვლევების შედეგად მდინარე ხობის ისტორიული და თანამედროვე იქთიოფაუნა განისაზღვრება 62 სახეობა/ქვესახეობით, რომლებიც განეკუთვნებიან 24 ოჯახს. აღნიშნული 62 სახეობიდან - 19 სახეობა ზღვიდან შემთხვევით / არარეგულარულად აღწევს მდინარის შესართავ უბანში. ანუ მდ. ხობის ძირითადი იქთიოფაუნა შესაძლებელია განისაზღვროს - 43 სახეობით, მათგან 5-სახეობა კატადრომული, 10-სახეობა სემიანადრომული და 27-სახეობა რეზიდენტული და პოტამოდრომულია. შესართავში გავრცელებულია 6 კოლხური და კოლხურ-ჩრდილო ანატოლური ენდემური სახეობა, ასევე შესართავში გვხვდება კავკასიური, შავი ზღვის ენდემების და პონტო-კასპიური რელიქტების არაერთი სახეობა. შესართავში წარმოდგენილია 5 ინტროდუცირებული და 1 ინვაზირებული ფორმა.

უშუალოდ მდ. ცივაში მოპოვებულია თევზების 27 სახეობა/ქვესახეობა (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი).

ცხრილი 2.17 მდ. ცივას იქთიოფაუნა

##	სამეცნიერო სახელწოდება	ქართული სახელწოდება	ინგლისური სახელწოდება	სიუხვე	დაცულობის სტატუსი/ ენდემიზმი, ბიო-კონსერვაციული ღირებულება
	<i>Neogobius melanostomus</i> (Pallas, 1814)	შავპირა ღორჯო	Round Goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC); პონტო-კასპიური რელიქტი
	<i>Ponticola constructor</i> (Nordmann, 1840)	კავკასიური ღორჯო	Caucasian goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Neogobius fluviatilis</i> (Pallas, 1814)	მექვიშია ღორჯო	Monkey Goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES; პონტო-კასპიური რელიქტი, შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში, სტატუსი VU
	<i>Neogobius ratan</i> (Nordmann, 1840)	ღორჯო-რატანი	<i>Ratan Goby</i>		პონტო-კასპიური რელიქტი
	<i>Proterorhinus marmoratus</i> (Pallas, 1814)	მილცხვირა ღორჯო	<i>Tubenose Goby</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES; პონტო-კასპიური რელიქტი
	<i>Neogobius gymnotrachelus</i> (Kessler, 1857)	ყელტიტველი ღორჯო	<i>Racer Goby</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC); პონტო-კასპიური რელიქტი
	<i>Perca fluviatilis</i> Linnaeus, 1758	ქორჭილა	<i>Perch</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Esox lucius</i> Linnaeus, 1758	წერი	<i>Pike</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Syngnathus abaster</i> Risso, 1827	ნემსთევზა	<i>Black Sea Pipefish</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES.
	<i>Gambusia holbrooki</i> Girard, 1859	გამბუზია	<i>Mosquitofish</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Mugil cephalus</i> Linnaeus, 1758	კეფალი	<i>Flat-Headed Mullet</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Mugil soiyu</i> Basilewsky, 1855	პილენგასი	<i>So-iuyu Mullet</i>		
	<i>Liza aurata</i> (Risso, 1810)	ოქროსფერი კეფალი	<i>Golden Mullet</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Gasterosteus aculeatus</i> Linnaeus, 1758	სამეკალა	<i>Three-Spined Stickleback</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Cyprinus carpio</i> Linnaeus, 1758	გოჭა (კობრი)	<i>Carp</i>		IUCN Red List Status - Vulnerable (VU)
	<i>Carassius gibelio</i> (Bloch, 1782)	ვერცხილფერი კარასი	<i>Crucian Carp</i>		
	<i>Squalius orientalis</i> Heckel, 1847	ქაშაპი	Chub		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Petroleuciscus borysthenicus</i> (Kessler, 1859)	ჯუჯა ქაშაპი	<i>Black sea Chub</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC) შავი ზღვის აუზის ენდემი
	<i>Scardinius erythron-phthalmus</i> (Linnaeus, 1758)	ფარფლწითელა	<i>Rudd</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Tinca tinca</i> (Linnaeus, 1758)	გუწუ (ლოქორია)	<i>Tench</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Alburnus derjugini</i> Berg, 1923	კოლხური თრისა (ელავი)	<i>Colchic Bleak</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC) კოლხეთის ენდემური ფორმაა
	<i>Vimba vimba</i> (Linnaeus, 1758)	ვიმბა	<i>Zahrte</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Rhodeus colchicus</i> Bogutskaya & Komlev, 2001	კოლხური ტაფელა	Colchic bitterling		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Abramis brama</i> (Linnaeus, 1758)	კაპარჭინა	Freshwater bream		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Barbus rionicus</i> Kamensky, 1899	კოლხური წვერა	Colchic barbel		IUCN Red List Status - Not Evaluated
	<i>Alburnoides fasciatus</i> (Nordmann, 1840)	კოლხური ფრიტა	Transcaucasian spirilin (Schneider)		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
	<i>Rutilus rutilus</i> (Linnaeus, 1758)	ნაფოტა	Roach		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
სულ:				27	

ცხრილი 2.18 მდ. ცივას იქთიოფაუნის სიუხვის კატეგორიები

##	სიუხვის კატეგორია	კატეგორიის აღმნიშვნელი ფერი
1	მასიურია	
2	მრავალრიცხოვანია	
3	წარმომადგენლობითია	
4	მცირერიცხოვანია	
5	იშვიათია	
6	ძალზედ იშვიათია	
7	შემთხვევითია	
8	არაა წარმოდგენილი	

მდ. ფიჩორი

მდ. ფიჩორი ჩაედინება ტბა პალიასტომში, შესაბამისად მისი იქთიოფაუნა პალიასტომის იქთიოფაუნასთან მსგავსებას იჩენს, თუმცა გარკვეული სპეციფიურობით გამოირჩევა, რასაც განაპირობებს ზღვიური გავლენის არ არსებობა (სიმაღლე 0-1 პრომილე) და ასევე გარკვეული გამდინარობის არსებობა უმეტესწილად 0,1-0,3 მეტრი/წამში. მდ. ფიჩორი ტიპური დაბლობის ტიპის მდინარეა, დაჭაობებული სანაპირო ზოლით. უშუალოდ მდ. ფიჩორში მოპოვებულია თევზების 23 სახეობა/ქვესახეობა (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი).

ცხრილი 2.19 მდ. ფიჩორის იქთიოფაუნა

სამეცნიერო სახელწოდება	ქართული სახელწოდება	ინგლის. სახელ-წოდება	სიუხვე	დაცულობის სტატუსი/ ენდემიზმი, ბიო-კონსერვაციული ღირებულება
<i>Neogobius melanostomus</i> (Pallas, 1814)	შავპირა ღორჯო	Round Goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC); პონტო-კასპიური რელიქტი
<i>Ponticola constructor</i> (Nordmann, 1840)	კავკასიური ღორჯო	Caucasian goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Perca fluviatilis</i> Linnaeus, 1758	ქორჭილა	<i>Perch</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Esox lucius</i> Linnaeus, 1758	წერი	<i>Pike</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Syngnathus abaster</i> Risso, 1827	ნემსთევზა	<i>Black Sea Pipefish</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC); BERNE Convention - Appendix III – PROTECTED FAUNA SPECIES.
<i>Gambusia holbrooki</i> Girard, 1859	გამბუზია	<i>Mosquitofish</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Mugil cephalus</i> Linnaeus, 1758	კევალი	<i>Flat-Headed Mullet</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Mugil soiyu</i> Basilewsky, 1855	პილენგასი	<i>So-iuy Mullet</i>		
<i>Liza aurata</i> (Risso, 1810)	ოქროსფერი კევალი	<i>Golden Mullet</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Gasterosteus aculeatus</i> Linnaeus, 1758	სამეკალა	<i>Three-Spined Stickleback</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Cyprinus carpio</i> Linnaeus, 1758	გოჭა (კობრი)	<i>Carp</i>		IUCN Red List Status - Vulnerable (VU)
<i>Carassius gibelio</i> (Bloch, 1782)	ვერცხილფერი კარასი	<i>Crucian Carp</i>		
<i>Squalius orientalis</i> Heckel, 1847	ქაშაპი	Chub		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Petroleuciscus borysthenicus</i> (Kessler, 1859)	ჯუჯა ქაშაპი	<i>Black sea Chub</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC) შავი ზღვის აუზის ენდემი
<i>Scardinius erythrophthalmus</i> (Linnaeus, 1758)	ფარფლწითელია	<i>Rudd</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Tinca tinca</i> (Linnaeus, 1758)	ბუნწუ (ლოჭორია)	<i>Tench</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)

<i>Alburnus derjugini</i> Berg, 1923	კოლხური თრისა (ელავი)	<i>Colchic Bleak</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC) კოლხეთის ენდემური ფორმა
<i>Vimba vimba</i> (Linnaeus, 1758)	ვიმბა	<i>Zahrte</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Rhodeus colchicus</i> Bogutskaya & Komlev, 2001	კოლხური ტაფელა	Colchic bitterling		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Abramis brama</i> (Linnaeus, 1758)	კაპარჭინა	Freshwater bream		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Barbus rionicus</i> Kamensky, 1899	კოლხური წვერა	Colchic barbel		IUCN Red List Status - Not Evaluated
<i>Alburnoides fasciatus</i> (Nordmann, 1840)	კოლხური ფრიტა	Transcaucasian spiralin (Schneider)		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Rutilus rutilus</i> (Linnaeus, 1758)	ნაფოტა	Roach		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
სულ: 23				

ცხრილი 2.20 მდინარე ვიხორის იქთიოფაუნის სიუხვის კატეგორიები

##	სიუხვის კატეგორია	კატეგორიის აღმნიშვნელი ფერი
1	მასიურია	
2	მრავალრიცხოვანია	
3	წარმომადგენლობითია	
4	მცირერიცხოვანია	
5	იშვიათია	
6	ძალზედ იშვიათია	
7	შემთხვევითია	
8	არაა წარმოდგენილი	

მდ. თხორინა

მდ. თხორინა ჩაედინება ტბა პალსიტომში, შესაბამისად მისი იქთიოფაუნა პალსიტომის იქთიოფაუნასთან მსგავსებას იჩენს, თუმცა გარკვეული სპეციფიურობით გამოირჩევა, რასაც განაპირობებს ზღვიური გავლენის არ არსებობა (სიმლაშე 0-1 პრომილე) . მდ. თხორინა ტიპური დაბლობის ტიპის მდინარეა, დაჭაობებული სანაპირო ზოლით. უშუალოდ მდ. თხორინაში მოპოვებულია თევზების 23 სახეობა/ქვესახეობა (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი).

ცხრილი 2.21 მდ. თხორინას იქთიოფაუნა

სამეცნიერო სახელწოდება	ქართული სახელწოდება	ინგლისური სახელწოდება	სიუხვე	დაცულობის სტატუსი/ ენდემიზმი, ბიო-კონსერვაციული ღირებულება
<i>Neogobius melanostomus</i> (Pallas, 1814)	შავპირა ღორჯო	Round Goby		IUCN Red List Status - Least Concern (LC); პონტო-კასპიური რელიქტი
<i>Perca fluviatilis</i> Linnaeus, 1758	ქორჭილა	<i>Perch</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Esox lucius</i> Linnaeus, 1758	წერი	<i>Pike</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Gambusia holbrooki</i> Girard, 1859	გამბუზია	<i>Mosquitofish</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Cyprinus carpio</i> Linnaeus, 1758	გოჭა (კობრი)	<i>Carp</i>		IUCN Red List Status - Vulnerable (VU)
<i>Carassius gibelio</i> (Bloch, 1782)	ვერცხილფერი კარასი	<i>Crucian Carp</i>		
<i>Petroleuciscus borysthenicus</i> (Kessler, 1859)	ჯუჯა ქაშაპი	<i>Black sea Chub</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC) შავი ზღვის აუზის ენდემი
<i>Tinca tinca</i> (Linnaeus, 1758)	გუწუ (ლოქორია)	<i>Tench</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Alburnus derjugini</i> Berg, 1923	კოლხური თრისა (ელავი)	<i>Colchic Bleak</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC) კოლხეთის ენდემური ფორმა
<i>Vimba vimba</i> (Linnaeus, 1758)	ვიმბა	<i>Zahrte</i>		IUCN Red List Status - Least Concern (LC)

Rhodeus colchicus Bogutskaya & Komlev, 2001	კოლხური ტაფელა	Colchic bitterling		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Abramis brama</i> (Linnaeus, 1758)	კაპარჭინა	Freshwater bream		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Alburnoides fasciatus</i> (Nordmann, 1840)	კოლხური ფრიტა	Transcaucasian spiralin (Schneider)		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
<i>Rutilus rutilus</i> (Linnaeus, 1758)	ნაფოტა	Roach		IUCN Red List Status - Least Concern (LC)
სულ: 14				

ცხრილი 2.22 მდინარე თხოვრინას იქთიოფაუნის სიუხვის კატეგორიები

##	სიუხვის კატეგორია	კატეგორიის აღმნიშვნელი ფერი
1	მასიურია	მწვანე
2	მრავალრიცხოვანია	ლურჯი
3	წარმომადგენლობითია	ლურჯი
4	მცირერიცხოვანია	ყვითელი
5	იშვიათია	ნარინჯი
6	ძალზედ იშვიათია	წითელი
7	შემთხვევითია	ბრაუნი
8	არაა წარმოდგენილი	

იმნათის ტბა

იმნათის ტბა ტიპური დაბლობის ტბაა, რომლის ნაპირები ძლიერ დაჭაობებულია.

ტბაში ფიქსირდება 8 სახეობის თევზი, კერძოდ:

კარასი - *Carassius gibelio* (Bloch, 1782);

კოლხური შამაია - *Alburnus derjugini* Berg, 1923;

სამხრეთული ფრიტა - *Alburnoides fasciatus* (Nordmann, 1840);

გუწუ (ლოქორია) - *Tinca tinca* (Linnaeus, 1758);

წერი - *Esox lucius* Linnaeus, 1758;

ფარფლწითელა - *Scardinius erythrophthalmus* (Linnaeus, 1758);

ვეროპული (ჩვეულებრივი) ქორჭილა – *Perca fluviatilis* Linnaeus, 1758;

ვიმბა - *Vimba vimba* (Linnaeus, 1758).

ნაზადას ტბა

ნაზადას ტბა ტიპური დაბლობის ტბაა, რომლის ნაპირები ძლიერ დაჭაობებულია. ტბაში ფიქსირდება 11 სახეობის თევზი, კერძოდ:

კარასი - *Carassius gibelio* (Bloch, 1782);

კობრი - *Cyprinus carpio* Linnaeus, 1758;

კოლხური შამაია - *Alburnus derjugini* Berg, 1923;

სამხრეთული ფრიტა - *Alburnoides fasciatus* (Nordmann, 1840);

გუწუ (ლოქორია) - *Tinca tinca* (Linnaeus, 1758);

წერი - *Esox lucius* Linnaeus, 1758;

ფარფლწითელა - *Scardinius erythrophthalmus* (Linnaeus, 1758);

ვეროპული (ჩვეულებრივი) ქორჭილა – *Perca fluviatilis* Linnaeus, 1758;

ვიმბა - *Vimba vimba* (Linnaeus, 1758);

შავპირა ღორჯო - *Neogobius melanostomus* (Pallas, 1814);

ნემსთევზა – *Syngnathus abaster* A. Risso, 1826.

2.2.7.2.3 ორნითოფაუნა

კოლხეთის ეროვნულ პარკს და მის მიდებარე ზღვის აკვატორიას გააჩნია საერთაშორისო მნიშვნელობა მოზამთრე და მიგრანტი ფრინველებისათვის. ამ ტერიტორიაზე 295 სახეობის ფრინველია დარეგისტრირებული. 2014 წელს, ზამთრის აღრიცხვებისას ტერიტორიაზე დაფიქსირდა 40 სახეობის 368'000 წყალმცურავი და წყალთანა ფრინველი. აქედან 8 სახეობა საერთაშორისო წითელი ნუსხის მიხედვით მოწყვლადია (VU), ხოლო 2 სახეობის ფრინველი გადაშენების საფრთხის წინაშეა (EN). ერთ-ერთი სახეობის ფრინველის გლობალური პოპულაციის 10% და 4 სახეობის ფრინველის გლობალური პოპულაციის 1% ზამთრობს აღნიშნულ ტერიტორიაზე (Javakhishvili *et al.*, 2014). ტერიტორიის მნიშვნელობა აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, იგი არის BirdLife International-ის ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი (IBA) და ევროკავშირის ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია (SPA).

2.2.8 ჰაბიტატები

კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე გავრცელებულია შემდეგი ტიპის ჰაბიტატები:

ტორფნარები

I. ცოცხალი სფაგნუმის ტორფნარები (ტორფის დაგროვების პროცესი დღესაც მიმდინარეობს)

კოლხეთის ეროვნულ პარკში საჭიროა განვასხვავოთ ორი ტიპის ტორფნარი: (1) „ფენ“-ის (fen) ფენის ტიპის – მინეროტროფული ტიპის ტორფნარი, რომელიც იკვებება ძირითადად მინერალებით მდიდარი გრუნტის წყლებით. ის არ წარმოქმნის გუმბათს. ასეთი ტორფნარებია: ჭურია, ნაბადა და ანაკლია; და (2) „გუმბათისებრი“ (bog) – ომბროტროფული ტიპის ტორფნარი საზრდოობს მხოლოდ და მხოლოდ წვიმის წყლებით და აქვს გუმბათის ფორმა. ასეთი ტიპის ტორფნარია იმნათი და გრიგოლეთი. გასათვალისწინებელია, რომ ტორფნარებისათვის ჰიდროლოგიური ფაქტორი უმნიშვნელოვანესია, წყალი კი გადამწყვეტი კომპონენტი, რადგან მხოლოდ წყლის სათანადო მუდმივად მაღალი დონე ქმნის ტორფის აკუმულაციის/ზრდის საშუალებას.

პერკოლაციური (შელწევადი) ტიპის სფაგნუმის ტორფნარები. ტორფნარები მხოლოდ და მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით საზრდოობენ. თითქმის გაუხრწნელი მცენარეებისაგან წარმოქმნილ ფოროვან ტორფში ტორფი პერკოლაციური ანუ შელწევადია. წყალი შეუფერხებლად ჟონავს მთელს ტორფნარში ყველა მიმართულებით. ტორფნარს ამობურცული გუმბათის ფორმა აქვს, რაც მის ომბროგენეტიკურობას განაპირობებს.

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე პერკოლაციური ტიპის შემდეგი ტორფნარებია:

1. იმნათის ტორფნარი პალიასტომის ტბას ესაზღვრება აღმოსავლეთით ქ. ფოთიდან 5 კმ-ის მანძილზე. იგი ყოფილი ზღვის ლაგუნაზე ჩამოყალიბდა და ყველაზე დიდი სფაგნუმის ტორფნარია კოლხეთში. მისი ფართობი 5 000 ჰა-ია, რაც საქართველოს ტორფნარების 11%-ს შეადგენს. იმნათის ტორფნარი კოლხეთის ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაა, რომელიც ერთმანეთისაგან იზოლირებული ორი გუმბათისაგან შედგება. დეტალურადაა შესწავლილი მისი ყველაზე დიდი გუმბათი. ტორფნარში ტორფის ფენები 12 მ-ზე ღრმაა. ტროფიკული დონე – ოლიგო მეზოტროფულია. ტორფნარის მჟავე არეა – pH=4.0. ტორფნარში ტორფი სფაგნუმისაა, დიდი და მაღალი ელასტიურობის მქონე ფორებით. სწორედ ტორფის მაღალი ელასტიურობა განაპირობებს იმას, რომ აქ ხრწნა არ მიმდინარეობს. ტორფში უმაღლესი

მცენარეების (ხერხა, ჩრდილოეთის ისლი) ფესვები ქმნიან ე.წ. “ჩონჩხს” სფაგნუმისათვის. იქმნება ახალი ელასტიური ფორები, რაც ქობულეთის დაცული ტერიტორიების - ისპანის ტორფნარების მსგავსად, იმნათის ტორფნარს პერკოლაციურს ხდის. ელასტიურობა და ხრწნის (ჰუმეკაციის) დაბალი უნარი იწვევს ტორფნარის რხევის სუნთქვით მაღალ უნარს (“Mooratmung”). ტორფნარის ზედაპირი გვალვიან პერიოდში დაბლა იწვევს, ხოლო ძლიერი წვიმებისას კი მოცულობაში მატულობს ისე, რომ ტორფსა და ზედაპირულ მცენარეულ საფარს შორის წყლის დონე მუდმივია და არასოდეს იცვლება. იმნათის ტორფნარზე დომინანტობს სფაგნუმის შემდეგი სახეობები: აუსტინის სფაგნუმი (*Sphagnum austinii*), მაგელანის სფაგნუმი (*Sphagnum magellanicum*), ტიხრებიანი სფაგნუმი (*Sphagnum papillosum*), წითელი სფაგნუმი (*Sphagnum rubellum*). იმნათის ტორფნარი შქერის (*Rhododendron ponticum*) გავრცელების უკიდურესი ჩრდილოეთი ადგილია კოლხეთის დაბლობზე. მისი რამდენიმე ეგზემპლარი გვხვდება იმნათის ტორფნარის ცენტრში ტბასთან ახლოს. იმნათის ტორფნარს განსაკუთრებულს ხდის კალციფილური ხერხას (*Cladium mariscus*) დომინანტობა ტორფნარისათვის დამახასიათებელ მჟავე ომბროტროფულ გარემოში. ჩრდილოეთის ისლის დომინანტობა და მისი დიდი ზომები ერთი მხრივ ხელს ეწყობს სფაგნუმთან ტორფნარზე აორთქლებას (ევაპოტრასპირაციას) და მეორეს მხრივ იმას, რომ გვალვიან პერიოდში ტორფნარში წყალის დანაკარგი არ ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ადგილი ექნებოდა ტორფის გახრწნას, ფორების გაქრობას და ტორფნარის ელასტიურობის რღვევას.

ფიჩორის ტორფნარი იმნათის ტორფნარის ჩრდილოეთით მდ. ფიჩორას მარჯვენა მხარეს მდებარეობს. მხოლოდ ამ ტორფნარზე ხარობს კოლხეთის ენდემი: ტორფის ოქროწყველა (*Solidago turfosa*).

გრიგოლეთის ტორფნარი მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის გურიის მხარეს. ის ფლორისტული შემადგენლობა, რომლითაც ხასიათდება გრიგოლეთის ტორფნარი, მაჩვენებელია იმისა, რომ თუ შეწყდება ყოველგვარი ანთროპოგენური ფაქტორი ტორფნარზე, კოლხეთი გახდება მსოფლიოს მესამე პერკოლაციური ტიპის ტორფნარის სამშობლო. გრიგოლეთის ტორფნარი ე.წ. „ჩანასახოვანი“ პერკოლაციური ტიპის ტორფნარს წარმოადგენს.

პერკოლაციური ტიპის ტორფნარები ზურმუხტის ქსელით და ევროკავშირის ბუნების საინფორმაციო სისტემის (EUNIS) დაცულ ჰაბიტატებს წარმოადგენენ.

2. გრუნტის წყლებით მოსაზრდოვე „ფენ“-ის ტიპის მინეროტროფული, ტორფნარები

ა) ჭურის ტორფნარი. ჭურის ტორფნარი მდებარეობს ე. ფოთიდან ჩრდილოეთით, 10 კილომეტრის მანძილზე, ყულევის ტერმინალის ჩრდილოეთით და მდ. ხობისწყალის მარცხენა სანაპიროზე. ჭურის ტორფნარი არის მინეროტროფული სფაგნუმის ტორფნარი, სადაც ისლის სახეობების: ჩრდილოეთის ისლის (*Molinia litoralis*), ლაზური ისლის (*Carex lasiocarpa*) მიერ შექმნილი კოლბოხებია. აქ, კოლბოხებთან ახლოს, ალაგ-ალაგ იზრდება ჭაობის ჯადვარი (*Epipactis palustris*), ჩაღანდრი (*Veronica becca-bunga*), ლიკოპუსი (*Lycopus europaeus*) და ინვაზიური ჰიდროკოტილე (*Hydrocotyle vulgaris*). ტორფნარის ცენტრალურ ნაწილში განვითარებულია მეზოტროფული მცენარეული თანასაზოგადოება და ტიხრებიანი სფაგნუმის (*Sphagnum papillosum*) - ის მიერ შექმნილი გუმბათი. გუმბათზე იზრდება: წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), მწერიჭამია მრგვალოფოთოლა დროზერა (*Drosera rotundifolia*) და ჩრდილოეთის ისლი (*Molinia litoralis*).

ბ) ანაკლიის ტორფნარი. ანაკლიის მინეროტროფული ტორფნარი ჭურის ტორფნარის ჩრდილოეთით, მდ. ჭურის შესართავთან მდებარეობს. ტორფნარზე გაბატონებულია ისლის (*Carex rostrata*) მიერ შექმნილი კოლხობები. ანაკლიის ტორფნარის მიმდებარე ჭარბტენიან ტორფნარ ჰაბიტატში ხარობს მხოლოდ ფლორის გლობალური წითელი ნუსხის სახეობა-კოსტელეტსკია (*Kosteletzkya pentacarpos*).

გ) ნაბადას ტორფნარი. ტორფნარი მდებარეობს ყულევის ტერმინალის სამხრეთით. აქ ხარობს ჭაობის ჯადვარი (*Epipactis palustris*). სფაგნუმიან ტორფნარებზე იზრდება გლობალური წითელი ნუსხის 8 სახეობა: კოსტელეტსკია (*Kosteletzkya pentacarpos*), სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), ჯადვარი (*Spiranthes sinensis (amoena)*), თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*), ხერხა (*Cladium mariscus*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), ჭაობის ჯადვარი (*Epipactis palustris*), მედვედევის რამფიკარპა (*Rhamphicarpa medwedewii*). ინვაზიური სახეობებიდან სფაგნუმიან ტორფნარებზე დაფიქსირებულია შემდეგი სახეობები: *Hydrocotyle vulgaris*, *Hypericum mutilum*, *Polygonum thunbergii*.

II. რელიქტური ტყეები ტორფიანი საფარველით. კოლხეთის ეროვნულ პარკში რელიქტური კოლხური ტორფნარი ტყეები არშინადავით არტყია სფაგნუმიან ტორფნარებს. ტყეებში იზრდება გლობალური წითელი ნუსხის მერქნიანი სახეობები: ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*), კოლხური ბუა (*Buxus colchica*), ბროწეული (*Punica granatum*), ლეღვი (*Ficus carica*), კავკასიის წითელი ნუსხისა და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), იზრდება ასევე ნეკერჩხალი (*Acer orthocampetre*), იფანი (*Fraxinus excelsior*), რცხილა (*Carpinus betulus*). ქვეტყე წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით, როგორცაა: კოლხური ჭყორი (*Ilex colchica*), თაგვისარა (*Ruscus ponticus*). ლიანებიდან გვხვდება: ეკალდიჯი (*Smilax excelsa*), კოლხური სურო (*Hedera colchica*), ღვედკეცი (*Periploca graeca*), ცხრატყავა (*Lonicera caprifolia*) და სვია (*Humulus lupulus*).

ანაკლიის, ჭურის, ნაბადას, ფიჩორის, იმნათის და გრიგოლეთის ტორფნარების განაპირას რამდენიმე ასეული მეტრის სიგანის რელიქტური კოლხური ტორფნარი ტყეებია. იზრდება გლობალური წითელი წიგნის რელიქტურ სახეობათა კორომები ლაფნის ე.წ. „ოლოფონე“ ხობის სატყეოს მე-4 კვარტალი, კოლხური ბუის ე.წ. „ოზაკლე“ (კოლხეთის სატყეოს პატარა ფოთის სატყეო უბანზე 3,4,9 და სენაკის სატყეოს უბანზე კვარტლები 44 და 45).

ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები.

ბოლო წლებში, ანთროპოგენური ფაქტორის გამო, მტკნარწყლიანი ტბორების, როგორც ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატის დეგრადაციამ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნების მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ მტკნარწყლიანი ტბორები გლობალური წითელი ნუსხის (IUCN Red List) მიერ შეფასებულიყო, როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი ეკოსისტემები (www.iucnredlist.org). 2015 წელს მსოფლიო წითელმა ნუსხამ ხმელთაშუა ზღვისპირეთის მტკნარწყლიან ტბორებს (კოლხეთის დაბლობსაც მოიცავს) ოფიციალურად მიანიჭა გლობალური მოწყვლადი (VU) სტატუსი. ეს შეფასება განხილულია ორ შრომაში: „ადმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის მტკნარწყლიანი ჰაბიტატების ბიომრავალფეროვნების გლობალური სტატუსი“ და „ხმელთაშუა ზღვისპირეთის ცხელი წერტილების მტკნარწყლიანი ჰაბიტატების ბიომრავალფეროვნება“. მტკნარწყლიანი ტბორების ფლორის ინდიკატორი სახეობებია: წყლის კაკალი (*Trapa natans*), წყლის გვიმრა სალვინია (*Salvinia natans*). ასეთი მტკნარწყლიანი ტბორები გვხვდება ანაკლიაში და იმნათის ტორფნარის მიმდებარედ.

ბუნებრივი ტბები და მდინარეები

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე რამდენიმე ტბაა: პალიასტომი, იმნათის ტორფნარზე არსებული ორი ტბა - იმნათისა და უსახელო ტბა, ფართოწყალი ნაბადაზე. მათ შორის ყველაზე დიდი ზომისაა პალიასტომის ტბა. პალიასტომის ტბა ნაწილობრივ იშვიათად იყინება, ტბა სრულად 2008 წელს გაიყინა.

პალიასტომის ტბა და მასთან ზღვის სიახლოვე მნიშვნელოვანი ჰაბიტატი წყალმცურავი და მიგრირებადი ფრინველებისათვის, როგორც აფრიკიდან ევრაზიის ზომიერი ზონისკენ და უკან სამშობლოში დასაბრუნებელი გზა. ადგილობრივი მოსახლეობის მონაცემებზე, ექსპედიციებისა და თვალთვალის მექანიზმზე დაყრდნობით პალიასტომის ტბასა და მის მიმდებარედ ისვენებს, ბუდობს და ბინადრობს 77 სახეობის ფრინველი. ამ ფრინველებს შორის უნდა აღინიშნოს ის ფრინველები, რომლებსაც იცავს AEW, აქედან 40 სახეობა გავრცელებულია პალიასტომის და მიმდებარე ტერიტორიებზე.

პალიასტომის ტბაში ორმოცამდე სახეობის თევზი ბინადრობდა. მაგრამ ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად მათი რიცხოვნება ძალიან შემცირდა. წარსულში კოლხეთის ტენიანი კლიმატიდან გამომდინარე, პალიასტომი პოზიტიურ წყლის ბალანსს იძლეოდა და მტკნარწყლიანი იყო. ამის მიზეზი კი მდ. კაპარჭინა იყო, რომელიც ასაზრდოებდა მას ჩრდილო - დასავლეთი მხრიდან და მოედინებოდა დასავლეთიდან პარალელურად, იგი იცავდა ზღვის მარილიანი წყლის შემოდინებისაგან ტბას და სწორედ ამიტომ იყო მუდამ მტკნარწყლიანი პალიასტომის ტბა. მდიდარი იყო მტკნარწყლიანი პლანქტონით, ზოოპლანქტონით და ბენტოსური ორგანიზმებით. ეს ყველაფერი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იქტიოფაუნის მრავალფეროვნებისათვის, პალიასტომის ტბა და შემოგარენი წყლები წარმოადგენდა რეფუგიუმს 40 სახეობის მტკნარწყლიანი თევზის არსებობისათვის.

ჭარბტენიანი მდელოები. სფაგნუმიან ტორფნარებსა და ტყეების განაპირას ჭარბტენიანი მდელოებია, სადაც ბატონობს: ჭილი (*Juncus acutus*), ლელი (*Phragmites communis*), ლაქაში (*Typha angustifolia*), ჭაობის ზამბახი (*Iris pseudocorus*), შხაპრი (*Sparganium neglectum*).

ზურმუხტის ქსელის და ევროკავშირის ბუნების საინფორმაციო სისტემის ჰაბიტატები

კოლხეთის ეროვნული პარკის თითქმის ყველა ჰაბიტატი დაცულია ზურმუხტის ქსელის და ევროკავშირის ბუნების საინფორმაციო სისტემის მიერ. ეს ჰაბიტატებია: პერკოლაციური და ფენის ტიპის სფაგნუმიანი ტორფნარები, რელიქტური კოლხური ტყეები, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები და სანაპირო ქვიშიანი დიუნები.

ბერნის კონვენციით და გლობალური წითელი ნუსხით დაცული ჰაბიტატები და სახეობები

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ბერნის კონვენციით გლობალური წითელი ნუსხით დაცულ ჰაბიტატს წარმოადგენს ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები. ამ ჰაბიტატში ხარობს ბერნის კონვენციით დაცული სამი სახეობა: ოთხფოთოლა მარსილეა (*Marsilea quadrifolia*), სალვინია (*Salvinia natans*) და მცირე ლაქაში (*Typha minima*).

2.2.9 ეკოსისტემური სერვისები

კოლხეთის ჭარბტენიანი ჰაბიტატების ეკოსისტემური სერვისები ოთხ კატეგორიად იყოფა:

1. მომმარაგებელი სერვისები. კოლხეთის ეროვნული პარკის ჭარბტენიანი ჰაბიტატები განსაკუთრებულ მომმარაგებელ სერვისებს ქმნიან. მათ შორის: ადამიანთა და ცხოველთ საკვები რესურსები. ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით და ხე-ტყით (როგორც სათბობი და სამშენებლო მასალა) მომარაგება. სამკურნალო დანიშნულების მქონე გენეტიკური რესურსები და მედიცინაში გამოყენება.

2. მარეგულირებელი სერვისები. მარეგულირებელი სერვისების მხრივ კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის ალკვეთილის ჭარბტენიანი ჰაბიტატები გლობალურად მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი ღირებულების მქონე ეკოსისტემურ სერვისებს აყალიბებენ: როგორცაა: კლიმატისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაცია, ბუნებრივი საფრთხეების (დატბორვა) თავიდან აცილება, წყლის გამწმენდი ფუნქცია.

კოლხეთის ეროვნული პარკის ხელუხლებელ სფაგნუმთან ტორფნარებს, უნიკალური თვისების გამო, რომელიც გამოიხატება განამარხებულ ტორფში ნახშირბადის განსაკუთრებით მაღალი აკუმულაციის უნარში, უდიდესი როლი უჭირავთ, როგორც კოლხეთის კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ეკოსისტემებს. ტორფნარების კონსერვაცია ეკონომიკურად ეფექტიანია სათბური გაზების ემისიის შესამცირებლად. გამოთვლილია, რომ ბუნებრივი სახით ტორფნარების კონსერვაცია და აღდგენა შეამცირებს 4 ტონიდან 1.5 ტონამდე ნახშირორჟანგის ემისიას წელიწადში ჰექტარზე.

კლიმატსა და ტორფნარებს შორის ორმხრივი დამოკიდებულებაა: კოლხეთის კლიმატი რეაგირებს ტორფნარებზე და თვით ტორფნარები კი ხელს უწყობენ კოლხეთის კლიმატის რეგულაციას. ტორფნარებში დაგროვილი წყლის დიდი რაოდენობა კოლხეთის კლიმატს აბალანსირებს. თბილ და მშრალ ამინდებში წყლის მუდმივი ევაპოტრანსპირაციის გამო ერთგვარ გამაგრილებელ მოწყობილობებს წარმოადგენენ.

კოლხეთის ეროვნული პარკის ტორფნარებისა და რელიქტური ტყეების კლიმატის მარეგულირებელი ფუნქცია მიწათსარგებლობაზეა დამოკიდებული, როგორცაა ღრენაჟი და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ ნახშირბადის ბალანსსა და ემისიაზე. ტორფნარების მიმდებარე ტერიტორიების მიწათსარგებლობა არა მხოლოდ ტორფნარების ტიპით განისაზღვრება, არამედ მიგვითითებს, თუ როგორი უნდა იყოს მიწათსარგებლობა, რომელიც მკაცრად იქნება დამოკიდებული კლიმატზე. გასულ საუკუნეში კოლხეთის სფაგნუმთან ტორფნარებიდან ტორფის მოპოვებამ და ტორფნარი ტყეების გაჩეხვამ უარყოფითად იმოქმედა კოლხეთის ეკონომიკასა და კლიმატზე, ხელი შეუწყო ნახშირბადის ემისიას კოლხეთში. კოლხეთის ეროვნული პარკის სფაგნუმთან ტორფნარებს, ტორფისათვის დამახასიათებელი ფაშარი ღრუბლი-სებური აგებულებისა და უნიკალური მცენარეულობის გამო უნარი აქვთ წყლის დიდი რაოდენობის შეწოვისა და შენახვისა. ტორფნარებზე დომინანტ სფაგნუმის სახეობებს თავის წონასთან შედარებით 25-ჯერ მეტი რაოდენობის წყლის შეწოვის უნარი გააჩნიათ. წყლის გაცემა კი თანდათანობით ხდება ტორფის ზედა ფენების ზეწოლის შედეგად, რაც წყლის რეზერვუარის ეფექტს იძლევა.

ამ თვისებიდან გამომდინარე ტორფნარებს უდიდესი როლი მიუძღვით კოლხეთის დაბლობის ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაციასა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვისაგან თავიდან აცილებაში.

საკვები ნივთიერებების (ბიოგენების) ბალანსი. კოლხეთის ეროვნული პარკის სფაგნუმიან ტორფნარებს და მიმდებარე სხვა ჭარბტენიან ჰაბიტატებს უნარი შესწევთ როგორც ზედაპირული, ისე გრუნტული წყლებიდან შეისრუტონ ჭარბი საკვები ნივთიერებები და დამაჭუჭყიანებლები, შეინახონ და მუდმივად განათავსონ ტორფის ფენებში. ამით ისინი შესანიშნავ ფილტრატორებს წარმოადგენენ. ეს ნივთიერებები გროვდება ტორფის დანალექ მზარდ ფენებში, არა მარტო ნახშირბადის, არამედ სხვა საკვები ნივთიერებების სახით, როგორცაა აზოტისა და ფოსფორის ნაერთები, მიკროელემენტები, ტყვია, მარგანეცი და სხვა დამბინძურებლები. ამ ბუნებრივი თვისებების გამო ტორფნარები არა მარტო არეგულირებენ საკვები ნივთიერებების ბალანსს, არამედ უზრუნველყოფენ წყლის ხარისხის სისუფთავეს. ამიტომ მას “ლანდშაფტის თირკმლებს” უწოდებენ. დამბინძურებლებს იტოვებენ ტორფის ფენებში და სუფთა წყალი ჩაედინება ზღვაში, ტბებსა და მდინარეებში.

წლების განმავლობაში სფაგნუმიანი ტორფნარი იმნათი და შემოგარენი ტყე პალიასტომის ტბისათვის ბუნებრივ ფილტრს წარმოადგენდა. ისინი იკავებდნენ ჭარბი რაოდენობით წყალს და წყლის დრენაჟის ბუნებრივი რეჟიმი მიმდინარეობდა. ამიტომაც წყალდიდობების რისკი და ზედაპირის ეროზიული პროცესები არ მიმდინარეობდა ან ძალიან სუსტი იყო. პალიასტომის ტბა დაცული იყო მავნე ბიოლოგიური და ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისგან. შემოგარენი ტყის და ტორფნარის ფილტრაციული უნარის გამო იგი იკვებებოდა სუფთა წყლით. გასულ საუკუნეში ტყის ჩეხვამ და ტორფის მოპოვებამ ტყესა და ტორფნარს ფილტრატორის უნარი წაართვა. ამიტომაც მდინარეებმა და თვით პალიასტომმა მიიღო უკვე ბიოლოგიურად და ქიმიურად დაჭუჭყიანებული წყალი.

მტკნარი წყლის რეგულაცია. ეროვნული პარკში არსებული ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები მტკნარი წყლის მარაგს წარმოადგენს. სფაგნუმიანი ტორფნარების და მიმდებარე ჭარბტენიანი ჰაბიტატების მცენარეულ საფარს განსაკუთრებული როლი უჭირავთ წყლის მოძრაობაში. ფერდობებზე, მდინარეთა ზედა წელში მცენარეული საფარი გავლენას ახდენს წყალდიდობებისა და დატბორვის რისკის თავიდან აცილებაზე. მცენარეულ საფარზეა დამოკიდებული წყლის ხარისხიც. დაცულ ტერიტორიებს საუკეთესო მენეჯმენტის წყალობით შეუძლიათ მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება ნაკლები დანახარჯებით.

3. ჰაბიტატის სერვისები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სერვისები, რომელიც ჰაბიტატისა და სახეობათა მრავალფეროვნების ველური სახით შენარჩუნებას გულისხმობს. კოლხეთის ეროვნულ პარკში ბუნებრივი, ხელუხლებელი ჰაბიტატების კონსერვაციით დაცული და შენარჩუნებული იქნება კოლხეთის რეფუგიუმისათვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის რელიქტური (კაინოზიური) და ენდემური სახეობები. სწორედ კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის ალკვეთილის ჭარბტენიანი ჰაბიტატები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ტერიტო-რიებს რამსარის კონვენციისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბუნებრივი მტკნარ-წყლიანი ტბორები, როგორც ჰაბიტატი, რომელიც გადამწყვეტია ფაუნის მრავალი სახეობისა-თვის, სადაც ისინი სასიცოცხლო ციკლის მნიშვნელოვან ნაწილს გადაიან.

4. კულტურული სერვისები. კულტურული სერვისები მოიცავს კოლხეთის ეროვნული პარკის არამატერიალურ ღირებულებებს, როგორცაა: ინტელექტუალური განვითარება, საგანმანათ-

ლებლო, სამეცნიერო, არქეოლოგიური, რეკრეაციული, ეკოტურისტული და სხვა ესთეტიკური ღირებულებები, დასვენება.

ამ მხრივ უნდა გამოიყოს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ანტიკური და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ეკოტურიზმის ისეთი სახეები როგორცაა: ფრინველებზე დაკვირვება, სამოყვარულო თევზჭერა, ნავით გასეირნება. განსაკუთრებული სერვისებია განათლების და სამეცნიერო ტურიზმის განვითარების მხრივ.

2.3 სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

2.3.1 ბუნებრივი რესურსები

კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ტერიტორია განსაკუთრებით გამოირჩევა კლიმატური, წყლის, ნიადაგის, მცენარეული და ფაუნისტური რესურსებით, რასაც ქვეყნის საზღვაო მდებარეობა და სპეციფიკური ბიო-კლიმატური პირობები განაპირობებენ. აქედან გამომდინარე, რეგიონი ყველაზე მეტად რეკრეაციული რესურსებითაა ცნობილი ლანდშაფტური მრავალფეროვნების გამო.

კოლხეთის რეგიონი გამოირჩევა მდინარეთა ეკონომიკურად ეფექტური და პოტენციური ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, სადაც საქართველოს სხვა მდინარეებთან შედარებით, რიონის აუზის პოტენციური სიმძლავრე ყველაზე მაღალი ერთეულით (20-30 მლრდ კვტ/სთ) გამოირჩევა. პირველ კატეგორიაში ხვდება რიონის აუზი ასევე როგორც ეკონომიკურად ეფექტური ენერგეტიკული რესურსი.

საკვლევ რეგიონში გავრცელებულია მაღალტემპერატურული წყლები, რომლებიც ქვედა ცარცულ კირქვებთან არის დაკავშირებული. მაგ. სოფელ ჭალადიდში თერმული წყლის ტემპერატურა 95°C აღწევს.

საყურადღებოა სამეგრელოში გავრცელებული ტორფიანი ჭაობები, რომლებიც ტორფის საკმაოდ დიდ მარაგს შეიცავენ. შესაბამისად, ბუნებრივი რესურსებიდან კოლხეთის დაბლობის რეგიონში აღსანიშნავია ტორფის მოპოვება. კოლხეთი გამოირჩევა სამკურნალო მინერალური წყლებითაც. ტერიტორიაზე გავრცელებული კარბონატული ქანების ზოგიერი ტიპი აუცილებელ სამშენებლო მასალადაა გამოსადეგი. სააგურე თიხის საბადოები გამოვლენილია აბაშის (ნაესაკოვო), ზუგდიდისა (ცაცხვი) და ხობის (ნოჯიხევი) მუნიციპალიტეტებში. პერსპექტიულობით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მდინარეების ენგურის, ხობისა და რიონის ხეობებს შორის მდებარე ვაკე-დაბლობზე განვითარებული ნავთობისა და გაზის შემცველი ქანების კომპლექსი.


2.3.2 მოსახლეობა

კოლხეთის ეროვნული პარკი ხუთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა განთავსებული: ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშისა და ლანჩხუთის. მათ შორის მოსახლეობის ჯამური რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, რაც ძირითადად ქალაქ ზუგდიდში მცხოვრებთა რაოდენობითაა განპირობებული. დანარჩენ

მუნიციპალიტეტებს შორის, მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებლებით სენაკის რეგიონი გამოირჩევა, ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით კი აბაშის მუნიციპალიტეტი.


რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობის დინამიკას 1994-2024 წლების მონაკვეთში (იხ. გრაფიკები), შედარებით მსგავსი ტენდენცია – მოსახლეობის რაოდენობის თანდათანობითი კლება, ოთხი მუნიციპალიტეტის (ლანჩხუთის, აბაშის, სენაკის, ხობის) შემთხვევაში აღინიშნება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კი შედარებით განსხვავებული მრუდი ისახება. 1994-1997 წლებში მოსახლეობა 127.3 ათასიდან 121.4 ათას მცხოვრებამდე თანდათან იკლებს, 1998 წლიდან კი მკვეთრი მატება აღინიშნა, რამაც 2000-2001 წლებში მაქსიმუმს (160 ათას მცხოვრებს) მიაღწია. ამის შემდეგ, კვლავ იწყება თანდათანობითი კლება, და 2024 წლისათვის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებელი 93 ათამდე დავიდა. სენაკის რეგიონში, აღნიშნული წლების მონაკვეთში, მოსახლეობის რაოდენობამ 53.5 ათასი მცხოვრებიდან 30 ათასამდე იკლო; აბაშას მუნიციპალიტეტში მოსახლეობა 29.3 ათასიდან (1994 წ.) 17.7 ათასამდე (2024 წ.) შემცირდა; ხობის რეგიონში მცხოვრებთა რაოდენობა 1994-2024 წლების მონაკვეთში 41.4 ათასიდან 25.6 ათასამდე დავიდა. აღნიშნულ პერიოდში, დაახლოებით თანაბარი მაჩვენებლები ფიქსირდება ლანჩხუთისა და ხობის მუნიციპალიტეტებში. დღესდღეობით (2024), სენაკისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის რაოდენობა თითქმის გათანაბრებულია.

რაც შეეხება საქალაქო და სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთა დინამიკას 2015-2024 წლების დროის მონაკვეთში, ლანჩხუთისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში ტენდენცია პრაქტიკულად თანაბარია და არ შეცვლილა, სადაც სასოფლო მოსახლეობა შესამჩნევი უპირატესობით ხასიათდება, კერძოდ, ლანჩხუთის რეგიონში 3.6-3.9-ჯერ აღემატება, აბაშაში 3.0-3.5-ჯერ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში განსხვავება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის უმნიშვნელოა, კვლავ სასოფლო დასახლებების მცხოვრებთა უპირატესობით.



მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

3. კოლხეთის ეროვნული პარკის ჰიდროლოგიური მახასიათებლები და წყლის რესურსები

საპროექტო არეალის ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია საკუთრივ რეგიონის ტერიტორიაზე და მიმდებარედ ფორმირებული მდინარეებით, შედარებით დიდი პალეოსტომისა და მცირე სიდიდის ტბებით. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჭაობებითაა დაფარული. ყოველივე ეს სხვადასხვა ტიპის არხებთან და შავ ზღვასთან ერთად რთულ ჰიდროლოგიურ სისტემას ქმნის.

მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ ობიექტებს მიეკუთვნება შავი ზღვის აკვატორია, მდინარე ჭურია და მისი შენაკადები, მდინარე ფიჩორი და მისი შენაკადები, მდინარე ცივა და მისი შენაკადები, მდინარე თხორინა, იმნათის ტბა, ნაბადას ტბა და პალეოსტომის ტბა.

წყლის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად, ჰიდროლოგიური ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით აქ არსებული ყველა მდინარე თავისი აუზის მიხედვით დაბლობის (<200 მ) კატეგორიას განეკუთვნება, ზომათა ტიპოლოგიით, წყალშემკრები აუზების მიხედვით, საშუალო ზომის მიკუთვნება მდინარე ფიჩორი, ჭურია და ცივა (100-1000 კმ²), ხოლო თხორინა – მცირეს.

ტბები, გარდა პალეოსტომისა, რომელიც აუზის ფართობის მიხედვით დიდი ზომის (10-100 კმ²) ტბას მიეკუთვნება, ნაბადასა და იმნათის ტბები წარმოადგენს მცირეზე პატარა (0.5 კმ²) ტბებს. სიღმის მიხედვით ყველა ტბა მცირეს განეკუთვნება, ხოლო მდებარეობის მიხედვით – დაბლობის კატეგორიას.

3.1 ტბები

პალეოსტომის ტბა, რომელიც მდინარე რიონის ძველი დელტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, თავისი სიდიდით გამოირჩევა და ტბებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი ზღვის ყოფილ ყურეს წარმოადგენს, მისი მახასიათებელი მაჩვენებლებია: სარკის ფართობი – 18.2 კმ², მაქსიმალური სიღრმე – 3.2 მ, წყლის მოცულობა – 52.0 მლნ მ³. პალეოსტომის ტბას საკმაოდ დიდი წყალშემკრები აუზი აქვს (547 კმ²), საიდანაც ტბაში მრავალი მდინარე ჩაედინება, მათ შორის მნიშვნელოვანია მდინარე ფიჩორა. ტბაში მდინარე ფიჩორას გარდა 25-მდე მცირე მდინარე ჩაედინება (თხორინა, კუკანა, ორპირი, შავი დელე და სხვა); გამოედინება მდინარე კაპარჭინა.

წლის განმავლობაში ტბის დონის ცვალებადობა დამოკიდებულია მის წყალშემკრებ აუზში ნალექების რეჟიმზე. ნალექები ტბის წყალშემკრებ აუზში თითქმის მუდამ წვიმის სახით მოდის. მხოლოდ განსაკუთრებით მკაცრ ზამთარში, რომელიც აქ იშვიათია, ნალექები შეიძლება თოვლის სახით მოვიდეს. ამიტომაც არის, რომ წლის განმავლობაში ტბის დონის რყევა დამოკიდებულია ნალექების მოსვლასა და მის შიდაწლიურ განაწილებაზე. ბუნებრივია, რომ აუზში წვიმების დროს ტბის შენაკადი მდინარეები დიდდებიან და ტბის დონეც მაღლა იწევს, ხოლო წვიმის შეწყვეტისას – დაბლა იწევს. ტბაზე დაბალი დონე უმეტესად ზამთარშია, ცალკეულ წლებში კი იგი შემოდგომაზე და ზაფხულშიც აღინიშნება (ნალექების სიმცირის გამო). წყლის დონე ჩვეულებრივ 0.6-1.0 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

პალიასტომის ტბის განვითარების ისტორია (ზ. ჯანელიძე, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა, 2015) მჭიდროდ უკავშირდება მდინარე რიონის შესართავის სამხრეთით მდებარე სანაპირო ზონაში ლითოდინამიკური პროცესების განვითარების ტენდენციებს. ახალშავზღვიური ტრანსგრესიის პირველი პიკის შემდეგ მდინარე რიონის შესართავთან სამხრეთის მიმართულებით დაწყებულმა ნაპირგასწვრივი ქვიშიანი ზვინულების განვითარების პროცესმა გამოიწვია ზღვის თავთხელი ყელის თანდათანობით მოსილვა და შევიწროვება. ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა შავი ზღვის ადრე სუბ-ბორიალური რეგრესიის დროს, როცა ზღვის დონემ მისი თანამედროვე დგომის ნიშნულიდან დაბლა დაწევა განიცადა. ამ დროს პალიასტომის ტბის ადგილზე შეჭრილი უბე ლაგუნით შეიცვალა. ახალშავზღვიური ტრანსგრესიის მეორე პიკის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა ნაპირგასწვრივი ზვინულების უწყვეტი ზოლი, რამაც გადაკეტა ლაგუნის ყელი. სწორედ ამ დროიდან იწყება პალიასტომის ტბის მტკნარი წყალსატევის სიტორია.

ტბის წყლის ამჟამინდელ რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს შავ ზღვასთან სიახლოვე და მჭიდრო კავშირი. პალიასტომის ტბის სამხრეთი ნაწილიდან გამოედინება არხი (მალთაყვის) და ზღვას უერთდება, რაც რამდენადმე ამცირებს პალიასტომის ტბის საზრდოობას მტკნარი წყლით და ხელს უწყობს მის გამლაშებას.

იმნათის ტბა – ზღვის დონიდან 0.6 მ სიმაღლეზე მდებარეობს. სარკის ფართობი 0.08 კმ²-ის ტოლია, აუზის ფართობი – 0.5 კმ², მაქსიმალური სიღრმე – 2 მ. წყალი მტკნარია, საზრდოობს წვიმის წყლით. მაშში რამდენიმე მცირე წყლის ნაკადი ჩაედინება.

ფართო წყლის ტბა – ტბას ოვალური ფორმა აქვს, მაქსიმალური სიღრმე 1.2 მ. საზრდოობს წვიმის წყლებით, დონეების ცვალებადობა დამოკიდებულია ნალექებზე. ტბის ნაპირებზე ამოსულია წყალმცენარეები, ეკოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია. მასზე მნიშვნელოვანი ანტროპოგენური დატვირთვები არ ხდება.

ნაბადას ტბა ზ.დ. 0.5 მ სიმაღლეზე მდებარეობს. სარკის ფართობი 0.18 კმ² შეადგენს, მაქსიმალური სიღრმე – 1.8 მ. ტბის წყალი მტკნარია და წვიმის წყლით საზრდოობს.

გარდა ამისა, საკვლევ არეალში მრავალი პატარა ტბაა, მრავლადაა უსახელო ტბორები. მათი სარკის ფართობები და სიღრმეები უმნიშვნელოა და ძირითადად წვიმის წყლებით სარგებლობენ. ტბორები პერიოდულად შეძლება დაშრეს, წარმოქმნილია ასევე მდინარეთა ან ტბების კალაპოტებში და/ან არამაგისტრალურ ყოფილ არხებში.

პალიასტომი-მალთაყვას ჰიდროსისტემაზე ზღვის გავლენის განსხვავებული ინტენსივობა განპირობებულია ზღვის დონის რყევადობით და ტბაში მტკნარი წყლის ნაკადის მოცულობების ცვალებადობით. ტბის მტკნარი წყლით საზრდოობა განპირობებულია ატმოსფერული ნალექებით და მასში შემავალი მდინარეებით, რაც ტენიანი სუბტროპიკული ჰავის გათვალისწინებით საკმაოდ მნიშვნელოვანია.

3.2 ჭაობები

საკვლევი ტერიტორიის ჭაობები მიეკუთვნებიან დაბლობის ჭაობებს. ბუნებაში წყლის წრებრუნვის შესაბამისად, წყალი ჭაობებში მუდმივად გადაადგილდება დროსა და სივრცეში, მაგრამ ეს გადაადგილება საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. კოლხეთის დაბლობის წყლები

ძირითადად აორთქლებასა და მდინარეთა ქსელში ფილტრაციაზე იხარჯება, ამიტომ ამ წყლების მარაგის განახლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს.

ცხრილში მოყვანილია მონაცემები საპროექტო არეალის ჭაობების შესახებ. ჭაობების წყლის მარაგის საერთო მოცულობის შეფასებები მიღებულია ტორფში წყლის შემცველობის გასაშუალოებული მონაცემების საფუძველზე. ცხრილიდან ჩანს, რომ წყლის ყველაზე დიდი რესურსებით გამოირჩევა ფიჩორა-პალიასტომის (1'365 მლნ მ³) და ჭალადიდი-ფოთის (93.6 მლნ მ³) ჭაობიანი მასივები.

ცხრილი 3.1 კოლხეთის დაბლობის ჭაობების შესახებ ცნობარი

ჭაობი	ადგილმდებარეობა	სიმაღლე ზ.დ., მ	საშუალო სიღრმე, მ	ფართობი, კმ ²	წყლის მოცულობა, მლნ მ ³
ჭურის	მდინარე ენგურსა და ხობს შორის	3.0	0.8	90.0	64.8
ჭალადიდი- ფოთის	მდინარე რიონსა და ხობს შორის	12.5	1.5	144	194
ფიჩორა- პალიასტომის	მდინარე ფიჩორას ორივე მხარეს	0.5-1.8	8.0	191	1365

3.3 მდინარეები

მდინარე ფიჩორი პალიასტომის ძირითად მასაზრდოებელს წარმოადგენს. იგი ბრტყელ დაბლობზე მიედინება და კლავნილი კალაპოტით ხასიათდება. მდინარე ფიჩორი სათავეს აჭარა-გურიის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე იღებს, სოფ. სათახიას სამხრეთ-დასავლეთით და პალიასტომის ტბაში ჩაედინება აღმოსავლეთი მხრიდან. მდინარის სიგრძე 66 კმ-ია, აუზის ფართობი კი 406 კმ². საშუალო მრავალწლიური ხარჯი შესართავთან 10.8 მ³/წმ შეადგენს. მდინარე ფიჩორი გაედინებოდა სუსტად გამოხატულ კალაპოტში, რომელსაც ნაპირებიც კი არ გააჩნდა. ამიტომ, ყოველი წყალმოვარდნის პერიოდში მიმდებარე ტერიტორიის დიდ ფართობებს ტბორავდა. 1934 წელს, კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების პროგრამის ფარგლებში, კოლხიდმშენის მიერ განხორციელდა მდინარის კალაპოტის გასწორებაზოვნება და შემოზვინვა 22 კმ-ის მანძილზე. პალიასტომის ტბიდან 17 კმ-ის სიგრძეზე მდინარის კალაპოტი ბუნებრივ პირობებშია დატოვებული. მდინარეს რამდენიმე უმნიშვნელო შენაკადი ერთვის, რომელთა შორის ყველაზე დიდია სკურჩა. კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების პროგრამის ფარგლებში მდინარის კალაპოტსა და ე.წ. “დიდ ნარიონალს” შორის არხი გაიჭრა, რამაც დიდი ნარიონალის ტბა მდინარე ფიჩორს დააკავშირა. მდინარე წვიმისა და გრუნტის წყლებით საზრდოობს. მდინარის დონეების რყევა ძირითადად მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზეა დამოკიდებული. შესართავთან მდინარის სიღრმე 2.2 მ-ია.

მდინარე რიონი – საკვლევ არეალში შემოდის მდინარე რიონის შესართავისპირა არეალი. გასული საუკუნის 50-იან წლებში ქალაქ ფოთთან, ქალაქის დატბორვისგან დასაცავად, აიგო წყალგამყოფი ნაგებობა, რომელიც მდინარე რიონს ორ ტოტად ყოფს – სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტოტებად. სამხრეთის დარეგულირებული ტოტი, რომლის გამტარუნარიანობა პროექტის მიხედვით 400 მ³/წმ შეადგენს, ქალაქის ტერიტორიაზე გაედინება, ხოლო მდინარის

ძირითადი ნაკადი – ჩრდილოეთ ტოტში გაედინება. წყალმცირობის პერიოდში, როდესაც მდინარეში წყლის ხარჯის სიდიდე არ აღემატება 400 მ³/წმ-ს, ჩრდილოეთის ტოტის ათივე ფარი ჩაკეტილია და წყალი მხოლოდ სამხრეთის ტოტში გადის. წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდში ჩრდილოეთის ტოტის ფარები იხსნება და 400 მ³/წმ-ზე მეტი წყალი გაედინება ჩრდილოეთის ტოტში. ამჟამად სამხრეთის ტოტის გამტარუნარიანობა მკვეთრად შემცირებულია. მდინარე რიონის საშუალო წლიური ჩამონადენი დაახლოებით 410 მ³/წმ შეადგენს.

მდინარე თხოვრინა, სიგრძე 7 კმ შეადგენს, საკუთრივ კოლხეთის დაბლობზე იღებს სათავეს და პალიასტომის ტბაში ჩაედინება.

მდინარე ჭურია – მდინარეების მუნჩიისა და დღვაბის შეერთებით წარმოიქმნება ხობის მუნიციპალიტეტში და შავ ზღვას უერთდება. მდინარის სიგრძეა 12 კმ, აუზის ფართობი 296 კმ², ტიპური ჭაობის მდინარეა. ძირითადად წვიმის წყლით საზრდოობს, დამახასიათებელია წყალმოვარდნები. შესართავთან საშუალო წლიური ხარჯი 5.9 მ³/წმ აღწევს.

მდინარე კაპარჭინა – პალიასტომის ტბიდან გამოედინება. მისი ერთგვარი გაგრძელებაა არხი, რომელიც ტბას გარს უვლის დასავლეთით და შერპალკის არხს უერთდება, მისი საშუალებით კი – შავ ზღვას.

მდინარე ცივა, რომელიც პრაქტიკულად არხს წარმოადგენს, ორი ტოტისაგან შედგება: ჩრდილოეთი ტოტი, მდინარე სკურიას ნაწილის არხში გადაგდებით წარმოიქმნება; სამხრეთი ტოტი კი მდინარე ცივი-დან (რიონის შენაკადი) გაჭრილ არხს წარმოადგენს. ორი არხი სოფ. კორათთან (საბაჟო) ერთიანდება, 8 კმ-ის შემდეგ გზას აგრძელებს როგორც მდინარე და ზღვისპირა არეალში მდ. ხობისწყალს უერთდება. ამ მდინარეებისათვის მთელი წლის განმავლობაში დამახასიათებელია თავსხმა წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები. წყალმცირობის პერიოდი მკვეთრად გამოხატული არ არის. წყალმოვარდნები წლის ნებისმიერ სეზონზეა შესაძლებელი. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევიან კომბინირებული – თოვლ-წვიმის წყლებით გამოწვეული წყალმო-ვადნები, რომელსაც შავ ზღვაზე განვითარებული შტორმული მოვლენები ამძაფრებს და შესართავის უბნების შეტბორვას იწვევს.

3.4 შავი ზღვის აკვატორია

კოლხეთის ეროვნულ პარკთან მიმდებარე შავი ზღვის სანაპირო აკვატორია მოიცავს შელფს, რომელიც სანაპირო ზოლიდან საშუალოდ 11 კმ-მდე ვრცელდება. მისი ფართობი – 15 276 ჰექტარია. შელფის ზედაპირი შედარებით უმნიშვნელოდ არის დახრილი. მაგალითად, 20 მ სიღრმის ნიშნული სანაპირო ხაზიდან 1300-1400 მ-მდე ვრცელდება. შავ ზღვაზე გაბატონებული ჰაერის მასების ცირკულაცია სანაპირო აკვატორიაში განაპირობებს წყლის დინების ციკლონურ ბრუნვას. დინების სიჩქარე საათში საშუალოდ 1 კმ უდრის, ძლიერი ქარების დროს კი 5-6 კმ-მდე აღწევს. საქართველოს საზღვაო აკვატორიაზე გაბატონებულია დასავლეთური რუმბის ქარები და ტალღები, ზამთრობით შეინიშნება ჩრდილო-დასავლეთის ქარის მოქმედებაც. ჭარბობს 1-3 ბალის სიმძლავრის ღელვები. აღინიშნება ძლიერი ღელვებიც. ტალღების მაქსიმალური სიმაღლე 3-6 მ-ის საზღვრებში ცვალებადობს. ძალზედ იშვიათად ტალღის სიმაღლემ შეიძლება 8 მ-ს მიაღწიოს. შავი ზღვის დონის რყევა მოქცევისა და მიქცევის გავლენით 10 სმ არ აღემატება. ღია ზღვაში ზედაპირზე წყლის მარილიანობა 17-18 პრომილეს

უდრის, დიდ მდინარეთა შესართავებთან 3-9 პრომილეს საზღვრებში ცვალებადობს. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საქართველოს საზღვაო აკვატორიაში, კერძოდ, კოლხეთის ეროვნული პარკის სანაპირო აკვატორიაში აღინიშნება ზღვის წყლის დაბინძურების პროცესი ფენოლის, ნავთობპროდუქტების, აზოტის ნაერთებით, შეინიშნება ასევე საზღვაო ნარჩენებით დაბინძურებაც.

სანაპირო ზონაში, მდინარე ხობისწყლის შესართავიდან ჩრდილოეთით მდებარე მონაკვეთი არასტაბილურობით გამოირჩევა და ადგილი აქვს წარეცხვებს, სანაპირო ზოლი წარმოდგენილია საშუალო და მსხვილი ფრაქციის ქვიშიანი პლაჟებით, რომელთა საშუალო სიგანე 50-120 მ-ის ფარგლებში მერყეობს. გამონაკლის წარმოადგენს მდინარე ენგური – მდ. თიკორს შორის მოქცეული პლიაჟები, სადაც პლიაჟის აგებულებაში მონაწილეობს ხვინჭა-კენჭოვანი მასალა, ხოლო პლიაჟის სიგანე 20-100 მ ფარგლებში მერყეობს.

რაც შეეხება მდინარე ხობისწყლის შესართავიდან სამხრეთით მდებარე მონაკვეთს, ეს ქვესისტემა გამოირჩევა აკუმულაციური პროცესებით, მთელი ქვესისტემის სანაპირო ზოლი წარმოდგენილია ქვიშიანი პლაჟებით, რომლის სიგანე მერყეობს 70-150 მ-ის ფარგლებში.

წყალქვეშა ფერდი ერთფეროვნებით გამოირჩევა, საშუალო დახრილობით 0.007-0.006. წარმოდგენილია ორი-სამი ნაპირგასწვრივი ზვინულით. წყალქვეშა ფერდი 6-7 მ სირმემდე აგებულია ქვიშით, ხოლო უფრო დიდი სირმეებზე ფარქვიული შემადგენლობა მცირდება და ლამში გადადის.

3.5 მიწისქვეშა წყლები

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორია კოლხეთის არტეზიული აუზის დასავლეთ ნაწილში შედის. საკვლევ რეგიონში გავრცელებულია: მდ. რიონის დინების ქვემო წელის თანამედროვე ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი; ზღვის სანაპირო ზოლის თანამედროვე ზღვიური და ალუვიური წარმონაქმნების წყალშემცველი ჰორიზონტი და თანამედროვე ზღვიური და ტბა-ჭაობიანი ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი.

თანამედროვე ზღვიურ-ალუვიური და ტბა-ჭაობიანი დანალექი ქანების წყალშემცველი ჰორიზონტის ლითოლოგიური შედგენილობა საკმაოდ რთულია. აქ წარმოდგენილი ქვიშნარები, თიხნარები, ჭაობის საპროპელური ლამი, თიხები და ტორფი შერეულ ფენას ქმნიან ალუვიური და ზღვიური წარმოშობის წვრილმარცვლოვან ქვიშებთან ერთად. მდინარე რიონის დინების ქვემო წელის თანამედროვე ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი აგებულია ლოდნარ-რიყნარი და რიყნარი მასალით, თიხიანი ქვიშების და ქვიშნარის შემავსებლით. გრუნტის წყლის დონეები 0.5-2 მეტრის სიღრმეზეა განლაგებული.

საშუალოდ გრუნტის წყლების სარკე დედამიწის ზედაპირიდან 0.5-1.5 მეტრ სიღრმეზეა. გრუნტის წყლების მაღალი დონე აღინიშნება ტბიურ და ჭაობის ნალექებში, რომლებიც განვითარებულია კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში. ამ წყალშემცველი ჰორიზონტის გრუნტის წყლები ხასიათდება წყლის სარკის უმნიშვნელო დახრილობით დასავლეთისკენ (0.005-0.007), რაც ტერიტორიის დაჭაობების ერთ-ერთი მიზეზიცაა.

3.6 წყალდაცვითი ზონები

დაცული ზონები, როგორცაა ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზოლი და სანიტარიული დაცვის ზონა საქართველოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული. აქედან, პირველი – ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზოლი წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც წყლის ობიექტის აკვატორიას ესაზღვრება და რომელზეც დადგენილია ამ ტერიტორიის საყოფაცხოვრებო მიზნებით გამოყენების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების სპეციალური რეჟიმი. წყალდაცვით ზოლებს მიეკუთვნება ასევე მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლები, მაგისტრალური და სხვა არხების გასხვისების ზოლები. მეორე – სანიტარიული დაცვის ზონა წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც განთავსებულია სასმელი წყლის აღების მიწისქვეშა ან ზედაპირული წყაროს ირგვლივ და რომელზეც დადგენილია ამ ტერიტორიის საყოფაცხოვრებო მიზნებით გამოყენების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების სპეციალური რეჟიმი.

წყალდაცვით ზოლში შეიძლება შეტანილ იქნას მდინარის მშრალი კალაპოტი, მისი მიმდებარე ტერასები, შემადლებული და ციცაბო-ფერდობიანი ბუნებრივი ნაპირები; ასევე ხევები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნება მდინარის ნაპირებს. საქართველოში წყალდაცვითი ზოლები და მათი საზღვრები რეგულირდება საქართველოს კანონით წყლის რესურსების მართვის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებით, “წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” და №445 დადგენილებით “საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე”, რომლებიც სამართლებრივად არეგულირებენ მდინარეთა აუზების სიდიდისა და მდინარის სიგრძის შესაბამისად წყალდაცვითი ზოლის საზღვრებს. მდინარის წყალდაცვითი ზოლის სიგანე მდინარის კალაპოტის კიდიდან შემდეგნაირად აითვლება ორივე მხარეს მეტრებში: 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარისათვის – 10 მეტრი; 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარი-სათვის – 20 მეტრი; 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარისათვის – 30 მეტრი; 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარისათვის – 50 მეტრი. წყალდაცვითი ზოლების საზღვრები დგინდება წყლის ობიექტების ნაპირებიდან წყალუხვობის პერიოდის მდგომარეობის მიხედვით.

საპროექტო ტერიტორიაზე მდ. ფიჩორასათვის წყალდაცვითი ზოლის საზღვრებად უნდა განისაზღვროს მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებიდან 30 მ, ხოლო მდინარე ფიჩორისათვის 30 მ, ყველა სხვა წყლის ნაკადისათვის – 10 მ.

ტბებისა და წყალსაცავებისთვის, რომლებიც სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის არ გამოიყენება, წყალდაცვითი ზოლის სიგანე განისაზღვრება: წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან 300 მეტრით, ხოლო სარეკრეაციო-გამაჯანსაღებელი ობიექტებისათვის, წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან არანაკლებ 30 მეტრით. დასახლებულ პუნქტებში წყალდაცვითი ზოლების სიგანე დამტკიცებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციით დგინდება.

წყლის ჩარჩო დირექტივის მიზნების მისაღწევად და დირექტივის სტაბილური განხორციელების მიზნით დაგეგმილია ეტაპობრივი საქმიანობა, რაც მოიცავს:

პირველი ეტაპი – წყლის რესურსების წინასწარ დახასიათებას არსებულ, გეოგრაფიულ, ჰიდრო-ლოგიურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. ეს პროცესი წყლის ობიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა შემდეგ ტიპებად:

- რისკის ქვეშ მყოფი – ეკოლოგიური ხარისხის მნიშვნელოვანი ცვლილება ანთროპო-გენური ზემოქმედების შედეგად;
- შესაძლო რისკის ქვეშ მყოფი – ცვლილების დონის დასადგენად ან ცვლილების დასარეგულირებლად საკმარისი ინფორმაციის არარსებობა;
- ურისკო – არავითარი ან ოდნავი ცვლილება.

მეორე ეტაპზე უნდა შემუშავდეს წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივასთან თავსებადი მონიტორინგის ქსელი. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, წყლის მარაგების დახასიათება შეიძლება დაკონკრეტდეს და, როგორც ბიოლოგიური, ასევე ქიმიური ელემენტების ხარისხის გათვალის-წინებით, განისაზღვროს მისი სტატუსი. ეს სამუშაო უნდა ჩატარდეს იმისთვის, რომ მოხდეს წყლის სტატუსის კლასიფიკაცია, როგორც ამას “წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივა” მოითხოვს.

მესამე ეტაპი – ყველა მდინარის აუზისთვის უნდა შემუშავდეს “მდინარის აუზის მართვის გეგმა”, კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამების ჩათვლით.

შესაბამისად, კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმა მიზნად ისახავს წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად წყლის ობიექტების საუკეთესო, კარგი და დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის დადგენას, წყლის ეკოსისტემების დაცვას და წყლის რესურსების მდგრადი სარგებლობის ხელშეწყობას ბუნებრივი და ანთროპო-გენური რისკების გათვალისწინებით.

3.7 პალიასტომის ტბის ჰიდროქიმიური მახასიათებლები

პალიასტომის ტბა, მას შემდეგ, რაც მალთაყვის არხით შავ ზღვას ხელოვნურად დაუკავშირეს, მისი მტკნარი წყალი მომარილოთი შეიცვალა (წყალი მტკანარად ითვლება თუ მისი მინერალიზაცია 1გ/ლ ნაკლებია; 1-25 გ/ლ შემთხვევაში, წყალს მომარილო ეწოდება).

2017 წლის მონაცემებით (საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 17(1), 2017) პალიასტომის წყლის ჰიდროქიმიური პარამეტრებია: pH 7.20-8.30; მინერალიზაცია 940.611-6017.390 მგ/ლ. მთავარი იონები (მგ/ლ); Ca²⁺ 52-128.000; Mg²⁺ 31-240.0; Na 220-1694; K 8.8-58.300; Cl 176.9-3410.29; HCO₃ 180.560-176.900; SO₄ 56-330.0. ჟანგბადის ქიმიური მოხმარება მგ/ლ <15-36. შედარებით დაბალი მინერალიზიით გამოირჩევა ის სინჯები, რომლებიც თევზის გადამამუშავებელ ქარხანასთანაა ადებული. ამ მონაცემების მიხედვით პალიასტომის ტბის კლასიფიკაციაა: ქლორიდული კლასი, ნატრიუმის ჯგუფი, მესამე ტიპი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის მონაცემებით, ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია 0.051-0.860 მგN/ლ-ის ფარგლებში მერყეობდა. უდიდესი მნიშვნელობა 0.860 მგN/ლ (2.2 ზდვ) დაფიქსირდა პალიასტომის ტბის წყალში მალთაყვასთან. ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.4-ჯერ აღემატებოდა ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია პალიასტომის

ტბაში შესართავთან (0.42 მგN/ლ). მალთაყვასთან , რკინის რაოდენობა (0.42 მგ/ლ), 1.4-ჯერ მაღალი იყო ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე.

გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის მონაცემებით, ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია, ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.3-ჯერ (0.49 მგN/ლ) აღემატებოდა. დანარჩენი განსაზღვრული კომპონენტების კონცენტრაციები ნორმის ფარგლებში იყო.

3.8 საველე კვლევის შედეგები წყლის ობიექტებზე

წყლის ჩარჩო დირექტივის დანართი 4-ის შესაბამისად, დაცული ტერიტორიების მიმართ არსებობს შესაბამისი განსხვავებული მიზნები, რომლებიც იდენტიფიცირებული უნდა იყოს თითოეული დაცული ტერიტორიისათვის. ამასთან, დაცული ტერიტორიის ფარგლებში, მნიშვნელოვნად მინიმიზირებულია ის უარყოფითი რისკები, რაც წყლის რესურსების მართვასთანაა დაკავშირებული.

ჰიდროლოგიურ ობიექტებზე ანთროპოგენური ცვლილების (ზეწოლის) ტიპების კვლევის დროს, ყურადღება ისეთ ფაქტორებზე გამახვილდა, როგორცაა წყლის ობიექტებიდან წყალაღება, დაბინძურების წყაროები, მდინარეში წყლის ნაკადის უწყვეტობა და სხვ.

შესაბამისი საადაპტაციო ღონისძიებები ეფუძნება წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნებს.

მდინარე ჭურია და მისი შენაკადები – წყლის ნაკადის დაბალი სიჩქარე მცირე ქანობების გამო, სადრენაჟე არხების ქსელი (ონწყვემიას არხი, მუხურჯინის არხი, დღვაბას არხი), კალაპოტის სიგანე 120-140 მ ზღვასთან შესართავის რაიონში, ზემო დინებაში მცირდება, საშუალო სიღრმე 3-4 მ, გასწორხაზოვნებული კალაპოტი, ზღვაზე ღელვის დროს ზღვის წყალი ინტენსიურად შემოდის მდინარის კალაპოტში. შესართავში დამახასიათებელია ტალღები. წყალდიდობის დროს წყლის დონე 1 მეტრით მატულობს, დამახასიათებელია ესტუარისებრი შესართავი, გრუნტის წყლების დონე მაღალია, წყალში ბევრია ტორფი. აქედან გამომდინარე, აქვს სპეციფიკური მოშავო რუხი ფერი. საყოფაცხოვრებო ნაგავი მოჰყვება მდინარე მუნჩიას. ნაკადის უწყვეტობა შენარჩუნებულია.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება;

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება;

დაბინძურება – დიფუზიური წყარო არ არის;

დაბინძურება – წერტილოვანი წყარო არ არის;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება.

გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება - არ საჭიროებს.

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება:

- ჰიდროლოგიური საგუშაგოს მოწყობა;
- ნაგავდამჭერი ნაგებობის მშენებლობა;
- ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.



მდ. ჭურია

მდინარე რიონი – საკვლევ არეალში მდ. რიონის შესართავისპირა არეალი შემოდის. მდინარე რიონის საშუალო წლიური ჩამონადენი შეადგენს დაახლოებით 410 მ³/წმ. ამ მონაკვეთზე მდინარის საშუალო ქანობი 0.2‰-ია. ნაკადის სიგანე იცვლება 120-დან 250 მ-მდე, სიღრმე 2.5-დან 3.5-4.0 მ-მდე, ხოლო სიჩქარე 1-1.5 მ/წმ-დან 0.3-1.0 მ/წმ-მდე. ნაკადის ფსკერი ძირითადად სწორი და სილიანია. წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდში იგი განიცდის დეფორმაციას.

კოლხეთის დაბლობზე მდინარეს ორმხრივი ჭალა სამტრედიიდან შესართავამდე გასდევს. სოფელ საჯავახოდან ქალაქ ფოთამდე მდინარის ორივე ნაპირზე მოწყობილია მიწის ნაპირდამცავი დამბები, რითაც შემოსაზღვრულია მდინარის ბუნებრივი კალაპოტი. დამბებს შორის მანძილი 0.3 კმ-დან 1.2 კმ-მდე იცვლება. დამბებს გარეთ მდინარის ჭალის სიგანე 4-5 კმ-ს შეადგენს. მისი ზედაპირი სწორია და ათვისებულია სახნავებით. დამბებს შორის არსებული მდინარის ჭალა წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდში 1.5-3.0 მ სიმაღლის წყლის ფენით იფარება.

მდინარე რიონი იკვებება მყინვარების, თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით და წყალმოვარდნებით მთელი წლის განმავლობაში. მდინარეზე მაქსიმალური ჩამონადენი გაზაფხულზე (IV-VI) აღინიშნება, მინიმალური ჩამონადენი კი იანვარში ფიქსირდება და წლიური ჩამონადენის მხოლოდ 5%-ს უტოლდება.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება;

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება;

დაბინძურება – დიფუზიური წყარო არ არის;

დაბინძურების – წერტილოვანი წყარო არ არის

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება.

ტბასთან მისასვლელ გზაზე შეინიშნება სამშენებლო ნაგავი, როკომენდირებულია მისი გასუფთავება.

გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება – ჰიდროლოგიური საგუშაგოს მოწყობა;

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება – მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

მდინარე ცივა (ცივი) და მისი შენაკადები – დამახასიათებელია წყლის ნაკადის დაბალი სიჩქარეები, პრაქტიკულად დამდგარი წყალი, არხების ხშირი ქსელი (ონწყვეშიას არხი, მუხურჯინის არხი, დღვას არხი), წყლის სიგანე 50-70 მ, უერთდება მდინარე ხობისწყალს, შესართავის რაიონში საშუალო სიღრმე 2.5 მ, გასწორხაზოვნებული კალაპოტი, ზღვაზე დღვას დროს ზღვის წყალი შემოდის მდინარის კალაპოტში. შესართავში დამახასიათებელია ტალღები. წყალდიდობის დროს წყლის დონე 70 სმ-ით მატულობს, დამახასიათებელია ესტუარისებრი შესართავი, გრუნტის წყლების მაღალი დონე, წყალში ბევრია ტორფი, აქედან გამომდინარე აქვს სპეციფიკური მოშავო რუხი ფერი. საყოფაცხოვრებო ნაგავი შედის ზღვიდან. ანტროპოგენური ჩარევა არ ხდება. მდინარე ცივის მარჯვენა მხარეს აშენებულია 3.0-3.5 მ სიმაღლის დამბა, რომლის დანიშნულებაცაა მარჯვენა მხარეს არსებული ტერიტორიების დაცვა დატბორვისაგან. თუმცა აღნიშნული ტერიტორია არ შემოდის დაცულ ტერიტორიების სისიტემაში. მნიშვნელოვანი შენაკადია მდინარე ცია, რომლის დონეებიც შედარებით სტაბილურია. ნაკადის უწყვეტობა შენარჩუნებულია.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება;

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება;

დაბინძურება – დიფუზიური წყარო არ არის;


დაბინძურება – წერტილოვანი წყარო არ არის;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება.

გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება – არ საჭიროებს;

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება:

- ჰიდროლოგიური საგუშაგოს მოწყობა;
- ნაგავდამჭერი ნაგებობის მშენებლობა;
- ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.



მდინარე ცივი

მდინარე ფიჩორი და მისი შენაკადები – ყველაზე დიდი მდინარე კოლხეთის დაცული ტერიტო-რიების შემადგენლობაში, უერთდება პალიასტომის ტბას, ქვემო ნაწილში დამახასიათებელია მდორე დინება, ზემო ნაწილში დინება შედარებით სწრაფია, იკვეთება არხების მრავალრიც-ხოვანი ქსელით, კალაპოტი გასწორხაზოვნებულია, განსაკუთრებით ქვემო წელში. გრუნტის წყლების დონე მაღალია, წყალში ბევრია ტორფი. არის კუნძულები,

ანტროპოგენური ჩარევა არ ხდება. მდინარის კალაპოტიდან უახლოესი სოფლებია ლესა და ჩიბათი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) და სოფელი შავდელე (ხოზის მუნიციპალიტეტი), რომლებიც რამდენიმე კილომეტრითაა მდინარის ძირითად კალაპოტს დაშორებული. შესართავიდან 11.8 კილომეტრზე დგას წყლის დონის მზომი. ნაპირთან წყლის დონეა 90 სმ, საშუალო სიღრმე 3-4 მ. დიდი წყალდიდობების დროს წყლის დონე 1-1.5 მ-ით მატულობს. მდინარის უწყვეტობა შენარჩუნებულია. დაუდასტურებელი ინფორმაციით, მდ. რიონმა სოფ. სირიაჩხონთან და საქოქოსთან დამბა გაარღვია, რის გამოც არსებობს რისკი წყალდიდობის დროს მდინარე რიონის წყალი მდინარე ფიჩორში წამოვიდეს.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება;

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება;

დაბინძურება – დიფუზიურ წყაროდ (პოტენციური) შეიძლება განხილულ იქნას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ჩამონადენი;

დაბინძურება – წერტილოვანი წყარო არ არის.


სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება, მაგრამ რისკი არსებობს. გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება – არ საჭიროებს.

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება:

- ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.



მდინარე ფიჩორი



მდინარე ფიჩორის შენაკადი

მდინარე თხოვრინა – ტიპური ჭაობის მდინარე, ჩაედინება პალიასტომის ტბაში, საშუალო სიღრმე 2.5-3.0 მ, კალაპოტი გასწორხაზოვნებულია, ანტროპოგენური ჩარევა არ მიმდინარეობს. დონეები სტაბილურია. ნაკადის უწყვეტობა შენარჩუნებულია.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება;

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება;

დაბინძურების – დიფუზიური წყარო არ არის;

დაბინძურების – წერტილოვანი წყარო არ არის.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება, მაგრამ რისკი არსებობს.

გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება – არ საჭიროებს;

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება:

- ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.



მდინარე თხორინა

პალიასტომის ტბა – დონეების შედარებითი სტაბილურობა, რაც დაკავშირებულია ზღვასთან პირდაპირ ჰიდრაულიკურ კავშირთან, ძლიერი დელტის დროს ზღვის წყალი საკმაოდ შემოდის ტბაში, თუმცა ვერ ახერხებს მის სრულად მოცვას. ტბის აღმოსავლეთი ნაწილი მაინც მტკნარი რჩება, ტბის ნაპირები დაბალია, 30-70 სმ სიმაღლის, ტბის ყველა მხარე, გარდა დასავლეთისა, დაჭობებულია, დასავლეთ მხარეს ტბას ჩამოუდის მდინარე კაპარჭა, სამხრეთ ნაწილში გაჭრილია ვრცელი არხი ე.წ „განათხარი“ რომელიც საკმაოდ ფართო წყალსატევია, ის არხებით დაკავშირებულია საკუთრივ პალიასტომთან. გრუნტი შედგება რუხი და მურა ლამისაგან (საპროპელ-ნარევი ტორფი) შესაბამისად წყალის მუქი შეფერილობისაა.

ბოლო ათეული წლებია ტბაში მოიკლო წყლის დონემ, რაც უმეტესად ფსკერის ამაღლებას-თანაა დაკავშირებული.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება;

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება;

დაბინძურება – დიფუზიური წყარო არ არის;

დაბინძურება – წერტილოვანი წყარო არ არის.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება, მაგრამ რისკი არსებობს.

გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება – ჰიდროლოგიური სადგურის მოწყობა;

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება:

- ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.



პალიასტომის ტბა



მალთაყვის არხი

იმნათის ტბა – პატარა ტბა. მისგან გამოედინება პატარა მდინარე ტანა, რომელიც უერთდება ჩერპალკის არხს, ტბის სიღრმე დაბალია, წყალმცირობის დროს 1 მ, წყალდიდობის დროს დონემ შეიძლება 50-70 სმ-ით მოიმატოს. დონეების ცვალებადობა დამოკიდებულია ნალექებზე. ტბაში, განსაკუთრებით ნაპირებთან, ამოსულია წყალმცენარეები, ეკოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება;

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება;

დაბინძურების – დიფუზიური წყარო არ არის;

დაბინძურების – წერტილოვანი წყარო არ არის;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება.

გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება – ჰიდროლოგიური საგუშაგოს მოწყობა;

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება – მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.



იმნათის ტბა

ფართო წყლის ტბა – ტბა წვიმის წყლებით საზრდოობს, მისი დონეების ცვალებადობა დამოკიდებულია ნალექებზე. ტბის ნაპირებზე ამოსულია წყალმცენარეები, ეკოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია. მასზე მნიშვნელოვანი ანტროპოგენური დატვირთვები არ ხდება.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება

დაბინძურების – დიფუზიური წყარო არ არის

დაბინძურების – წერტილოვანი წყარო არ არის

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება.

ტბასთან მისასვლე გზაზე შეინიშნება სამამშენბლო ნაგავი, როკომენდირებულია მისი გასუფთავება.

გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება - ჰიდროლოგიური საგუშაგოს მოწყობა;

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.



ფართო წყლის ტბა

ნაბადას ტბა – ტბას აქვს მოგრძო ფორმა, მაქსიმალური სიღრმე 1.8 მ, საზრდოობს წვიმის წყლებით, დონეების ცვალებადობა ნალექებზეა დამოკიდებული. ტბის ნაპირებზე ამოსულია წყალმცენარეები, ეკოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია. მასზე არ ხდება მნიშვნელოვანი ანტროპოგენური დატვირთვები.

წყალაღება – სასმელი დანიშნულებით არ ხდება;

წყალაღება – საყოფაცხოვრებო დანიშნულებით არ ხდება;

დაბინძურება – დიფუზიური წყარო არ არის;

დაბინძურება – წერტილოვანი წყარო არ არის;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დაბინძურება არ შეინიშნება.

ტბასთან მისასვლელ გზაზე შეინიშნება სამშენებლო ნაგავი, რეკომენდებულია მისი გასუფთავება.

გარემოსდაცვითი ძირითადი ღონისძიება – ჰიდროლოგიური საგუშაგოს მოწყობა;

გარემოსდაცვითი დამატებითი ღონისძიება – მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.



ნაბადას ტბა

ძირითადი ღონისძიებები:

- ჰიდროლოგიური საგუშაგოების მოწყობა, რაც გრძელვადიან პერიოდში წყლის რაოდენობრივი ცვალებადობის ანალიზის შესაძლებლობას მოგვცემს.

დამხმარე ღონისძიებებიდან ზოგადად უნდა აღინიშნოს:

- უნებართვო ნაგავსაყრელების მონიტორინგი;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კომპანია;
- ბიომეურნეობების მოწყობა და გრძელვადიან პერსპექტივაში სოფლის მეურნეობაში პესტიციდების გამოყენების შემცირება;
- კვლევების ჩატარების გაგრძელება;
- ბუფერული ზონების ჩამოაყალიბება;
- არხების/კალაპოტების პერმანენტული მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში გაღმავება-გასუფთავება.

3.9 წყლის ობიექტების ჰიდროქიმიური პარამეტრების შეფასება

პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების ფარგლებში, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე არსებული წყლის რესურსების ჰიდროქიმიური მახასიათებლების შესწავლის მიზნით, აღნიშნული ტერიტორიების წყლის ობიექტების ჰიდროქიმიური შესწავლა და ანალიზების ჩატარება ორ ეტაპად განხორციელდა.

კვლევის პირველ ეტაპზე, 2024 წლის აგვისტოში, გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის გარემოზე ტექნოგენური ზემოქმედების შეფასებისა და საექსპედიციო მომსახურების სამართველოს თანამშრომლების მიერ, წინასწარ შეთანხმებულ წერტილებში, წყლის სინჯები აღებული იქნა შემდეგი ობიექტებიდან: ნაზადას, პალიასტომისა და იმნათის ტბები და მდინარეები ფიჩორი, ფიჩორი (I შენაკადი) და ფიჩორი (II შენაკადი) და მდ. თხორია (07.08.2024); მდინარეები ჭურია, ჭურია-I შენაკადი, ჭურია-II შენაკადი, მდ. ცივი, ცივი-I შენაკადი, ცივი-II შენაკადი (08.08.2024). წყლის ნიმუშების ტრანსპორტირება ლაბორატორიაში უსაფრთხო პირობებში განხორციელდა (სპეციალური კონტეინერებითა და ყინულით 4°C ტემპერატურაზე.), რათა შემცირებულიყო სინჯების ვარგისიანობის გაუარესება. წყლის ანალიზები ჩატარებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში დანერგილი ISO სტანდარტებისა და SOP-ების შესაბამისად.

წყლების ჰიდროქიმიური პარამეტრების **I ეტაპის** (აგვისტო) საერთაშორისო სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, განსაზღვრული იქნა შემდეგი ჰიდროქიმიური პარამეტრები:

ინგრედიენტები	მეთოდი	მეთოდი/ხელსაწყო სტიპი
pH	სსტ ისო 10523:2010	pH-Meter MIIWaUKKEE H:150
გახსნილი ჟანგბადი		WTW Multi 3630 IDS
ნიტრიტები	სსტ ისო 10304-1:2007	იონ-ქრომატოგრაფი ICS 1000
ნიტრატები	სსტ ისო 10304-1:2007	იონ-ქრომატოგრაფი ICS 1000
სულფატები	სსტ ისო 10304-1:2007	იონ-ქრომატოგრაფი ICS 1000
ქლორიდები	სსტ ისო 10304-1:2007	იონ-ქრომატოგრაფი ICS 1000
ამონიუმის აზოტი	სსტ ისო 7150-1:2010	სპექტროფოტომეტრული
კალციუმი	სსტ ისო 6058:2008	ტიტრიმეტრული
მაგნიუმი	სსტ ისო 6058:2008	ტიტრიმეტრული
ნატრიუმი	სსტ ისო 11885:2007	ICP-OES
კალიუმი	სსტ ისო 11885:2007	ICP-OES
მძიმე ლითონები	ISO 11885:2007	ICP-OES

საერთაშორისო სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ნაზადას, პალიასტომისა და იმნათის ტბების და მდინარეების: ფიჩორის, ფიჩორი-I შენაკადის, ფიჩორი-II შენაკადის, თხორიას, ჭურიას, ჭურიას-I შენაკადის, ჭურიას-II შენაკადის, ცივის, ცივის-I შენაკადის, ცივის-II შენაკადის, განსაზღვრული ჰიდროქიმიური პარამეტრებია: pH, ნიტრატები, ნიტრიტები, ამონიუმი, გახსნილი ჟანგბადი, პერმანგანატული ჟანგვადობა, მთავარი იონები (Ca²⁺, Mg²⁺, K⁺, Na⁺, HCO₃⁻, SO₄²⁻, Cl⁻), მძიმე მეტალები Cu(II), Pb(II) და Fe(III) და ქლოროგანული პესტიციდები.

pH მაჩვენებელი, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირული წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №425, 2013 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი) ნორმის (6.5-8.5) ფარგლებშია. გამონაკლისებია პალიასტომის ტბის pH სიდიდეები, რომლებიც 9-ს აღემატება, რაც ფოტოსინთეზის პროცესის გააქტიურებით უნდა იყო გამოწვეული. ამ დროს ნახშირბადის (IY) ოქსიდის კონცენტრაცია მცირდება, რაც თავის, მხრივ pH სიდიდის გაზრდას იწვევს.

აზოტის არაორგანული ფორმებიდან ნიტრატი და ნიტრიტ იონები ყველგან ნორმის ფარგლებშია. ზღვ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამომიუმის იონის შემთხვევაში შემდეგ ზედაპირულ წყლებში: მდ. ფიჩორი (სინჯი #1787) – 0.46 მგ/ლ (1.2 ზდკ); მდ. ფიჩორი-I შენაკადი (სინჯი #1788) – 0.96 მგ/ლ (2.5 ზდკ); მდ. ფიჩორი-II შენაკადი (სინჯი #1789 – 0.47 მგ/ლ (1.2 ზდკ); პალიასტომის ტბა (სინჯი #1790) – 2.77 მგ/ლ (7.1 ზდკ); მდ. თხორინა (სინჯი #1791) – 2.0 ზდკ; იმნათის ტბა (სინჯი #1792 – 1.2 ზდკ. ამის მიზეზები ფეკალური ნაკადები და ორგანული სასუქების გამოყენება უნდა იყოს.

ქლორიდები ყველგან ნორმის ფარგლებშია. გამონაკლისია პალიასტომის ტბა (სინჯი #1790) – 2871.7 მგ/ლ (8.2 ზდკ) და მდ. ჭურია-II შენაკადი (სინჯი #1824) – 407.8 მგ/ლ (1.2 ზდკ), რაც შავი ზღვის გავლენითაა გამოწვეული.

დანარჩენი კომპონენტები, პრაქტიკულად ყველგან ნორმის ფარგლებშია.

ჩვენს მიერ გათვლილი იქნა მთავარი იონების რაოდენობა მგ-ეკვ/ლ-ში, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა საკვლევი ზედაპირული წყლების კლასები, ჯგუფები და ტიპები.

ნაზადს ტბა (სინჯი #1786): pH 8.7, მინერალიზაცია 184.56 მგ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_{III}^{Ca}.

მდ. ფიჩორი (სინჯი #1787): pH 7.4, მინერალიზაცია 379.02 მგ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_{III}^{Ca}.

მდ. ფიჩორი-I შენაკადი (სინჯი #1788): pH 6.3, მინერალიზაცია 402.12 მგ/ლ. კარბონატული კლასი, ნატრიუმის ჯგუფი, პირველი ტიპი ($\text{HCO}_3^- > \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_I^{Na}.

მდ. ფიჩორი-II შენაკადი (სინჯი #1789): pH 7.3, მინერალიზაცია 358.67 მგ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_{III}^{Ca}.

მდ. ცივი (სინჯი #1825): pH 7.6, 477.24 ქლორიდული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_{III}^{Ca}.

პალიასტომის ტბა (სინჯი #1790): pH 9.3, მინერალიზაცია 5166.45 მგ/ლ. ქლორიდული კლასი, ნატრიუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_{III}^{Na}.

მდ. თხორინა (სინჯი #1791): pH 6.7, მინერალიზაცია 169.74 მგ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, პირველი ტიპი ($\text{HCO}_3^- > \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_I^{Ca}.

იმნათის ტბა (სინჯი #1792): pH 6.9, მინერალიზაცია 190.42 მგ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_{III}^{Ca}.

მდ. ჭურია (სინჯი #1822): pH 6.9, მინერალიზაცია 540.06 მგ/ლ. ქლორიდული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – C_{III}^{Ca}.

მდ. ჭურია-I შენაკადი (სინჯი #1823): pH 6.9, მინერალიზაცია 164.97 მგ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ჭურია-II შენაკადი (სინჯი #1824): pH 7.4, მინერალიზაცია 797.21 მგ/ლ. ქლორიდული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ცივი-I შენაკადი (სინჯი #1826): pH 7.6, მინერალიზაცია 552.81 მგ/ლ. ქლორიდული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ცივი-II შენაკადი (სინჯი #1827): pH 7.5, მინერალიზაცია 516.62 მგ/ლ. ქლორიდული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

ამგვარად ზაფხულის სინჯების ჰიდროქიმიური ანალიზის თანახმად, ზედაპირულ წყლებში გახსნილი ნივთიერებები, პრაქტიკულად ნორმის ფარგლებშია. კოლხეთის დაცული ტერიტორიების ზედაპირულ წყლებში გვხვდება როგორც კარბონატული, ასევე ქლორიდული კლასის კალციუმის ჯგუფის წყლები. გამონაკლისია პალიასტომის ტბა.

კვლევის მეორე ეტაპზე (2024 წლის ოქტომბერი), გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის გარემოზე ტექნოგენური ზემოქმედების შეფასებისა და საექსპედიციო მომსახურების სამართველოს თანამშრომლების მიერ, ჯავახეთის დაცული ტერიტორიის ტბებიდან, წინასწარ შეთანხმებულ წერტილებში, აღებული იყო წყლის სინჯები, რომლებიც შეტანილი იქნა სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში კონკრეტული ქიმიური ანალიზების ჩასატარებლად. ლაბორატორიაში ტრანსპორტირებისათვის სინჯები უსაფრთხოდ იყო მოთავსებული კონტეინერებში 4°C-ზე.

წყლის სინჯები აღებული იყო ჯავახეთის საკვლევი ტერიტორიის შემდეგი წყლის ობიექტებიდან: ნაბადას, პალიასტომის და იმნათის ტბები, მდინარეები ფიჩორი, ფიჩორი-I შენაკადი და ფიჩორი-II შენაკადი, მდ. თხორია; ასევე მდინარეები ჭურია, ჭურია-I შენაკადი, ჭურია-II შენაკადი, მდ. ცივი, ცივი-I შენაკადი, ცივი-II შენაკადი (31.10.2024).

წყლების ჰიდროქიმიური პარამეტრების II ეტაპის (ოქტომბერი) დასადგენად, გარდა იმ ანალიზებისა, რომლებიც კვლევის I ეტაპზე (ზაფხულში) ჩატარდა: pH, გახსნილი ჟანგბადი, ნიტრატები, ნიტრიტები, ამონიუმი, მთავარი იონები (Ca^{2+} , Mg^{2+} , K^+ , Na^+ , HCO_3^- , SO_4^{2-} , Cl^-) და მძიმე მეტალები – Cu(II) , Pb(II) და Fe(III) , განისაზღვრა ასევე ჰიდროკრბონატი და პერმანგანატული ჟანგვადობა.

ჩატარებული კვლევები:

ინგრედიენტები	მეთოდი	მეთოდი/ზელსაწყოს ტიპი
pH	სსტ ისო 10523:2010	pH-Meter MIIWaUKEE H:150
გახსნილი ჟანგბადი		WTW Multi 3630 IDS
ნიტრიტები	სსტ ისო 10304-1:2007	იონ-ქრომატოგრაფი ICS 1000
ნიტრატები	სსტ ისო 10304-1:2007	იონ-ქრომატოგრაფი ICS 1000
სულფატები	სსტ ისო 10304-1:2007	იონ-ქრომატოგრაფი ICS 1000
ქლორიდები	სსტ ისო 10304-1:2007	იონ-ქრომატოგრაფი ICS 1000
ამონიუმის აზოტი	სსტ ისო 7150-1:2010	სპექტროფოტომეტრული
კალციუმი	სსტ ისო 6058:2008	ტიტრიმეტრული
მაგნიუმი	სსტ ისო 6058:2008	ტიტრიმეტრული

ნატრიუმი	სსტ ისო 11885:2007	ICP-OES
კალიუმი	სსტ ისო 11885:2007	ICP-OES
მძიმე ლითონები	ISO 11885:2007	ICP-OES
ჰიდროკრბონატი	სსტ ისო 9963-1:1994	ტიტრიმეტრული
პერმანგანატული ჟანგვალობა	სსტ ისო 8467:2007	ტიტრიმეტრული

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული ზედაპირული წყლების ჰიდროქიმიური პარამეტრების განსაზღვრის II ეტაპის (ოქტომბრის) ანალიზები საერთაშორისო სტანდარტული მეთოდების გამოყენებით ჩატარდა ნაბადას, პალიასტომის და იმნათის ტბებზე, მდინარეებზე ფიჩორი, ფიჩორი-I შენაკადი და ფიჩორი-II შენაკადი, მდ. თხოვრია; მდინარეებზე ჭურია, ჭურია-I შენაკადი, ჭურია-II შენაკადი, მდ. ცივი, ცივი-I შენაკადი, ცივი-II შენაკადი.

ჩატარებული ანალიზების შედეგად, შემდეგი სურათი გამოვლინდა.

pH მაჩვენებელი, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირული წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №425, 2013 წლის 31 დეკემბერი, ქ. თბილისი) ნორმის (6.5-8.5) ფარგლებშია. გამოანკლისებია: იმნათის (5.1) pH სიდიდეები.

აზოტის არაორგანული ფორმებიდან ნიტრატი და ნიტრიტ იონები ყველგან ნორმის ფარგლებშია. ზდგ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამონიუმის იონის შემთხვევაში შემდეგ ზედაპირულ წყლებში: მდ. ფიჩორი – 0.49 მგ/ლ (1.3 ზდგ); მდ. ფიჩორი-I შენაკადი – 0.56 მგ/ლ (1.4 ზდგ); იმნათის ტბა – 0.43 მგ/ლ (1.1 ზდგ); მდ. ჭურია – 0.41 მგ/ლ (1.1 ზდგ); მდ. ჭურია, პირველი შენაკადი – 0.48 მგ/ლ (1.2 ზდგ); მდ. ჭურია, მეორე შენაკადი – 0.80 მგ/ლ (2.1 ზდგ); მდ. ცივი – 0.60 მგ/ლ (1.5 ზდგ); მდ. ცივი, პირველი შენაკადი – 0.69 მგ/ლ (1.8 ზდგ); მდ. ცივი, მეორე შენაკადი – 0.65 მგ/ლ (1.7 ზდგ). ამის მიზეზები ფეკალური ნაკადები და ორგანული სასუქების გამოყენება უნდა იყოს.

ქლორიდები ყველგან ნორმის ფარგლებშია, მაშინ როდესაც პირველ ეტაპზე მისი რაოდენობა ორ სინჯში გაზრდილი იყო. პალიასტომის ტბა (სინჯი #1790) – 8.2 ზდგ და მდ. ჭურია-II შენაკადი (სინჯი #1824) – 1.2 ზდგ. ასეთი ცვლილება კი მხოლოდ შავი ზღვის გავლენის შესუსტებით შეიძლება აიხსნას, რაც შავ ზღვაში განვითარებული დინამიკური პროცესებით (ტალღების და დონების ცვალებადობა) და მეტეოროლოგიური პირობების ცვლილებამ გამოიწვია. პირველ შემთხვევაში იზრდება ზღვის წყლის გავლენა, მეორე შემთხვევაში კი ატმოსფერული ნალექები წყლის დონის (ზედაპირული და მიქსიქვეშა) მატებასა და ზღვის გავლენის შესუსტებას იწვევს. მძიმე მეტალებიც და დანარჩენი კომპონენტები, ყველგან ნორმის ფარგლებშია.

ნაბადას ტბა (სინჯი #2443): pH 7.4, მინერალიზაცია – 112.33 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 1.34, მუდმივი სიხისტე – 1.51 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 1.92 და 2.63 მგ.ეკვ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

პალიასტომის ტბა (სინჯი 2447) > pH7.4, მინერალიზაცია – 502.35 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 3.08, მუდმივი სიხისტე – 8.0 მგ.ეკვ/ლ, ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 3.48 და 27.9 მგ.ეკვ/ლ. ქლორიდული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{Cl}_{III}^{\text{Ca}}$.

ზაფხულის სინჯი იყო ნატრიუმის ჯგუფის. ასევე მკვეთრად შემცირდა მინერალიზაცია. ზაფხულში 5166.45 მგ/ლ იყო, ხოლო შემოდგომაზე 502.35 მგ/ლ, რაც შეიძლება აიხსნას სინჯის აღების დროისთვის ზღვის დაბალი დონისა და ტბაში მტკნარი წყლის დიდი რაოდენობით შემოსვლის გამო.

იმნათის ტბა (სინჯი #2449): pH 5.1, მინერალიზაცია – 44.35 მგ/ლ. დროებით სიხისტე – 0.48, მუდმივი სიხისტე – 0.65 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 1.82 და 2.83 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე – 0.41 მგ/ლ (1.1 ზდკ). კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ფიჩორი (სინჯი #2444): pH 7.0, მინერალიზაცია – 104.4 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 1.26, მუდმივი სიხისტე – 1.35 მგ.ეკვ/ლ, ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 3.66 და 4.38 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე – 0.49 მგ/ლ (1.3 ზდკ). კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ფიჩორი-I შენაკადი (სინჯი #2445): pH 6.4, მინერალიზაცია – 173.48 მგ.ლ. დროებითი სიხისტე – 1.42, მუდმივი სიხისტე – 2.48 მგ.ეკვ/ლ, ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 3.88 და 2.62 მგ.ეკვ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$. შეიცვალა ტიპიც და ჯგუფიც (ზაფხულის სინჯი იყო ნატრიუმის ჯგუფის და პირველი ტიპი).

მდ. ფიჩორი-II შენაკადი (სინჯი #2446): pH 6.7, მინერალიზაცია – 114.66 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 1.22, მუდმივი – 1.62 მგ.ეკვ/ლ, ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 3.28 და 4.34 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე - 0.56 მგ/ლ (1.4 ზდკ). კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. თხორია (სინჯი #2448): pH 6.95, მინერალიზაცია – 93.84 მგ/ლ. დროებითი სიხისტე 1.14, მუდმივი სიხისტე – 1.22 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 1.86 და 1.83 მგ.ეკვ/ლ. კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ჭურია (სინჯი #2450): pH 7.1, მინერალიზაცია 84.61 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 0.9, მუდმივი სიხისტე – 1.16 მგ.ეკვ./ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 2.88 და 6.61 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე - 0.41 მგ/ლ (1.1 ზდკ). კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$. ზაფხულის ქლორიდული კლასი, შეიცვალა კარბონატულით.

მდ. ჭურია-I შენაკადი (სინჯი #2451): pH 7.2, მინერალიზაცია – 108.83 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 1.24, მუდმივი სიხისტე – 1.43 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 1.82 და 2.52 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე - 0.48 მგ/ლ (1.2 ზდკ). კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ჭურია-II შენაკადი (სინჯი #2452): pH 6.8, მინერალიზაცია – 269.16 მგ/ლ, დროებითი სიხისტე – 2.48, მუდმივი სიხისტე – 3.93 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 3.28 და 9.81 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე - 0.80 მგ/ლ (2.1 ზდკ). კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$. ზაფხულის ქლორიდული კლასი შეიცვალა კარბონატულით.

მდ. ცივი (სინჯი #2453): pH 6.9, მინერალიზაცია – 136.59 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 1. 62, მუდმივი სიხისტე – 1. 75 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად 1.82 და 2.83 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად 2.86 და 7.24 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე - 0.60 მგ/ლ (1.5 ზდკ). კარბონატული კლასი (ზაფხულში იყო ქლორიდული), კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ცივი-I შენაკადი (სინჯი #2454): pH 6.5, მინერალიზაცია – 227.58 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 2.06, მუდმივი სიხისტე – 3.26 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 2.78 და 8.14 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე - 0.69 მგ/ლ (1.8 ზდკ). კარბონატული კლასი (ზაფხულში ქლორიდული კლასის იყო), კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

მდ. ცივი-II შენაკადი (სინჯი #2455): pH 6.5, მინერალიზაცია – 234.84 მგ/ლ. დროებითი სიხისტე – 2.18, მუდმივი სიხისტე – 3.25 მგ.ეკვ/ლ. ზაფხულის სინჯში შესაბამისად – 2.66 და 7.41 მგ.ეკვ/ლ. დაფიქსირდა ამონიუმის იონის გადაჭარბება შესაბამის ზდკ-ზე - 0.65 მგ/ლ (1.7 ზდკ). კარბონატული კლასი (ზაფხულში ქლორიდული იყო), კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი ($\text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-} < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+}$) – $\text{C}_{III}^{\text{Ca}}$.

როგორც მდინარე ჭურისა და მისი მეორე შენაკადის, ასევე ცივის და მისი ორივე შენაკადის შემთხვევაში, საქმე გვაქვს ერთი და იგივე პროცესთან – ქლორიდული კლასი, შეიცვალა კარბონატულით. ზოგადად, მდინარეების მტკნარი წყალი არის ჰიდროკარბონატული, ზღვის წყალი კი ქლორიდული. მდინარე ჭურია და ცივი, წარმოადგენენ რა ესტუარის მსგავს შესართავს, მკვეთრად განიცდიან ზღვის წყლის მოქმედებას, ძლიერი ღელვის დროს მასში შემოდის ზღვის წყლის საკმაო რაოდენობა და შესაბამისად წყალი ხდება მეტად ქლორიდული, ხოლო მდინარეში წყლის დონეების მატებისა და ზღვის წლის შემოდინების სიმცირის გამო, წყალი მეტად კარბონატული ხდება. ვინაიდან ამ მდინარეებისთვის, წლის ნებისმიერ სეზონში, შესაძლებელია წვიმებით გამოწვეული წყლის მაღალი დონეები, შესაბამისად ქლორიდულიდან კარბონატულ კლასზე გადასვლა მათ ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და მოკიდებული.

ზოგადად, შემოდგომით აღებულ სინჯებში, შეიმჩნევა ზოგიერთი ზედაპირული წყლის კლასიფიკაციისა და მინერალიზაციის ცვლილება.

ამგვარად, შემოდგომის სინჯების ჰიდროქიმიური ანალიზის თანახმად, ზედაპირულ წყლებში გახსნილი ნივთიერებები, პრაქტიკულად, ნორმის ფარგლებშია. განსაკუთრებულ შემოთვალისწინებას იწვევს იმნათის ტბის pH სიდიდე (5.1). საინტერესოა გარემოს მდგომარეობის რომელმა მკვეთრმა ცვლილებამ განაპირობა ტბის მჟავიანობის ასეთი მკვეთრი გაზრდა, რაც თევზებისთვის მას გამოუსედაგარს გახდის. ეს ტერიტორია იმდენად ძნელად მისასვლელი და დაჭაობებული ტერიტორიაა, რომ რაიმე ანტროპოგენური ჩარევა შეუძლებელია და პრაქტიკულად გამორიცხულია. ამის ახსნა შესაძლებელი იქნება, თუ მიზეზად მჟავე წვიმების ზემოქმედებას ვივარაუდებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სინჯების აღების წინა დღეები ინტენსიური წვიმებით ხასიათდებოდა.

3.10 წყლის ობიექტების ჰიდრობიოლოგიური პარამეტრების შეფასება


2024 წლის ივლისს-აგვისტოში გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მიერ, კოლხეთის დაცულ ტერიტორიაზე (კერძოდ, იმნათის, პალიასტომისა და ნაბადას ტბებზე), განხორციელდა ჰიდრობიოლოგიური კვლევები.

ნიმუშების აღება ხორციელდებოდა ძრავიანი ნავის გამოყენებით წყლსატევის ცენტრალური ნაწილიდან ერთ სადგურზე. ჰიდრობიოლოგიური კვლევებისათვის წყლის სინჯები აღებული იქნა ბათომეტრის საშუალებით, ზოოპლანქტონის სინჯები მცირე ზომის პლანქტონური ბადით, ხოლო ფსკერული დასახლების სინჯები – პონარის ტიპის ფსკერსახაპით. აღებული მასალის შემდგომი ხარისხობრივი და რაოდენობრივი დამუშავება მიმდინარეობდა გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის ჰიდრო-ბიოლოგიურ ლაბორატორიაში სტანდარტული მეთოდების გამოყენებით. შესწავლილი იქნა წყალსატევის ფსკერული და პლანქტონური თანასაზოგადოებები, მათ შორის ფიტოპლანქტონი, ზოოპლანქტონი, მაკროუხერხემლოები. შეფასებული იქნა აღნიშნული ჰიდრობიონტების მრავალფეროვნება, განისაზღვრა მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები – ბიომასა და რიცხოვნობა. **ფიტოპლანქტონი** – აღებული იქნა ბათომეტრის საშუალებით, წყლის ზედაპირიდან, სიღრმე 0.5 მ. აღებული მასალა თავსდებოდა პოლიეთილენის კონტეინერში, ფიქსირდებოდა 4%-იანი ფორმალდეჰიდის ხსნარით და უკეთდებოდა ეტიკეტი. ლაბორატორიაში უკუფილტრაციის მეთოდის გამოყენებით მიმდინარეობდა სინჯების კონცენტრირება, ხოლო შემდეგ მიკროსკოპის საშუალებით ხდებოდა მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი დამუშავება. **ზოოპლანქტონი** – ზოოპლანქტონის სინჯები აღებული იქნა აფშტინის ბადის გამოყენებით, პირის დიამეტრია 32 სმ, თვლის ზომა 150 მკმ. ბადის საშუალებითაც ხორციელდებოდა 100 ლ წყლის გაფილტვრა ან სადაც შესაძლებელი იყო – წყალგაწურვის პრინციპით ფსკერიდან ზედაპირამდე. აღებული მასალა ფიქსირდებოდა ადგილზე 4%-იანი ფორმალინით და უკეთდებოდა ეტიკეტი. ლაბორატორიაში მიმდინარეობდა სინჯების გადაწურვა, ხოლო შემდეგ მიკროსკოპის საშუალებით ხდებოდა მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების განსაზღვრა. **მაკროუხერხემლოები** – აღებული იქნა “პონარის” ტიპის ფსკერსახაპით, რომლის ხაპვის ფართობი – 0.015 მ². აღებული მასალა ირეცხებოდა ადგილზე, 0.25 მმ-იანი თვლის მქონე მეტალის საცერით. აღებული მასალა თავსდებოდა კონტეინერში, ფიქსირდებოდა 4%-იანი ფორმალდეჰიდით, და უკეთდებოდა ეტიკეტი. ლაბორატორიაში მიმდინარეობდა სინჯების გადარჩევა, ხოლო შემდეგ ბინოკულარის საშუალებით ხდებოდა მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების განსაზღვრა.

იმნათის ტბა.

ფიტოპლანქტონი.

იმნათის ტბის ფიტოპლანქტონი სახეობათა რიცხვის საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სულ 6 განყოფილების 35 სახეობა დაფიქსირდა. მათ შორის ყველაზე მრავალფეროვანი მწვანეების (Chlorophyta) ჯგუფის წარმომადგენლებია, რომელთაც ფიტოპლანქტონის სახეობათა საერთო რიცხვის 31.4% შეადგინეს, რაც არსებითად დამახასიათებელია მტკნარი წყლის წყალსატევებისთვის.



ფიტოპლანქტონის ძირითადი ჯგუფების პროცენტული თანაფარდობა, იმნათის ტბა 06.08.2024

სახეობათა რიცხოვნობის მიხედვით, მწვანეების შემდეგ მოდის დიატომოვანი წყალმცენარეები (*Bacillariophyceae*). აქ სახეობათა რაოდენობა წარმოდგენილია 28.6%-ით, ხოლო ყველაზე მწირი სახეობრივი შემადგენლობით გამოირჩეოდა *Chrysophyceae*-ს ჯგუფი – 2.8%-ით.

ფიტოპლანქტონის მრავალფეროვნება რიცხოვნობისა და ბიომასის მითითებით. იმნათის ტბა 06.08.2024


№	ფიტოპლანქტონის სახეობები	რიცხოვნობა, უჯრ/ლ	ბიომასა, მგ/მ ³
	Bacillariophyceae		
1	Coscinodiscus sp.	1977.5	4.30
2	Cyclotella sp.	791	0.07
3	Cymbella sp.	8305.5	47.89
4	Fragilaria crotonensis	2768.5	5.40
5	Gomphonena sp.	395.5	2.53
6	Melosira sp	791	0.30
7	Navicula sp.	2768.5	1.40
8	Nitzschia sp.	4746	1.32
9	Surirella sp.	791	0.92

10	Synedra sp.	4350.5	0.72
	Dinophyceae		
11	Ceratium hirundinella	791	33.72
12	Glenodinium sp.	1977.5	6.69
13	Peridinium sp.	12656	152.80
	Chlorophyceae		
14	Ankistrodesmus sp.	16215.5	0.22
15	Closterium sp.	1582	4.26
16	Cosmarium sp.	791	0.26
17	Crusigenia sp.	2373	0.02
18	Kirchneriella sp.	4350.5	0.50
19	Scenedesmus sp.	25312	16.50
20	Selenastrum sp.	1582	0.17
21	Spirogyra sp.	94920	247.16
22	Staurastrum sp.	791	5.08
23	Staurodesmus sp.	3164	30.69
24	Volvox sp.	791	82.08
	Euglenophyceae		
25	Euglena sp	1582	4.52
26	Lepocinclis sp.	791	3.36
27	Phacus longicauda	1186.5	5.11
28	Phacus sp.	1186.5	4.31
29	Trachaelomonas sp.	12260.5	12.10
	Chrysophyceae		
30	Dinobryon sp.	1582	1.64
	Cyanophyceae		
31	Anabaena sp.	25707.5	0.21
32	Gleocapsa sp.	4350.5	0.25
33	Merismopedia tenuisima	4746	0.04
34	Microcystis sp.	57347.5	0.71
35	Phormidium sp.	16215.5	0.14
	სულ	321937	677.36


საკვლევ პერიოდში იმნათის ტბის მიკროწყალმცენარეთა რიცხოვნობა იყო 321937 უჯრ/ლ, ხოლო ბიომასა 677.36 მგ/მ³, რაც ტბის ნორმალურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, ტაქსონომიურ ჯგუფებს შორის, როგორც რიცხოვნობის (47.2%), ისე ბიომასის მაჩვენებლით (57.1%) დომინირებენ მწვანე წყალმცენარეები (Chlorophyceae).

სახეობათა შორის რიცხოვნობისა და ბიომასის მიხედვით, დომინირებდა *Spirogyra sp.*, რომელიც მწვანე წყალმცენარეებს (Chlorophyceae) მიეკუთვნება, რიცხოვნობით – 94920 უჯ/ლ, ხოლო ბიომასა 247.2 მგ/მ³ აღწევს. *Spirogyra sp.* რიცხოვნობამ შეადგინა ფიტოპლანქტონის საერთო რიცხოვნობის 29.5%, ხოლო ბიომასა 36.5% იყო.




ფიტოპლანქტონის რიცხოვნობა და ბიომასა ტაქსონომიური ჯგუფების მიხედვით. იმნათის ტბა 06.08.2024



დომინანტური სახეობა *Spirogyra sp.*, იმნათის ტბა 06.08.2024

იმნათის ტბის ფიტოპლანქტონი წარმოდგენილი იყო სახეობრივი მრავალფეროვნებით. მათ შორის გამოვარჩევდით ულამაზეს ევგლენა-სებრთა წარმომადგენლებს: *Phacus longicauda* და *Lepocinclis.sp.*, ასევე მწვანე წყლამცენარეს (Chlorophyceae) *Volvox sp.* (ნახ. ა, ბ, გ).



ა)

ბ)

გ)

Phacus longicauda, *Lepocinclis*.sp. და *Volvox* sp., იმნათის ტბა 06.08.2024

ზოგადი დასკვნები:

1. იმნათის ტბის ფოტოპლანქტონი გამოირჩეოდა სახეობრივი მრავალფეროვნებით. ჩვენს მიერ დაფიქსირდა 6 განყოფილების 35 სახეობა. მათ შორის ყველაზე მრავალფეროვანია მწვანეების (Chlorophyta) ჯგუფის წარმომადგენლები;
2. საკვლევ პერიოდში იმნათის ტბის მიკროწყალმცენარეთა რიცხოვნობა იყო 321 937 უჯრ/ლ, ხოლო ბიომასა 677.36 მგ/მ³, რაც ტბის ნორმალურ მდგომარეობაზე მიუთითებს. იმნათის ტბის მიკროწყალმცენარეები, კარგი საკვები ბაზაა ტბის ბიოცენოზის კვებით ჯაჭვში არსებული სხვა ცოცხალი ორგანიზმებისათვის.
3. ფიტოპლანქტონის რიცხოვნობისა და ბიომასის რაოდენობის მიხედვით არ დაფიქსირებულა წყლის “ყვავილობა”.

ზოოპლანქტონი.

იმნათის ტბის ზოოპლანქტონის ნიმუშში მხოლოდ 3 სახეობა დაფიქსირდა: ულვაშტოტიანი (Cladocera) კიბოების 2, ნიჩაბფეხიანების (Copepoda) ერთი სახეობა. ზოოპლანქტონის რიცხოვნობა სინჯში 3500 ინდ/მ³ შეადგინა, ხოლო ბიომასა 220.42 მგ/მ³ აღწევს.

იმნათის ტბის ზოოპლანქტონის რაოდენობრივი მაჩვენებლები, 2024.07

Copepoda Cyclopoida		
<i>Cyclops strenuus</i>	1000	27.07239
Cladocera		
<i>Diaphanosoma sp.</i>	1500	98.15403
<i>Daphnia pulex</i>	1000	95.19692
სულ	3500.00	220.42

ამრიგად, იმნათის ტბაზე ზოოპლანქტონი წარმოდგენილია თევზების საკვები ბაზის მნიშვნელოვანი წარმომადგენლებით. ტბაში დომინირებს ულვაშტოტიანი კიბოსნაირები, ისინი მთლიანი ზოოპლანქტონის რიცხოვნობის 72% და ბიომასის თითქმის 90% შეადგენენ. საკვები ბაზის პროდუქტიულობის თვალსაზრისით ტბა საკმაოდ ღარიბია.


მაკროუხერხემლოები.

იმნათის ტბის ჰიდრობიოლოგიური კვლევისას, საკვლევ წერტილზე დაფიქსირდა 5 სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან 2 ტაქსონომიურ ტიპს (*Annelida* და *Arthropoda*) (ცხრილი). კვადრატულ მეტრზე რიცხოვნობის პროცენტული თანაფარდობით, იმნათის ტბაზე ორგანიზმები გადანაწილებულია შემდეგი სახით: რგოლოვანი ჭიები, *Annelida* 88%, ფეხსახსრიანები 12% (ნახ.).


იმნათის ტბაზე იდენტიფიცირებული ბენტოსური მაკროუხერხემლოების კლასებს შორის (*Oligochaeta*, *Hirudinae*, *Hexapoda*, *Malacostraca*, *Chironomidae*) დომინირებს *Oligochaeta*. აღნიშნულ საკვლევ წერტილში მცირე რაოდენობით იყო სახეობები *Hirudinea*-ს და *Chironomidae* -ს ოჯახიდან. ბენტოსური უხერხემლოების სახეობათა რიცხოვნობა იმნათის ტბის ნიმუშში არის 3320 ინდ.მ², ხოლო ბიომასა 2.112 გ.მ² (ნახ.).

იმნათის ტბის ბენტოსური უხერხემლოების მრავალფეროვნება

მაკროზოობენტოსი	წერტილი 1
Annelida Clitellata (Hirudinea)	
<i>Piscicola sp.</i>	+
Annelida Clitellata (Oligochaeta)	
<i>Tubificoides sp.</i>	+
Arthropoda Crustacea, Malacostraca	
<i>Pontogammarus robustoides</i> (G. O. Sars, 1894)	+
Arthropoda Crustacea Hexapoda Insecta	
<i>Culicoides sp.</i>	+
Arthropoda Crustacea, Insecta (Chironomidae)	
<i>Tendipedi sp.</i>	+



იმნათის ტბის ბენტოსური უხერხემლოების ძირითადი ჯგუფების სახეობათა რიცხოვნობა, ინდ.მ²



იმნათის ტბის ბენტოფაუნის რიცხოვნობა და ბიომასა


იმნათის ტბაზე რიცხოვნობით და ბიომასით დომინანტურია რგოლოვანი ჭიების ტიპის, კლიტელატას ქვეტიპის წარმომადგენელი, ოლიგოქეტების ოჯახიდან- *Tubificoides sp.*, მათი რიცხოვნობა 2880 ინდ.მ² შეადგენს, ხოლო ბიომასა 1.132 გ.მ². ისინი წარმოადგენენ მთელი ბენტოფაუნის 87%-ს. ოლიგოქეტების შემდეგ მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა Insecta-ს ქვეკლასის წარმომადგენელი *Culicoides sp.*, რომლის რიცხოვნობა 200 ინდ.მ² შეადგენს, ხოლო ბიომასა 0.388 გ.მ², მთელი ბენტოფაუნის მხოლოდ 6%-ს.

პალიატომის ტბა.

1924-1925 წელს ტბის სამხრეთ-დასავლეთი ნაპირიდან გაიყვანეს მალთაყვის არხი და ტბა პირდაპირ ზღვას შეუერთეს. არხი გაჭრილი იქნა იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო პალიასტომის ტბიდან ზღვისკენ ჭარბი წყლის გადინების ტემპი და მოცულობა, რათა ძლიერი წყალდიდობების დროს თავიდან აეცილებინათ ქ. ფოთის დატბორვა ნიაღვრებით. 1933 წლის დეკემბერში პალიასტომის ტბაში წყლის დონის მკვეთრი აწევის და ზღვის ძლიერი ზვირთცემის შედეგად მოხდა არხის გარღვევა – გაგანიერება/დაღრმავება (140-160 მ. სიგანე, 3,2 მ სიღრმე) და წარმოიქმნა სრუტე ამის შედეგად ტბა გადაიქცა ღია ზღვიურ ლაგუნად, რომლის გამტკნარება მიმდინარეობს გაზაფხულზე და ადრე ზაფხულში – წყალდიდობებითა და უხვი წვიმებით. გვიან ზაფხულსა და შემოდგომაზე ტბის გარემომცველი ჭაობების წყალმცირობა გრუნტის წყლების შესავსებად იწვევს ტბიდან წყლის უკუდინებას რაც თავის მხრივ სრუტის საშუალებით და ქარების ზემოქმედებით ზრდის ზღვიური წყლის შემოდინებას და შესაბამისად ტბის გამლაშებას.



ფიტოპლანქტონი.



პალიასტომის ფიტოპლანქტონი სახეობათა მრავალ-ფეროვნებით არ გამოირჩეოდა. სულ დაფიქსირდა 5 განყოფილების 13 სახეობა. მათ შორის ყველაზე მრავალფეროვანი ლურჯ-მწვანე წყალმცენარეთა (Cyanobacteria) ჯგუფის წარმომადგენლებია, რომელ-თაც შეადგინეს ფიტოპლანქტონის სახეობათა საერთო რიცხვის 46.2%.

სახეობათა რიცხოვნობის მიხედვით ლურჯ-მწვანე წყალმცენარეთა შემდეგ მოდის დიატომოვანი წყალმცენარეები (*Bacillariophyceae*) 23.1%-ით.


ფიტოპლანქტონის ძირითადი ჯგუფების პროცენტული თანაფარდობა, პალიასტომის ტბა 06.08.2024

საკვლევ პერიოდში პალიასტომის ტბის მიკროწყალმცენარეთა რიცხოვნობა იყო 7.4 მლნ უჯრ/ლ, ხოლო ბიომასა 874.56 მგ/მ³. როგორც ცხრილიდან ჩანს დაფიქსირდა ლურჯ-მწვანე წყალმცენარეთა (Cyanobacteria) “ყვავილობა”, რაც მიანიშნებს, რომ ტბაში ევრტოფიკაციის პროცესები აღინიშნება.

ფიტოპლანქტონის მრავალფეროვნება რიცხოვნობისა და ბიომასის მიხედვით.
პალიასტომის ტბა 06.08.2024

№	ფიტოპლანქტონის სახეობები	რიცხოვნობა, უჯრ/ლ	ბიომასა, მგ/მ ³
Bacillariophyceae			
1	Cyclotella sp.	5191	0.48
2	Navicula sp.	2076.4	1.05
3	Nitzschia sp.	5710.1	1.58
Dinophyceae			
4	Peridinium sp.	1038.2	12.53
Chlorophyceae			
5	Volvox sp.	7267.4	754.08
Euglenophyceae			
6	Euglena sp	2595.5	7.41
7	Trachaelomonas sp.	3633.7	3.59
Cyanophyceae			
8	Anabaena sp.	2906960	23.95
9	Microcystis sp.	778650	9.62
10	Nodularia sp.	218541.1	1.44
11	Oscillatoria sp.	295367.9	1.10
12	Phormidium sp.	1927937.4	16.28
13	Woronichinia sp	1257260.2	41.44
სულ		7412228.9	874.56

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, ტაქსონომიურ ჯგუფებს შორის, რიცხოვნობის მიხედვით დომინირებს ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები (Cyanobacteria) (99.67%). ბიომასის მაჩვენებლით (86.2%) დომინირებენ მწვანე წყალმცენარეები (Chlorophyceae).




ფიტოპლანქტონის რიცხოვნობა და ბიომასა ტაქსონომიური ჯგუფების მიხედვით.
პალიასტომის ტბა 06.08.2024


სახეობათა შორის რიცხოვნობის მიხედვით დომინირებდა ლურჯ-მწვანე წყალმცენარეთა (Cyanobacteria) წარმომადგენელი *Anabaena sp.* 2.9 მლნ უჯრ/ლ-ით, რამაც ფიტოპლანქტონის რიცხოვნობის 39,21% შეადგინა. ბიომასის მიხედვით დომინირებდა *Volvox sp.* 754.1 მგ/მ³, ის

მიეკუთვნება მწვანე წყლამცენარეებს (Chlorophyceae) – მან საერთო ბიომასის 86.2%-იან ნიშნულს მიაღწა.

პალიასტომის ტბის ფიტოპლანქტონის ლურჯ-მწვანე წყალმცენარეთა (Cyanobacteria) ჯგუფში დაფიქსირდა ძალიან საინტერესო და იშვიათი ჩვენი ტბებისათვის სახეობა *Woronichinia sp.* (სურ. 45 ბ) მისი რიცხოვნობა იყო 1.25 მლნ უჯ/ლ-ში (ფიტოპლანქტონის საერთო რიცხოვნობის 17%), ხოლო ბიომასა 41.44 მგ/მ³ (ფიტოპლანქტონის საერთო ბიომასის 4.7 %).



ა)



ბ)

დომინანტური სახეობა *Anabaena sp.* (ა) და *Woronichinia sp.* (ბ),
პალიასტომის ტბა 06.08.2024

ზოგადი დასკვნები:

1. პალიასტომის ტბის ფიტოპლანქტონი არ გამოირჩეოდა სახეობრივი მრავალფეროვნებით. ჩვენს მიერ დაფიქსირდა 5 განყოფილების 13 სახეობა. რაოდენობრივად დომინირებენ ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები (Cyanobacteria).
2. საკვლევ პერიოდში პალიასტომის ტბის მიკროწყალმცენარეთა რიცხოვნობა იყო 7.4 მლნ უჯ/ლ, ხოლო ბიომასა 874.56 მგ/მ³. დაფიქსირდა წყალსატევის “ყვავილობა”, რაც მიანიშნებს, რომ ტბაში აღინიშნება ევრტოფიკაციის პროცესები.
3. სახეობათა შორის, რიცხოვნობის მიხედვით, დომინირებდა *Anabaena sp.* 2.9 მლნ უჯ/ლ ით, რამაც ფიტოპლანქტონის რიცხოვნობის 39,21% შეადგინა. ბიომასის მიხედვით დომინირებდა *Volvox sp.* 754.1 მგ/მ³, ის მიეკუთვნება მწვანე წყლამცენარეებს (Chlorophyceae) – მან საერთო ბიომასის 86.2%-იან ნიშნულს მიაღწია.

ზოოპლანქტონი.

პალიასტომის ტბის ზოოპლანქტონის ნიმუში საკმაოდ ღარიბი აღმოჩნდა, დაფიქსირდა მხოლოდ 2 სახეობა: ულვაშტოტიანი (Cladocera) და ნიჩაბფეხიანების (Copepoda) კიბოსების თითო სახეობა, საყოველთაოდ გავრცელებული დაფნია და ციკლოპსი. ზოოპლანქტონის რიცხოვნობა სინჯში 2000 ინდ/მ³ შეადგინა, ხოლო ბიომასა 173.36 მგ/მ³ აღწევს.

პალიასტომის ტბის ზოოპლანქტონის რაოდენობრივი მაჩვენებლები

სახეობები	რიცხოვნობა	ბიომასა
Copepoda Cyclopoida		
<i>Cyclops strenuus</i>	250	6.768098
Cladocera		
<i>Daphnia pulex</i>	1750	166.5946

სულ	2000.00	173.36
-----	---------	--------

მიღებული შედეგების მიხედვით პალიასტომის ტბაზე აღინიშნება პლანქტონური უხერხემლოების დაბალი რაოდენობა და შესაბამისად საკვები ბაზის სიმცირე, რაც ტბაში მიმდინარე ევტროფული პროცესებით შეიძლება იყოს გამოწვეული.


მაკროუხერხემლოები.

პალიასტომის ტბის ჰიდრობიოლოგიური კვლევა 2024 წლის აგვისტოში ჩატარდა. საკვლევად შერჩეულ იქნა ერთი სადგური, აღნიშნულ სადგურზე სედიმენტი იყო შლამნარევი სილა, დაფიქსირდა მხოლოდ 2 სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან 2 ტაქსონომიურ ტიპს (*Arthropoda* და *Nematoda*).

პალიასტომის ტბის ბენტოსური უხერხემლოების მრავალფეროვნება


მაკროზოობენტოსი	წერტილი 1
Arthropoda, Crustacea, Malacostraca	
Gammarus pulex (Linnaeus, 1758)	+
Nematoda	
Nematoda sp.	+

კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ორივე სახეობა რიცხოვნობის პროცენტული თანაფარ-დობით, რაოდენობა კვადრატულ მეტრზე (ინდ.მ²) წარმოდგენილია შემდეგნაირად: ტიპი -Arthropoda 50% ტიპი Nematoda 50% (ნახ. ა). ხოლო ბენტოსური უხერხემლოების სახეობები რაოდენობის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგი სახით: ფეხსახსრიანები Arthropoda 67%, და ნემატოდა 33% (ნახ. ბ).



პალიასტომის ტბის ბენტოსური უხერხემლოების ძირითადი ჯგუფების სახეობათა რიცხვის პროცენტული თანაფარდობა და საშუალო წლიური რიცხოვნობა ინდ.მ²

პალიასტომის ტბის კვლევის შედეგების მიხედვით, ბენტოსური უხერხემლოების სახეობათა საშუალო რიცხოვნობამ სულ შეადგინა 80 ინდ.მ², ხოლო ბიომასამ 0.172 გ.მ².



პალიასტომის ტბის ბენტოფაუნის რიცხოვნობა და ბიომასა

პალიასტომის ტბის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა ტიპი-Arthropoda-ს წარმომადგენელი: *Gammarus pulex*. ღორტავა, ანუ გვერდულა – Gammaridae (კლასი უმაღლესი კიბოსნაირები – Malacostraca, რიგი ღორტავები – Amphipoda) ღორტავების სხეული გვერდებიდან შებრტყელებულია და მოღუნულია მუცლის მხარეზე. თავზე აქვთ ორი წყვილი ულვაში. მთელ სხეულზე კარგად შესამჩნევი გრძელი კიდურები აქვს, სხეულის სიგრძეა 10-20 მმ. ღორტავებს დიდი როლი აქვთ თევზების კვებაში. მათი ტოლერანტულობის ხარისხი (TI) საშუალოა (6), ისინი ეგუებიან მცირედ დაბინძურებულ წყალში ცხოვრებას.

ამრიგად, პალიასტომის ტბის ბენტოსური უხერხემლოები ბიომრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.


ნაბადას ტბა.

ფიტოპლანქტონი.

ნაბადას ტბის ფიტოპლანქტონი საკმაოდ მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სულ 5 განყოფილების 32 სახეობა დაფიქსირდა. მათ შორის ყველაზე მრავალფეროვანი დიატომების (Bacillariophyta) და მწვანეების (*Chlorophyta*) ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც შეადგინეს ფიტოპლანქტონის სახეობათა საერთო რიცხვის 37.5% და 34.4%, რაც არსებითად მტკნარი წყლის წყალსატევებისთვისაა დამახასიათებელი.



ყველაზე მწირი სახეობრივი შემადგენლობით ევგლენასებრთა (Euglenophyceae)-ს ჯგუფი გამოირჩეოდა – 2.8%-ით.



ფიტოპლანქტონის ძირითადი ჯგუფების პროცენტული თანაფარდობა, ნაზადას ტბა 06.08.2024


საკვლევ პერიოდში ნაზადას ტბის მიკრო-წყალმცენარეთა რიცხოვნობა იყო 373058.4 უჯრ/ლ, ხოლო ბიომასა 913.07 მგ/მ³, რაც ტბის ნორმალურ მდგომარეობაზე მიუთითებს (ცხრილი).

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, ტაქსონომიურ ჯგუფებს შორის, რიცხოვნობის მიხედვით, დომინირებს 2 ჯგუფი: ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები (Cyanobacteria) (30%) და დიატომოვანი წყალმცენარეები (Bacillariophyta) (28%). რაც შეეხება ბიომასას, აქ დომინირებენ დინოფლაგელატები (Dinophyceae) (41.1%) და დიატომოვანი წყალმცენარეები (Bacillariophyta) (40.10%). ლურჯ-მწვანე წყალმცენარეთა დომინირება ნორმის ფარგლებშია, საგანგაშო არ არის და წყლის “ყვავილობას” არ იწვევს.

ფიტოპლანქტონის მრავალფეროვნება რიცხოვნობისა და ბიომასის მითითებით. ნაზადას ტბა 06.08.2024

№	ფიტოპლანქტონის სახეობები	რიცხოვნობა, უჯრ/ლ	ბიომასა, მგ/მ ³
Bacillariophyceae			
1	Achnantes longipes	4782.8	33.97
2	Amphora sp.	1739.2	11.60
3	Coscinodiscus sp.	434.8	0.94
4	Cyclotella sp.	9130.8	0.84
5	Cymbella sp.	43914.8	253.21
6	Fragilaria crotonensis	10000.4	19.49
7	Gomphonena sp.	4782.8	30.54
8	Melosira granulata	1739.2	4.36
9	Navicula sp.	13044	6.61
10	Nitzschia sp.	9130.8	2.53
11	Surirella sp.	869.6	1.01
12	Synedra sp.	4782.8	0.79
Dinophyceae			
13	Gyrodinium sp.	1739.2	2.43
14	Peridinium sp.	30870.8	372.70
Chlorophyceae			
15	Actinastrum hantzii	3043.6	0.12
16	Ankistrodesmus sp.	5217.6	0.07
17	Botryococcus sp.	434.8	9.75
18	Coelastrum sp.	6956.8	3.75
19	Crusigenia sp.	8696	0.08
20	Euastrum sp.	869.6	19.54

21	Oocystis sp.	1739.2	1.13
22	Scenedesmus sp.	27827.2	18.14
23	Spirogyra sp.	30870.8	80.38
24	Tetraedron trigonum	869.6	0.11
25	Volvox sp.	869.6	0.90
	Euglenophyceae		
26	Trachaelomonas sp.	36523.2	36.04
	Cyanophyceae		
27	Anabaena sp.	21740	0.18
28	Aphanizomnenon sp.	18261.6	0.83
29	Gleocapsa sp.	5652.4	0.33
30	Merismopedia tenuisima	8696	0.07
31	Microcystis sp.	26957.6	0.33
32	Phormidium sp.	30870.8	0.26
	სულ	373058.4	913.07



სახეობათა შორის რიცხოვნობის მიხედვით დომინირებდა მსხვილ უჯრედოვანი დიატომოვანი წყალმცენარე *Cymbella sp.* (Bacillariophyta) – 43914.8 უჯ/ლ-ში, რაც ფიტოპლანქტონის რიცხოვნობის 12% იყო. ხოლო ბიომასის მიხედვით დომინირებდა მსხვილ უჯრედოვანი დინოფლაგელატა (Dinophyceae) *Peridinium sp.*, რომლის ბიომასა იყო 372.7 მგ/მ³, რაც ნაბადას ტბის ფიტოპლანქტონის საერთო ბიომასის 41% იყო. ნაბადას ტბის ფიტოპლანქტონის სინჯებში დაფიქსირდა სახეობა *Euastrum sp.*, რომელიც მწვანე წყალმცენარეთა (Chlorophyceae) ჯგუფს მიეკუთვნება.

Euastrum sp., ნაბადას ტბა 06.08.2024

ზოგადი დასკვნები:

1. ნაბადას ტბის ფიტოპლანქტონი გამოირჩეოდა სახეობრივი მრავალფეროვნებით. ჩვენს მიერ 5 განყოფილების 32 სახეობა დაფიქსირდა. ძირითადად დომინირებენ დიატომოვანი (Bacillariophyta) და მწვანე წყალმცენარეები (Chlorophyceae).

2. საკვლევ პერიოდში ნაბადას ტბის მიკროწყალმცენარეთა რიცხოვნობა იყო 373058.4 უჯრ/ლ, ხოლო ბიომასა 913.07 მგ/მ³, რაც ტბის ნორმალურ მდგომარეობაზე მიუთითებს. ნაბადას ტბის მიკროწყალმცენარეები, კარგი საკვები ბაზაა ტბის ბიოცენოზის კვებით ჯაჭვში არსებულ სხვა ცოცხალი ორგანიზმებისათვის.

3. ფიტოპლანქტონის რიცხოვნობის და ბიომასის რაოდენობის მიხედვით არ დაფიქსირებულა წყლის “ყვავილობა”.

ზოოპლანქტონი.

ნაბადას ტბის ზოოპლანქტონის ნიმუშში მხოლოდ 2 სახეობა დაფიქსირდა: ულვაშტოტიანი (Cladocera) და ნიჩაბფეხიანების (Copepoda) თითო წარმომადგენელი. ზოოპლანქტონის რიცხოვნობა სინჯში 3500 ინდ/მ³ შეადგინა, ხოლო ბიომასა 190.66 მგ/მ³ აღწევს (ცხრილი).

ნაბადას ტბის ზოოპლანქტონის რაოდენობრივი მაჩვენებლები

სახეობები	რიცხოვნობა	ბიომასა
Copepoda Cyclopoida		
<i>Cyclops strenuus</i>	1000	27.07239
Cladocera		
<i>Diaphanosoma sp.</i>	2500	163.59
სულ	3500.00	190.66

ნაბადას ტბაზე დომინირებს ულვაშტოტიანი კიბოსნაირი დიაფანასომა, რაც მთლიანი ზოოპლანქტონის რიცხოვნობის 70%-ზე მეტს, ხოლო ბიომასის 85% შეადგენს.

მაკროუხემცემლოები.

ნაბადას ტბის ჰიდრობიოლოგიური კვლევა 2024 წლის 6 აგვისტოს ჩატარდა. საკვლევ წერტილში იდენტიფიცირებულ იქნა 5 სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან 3 ტაქსონომიურ ტიპს (*Annelida*, *Mollusca* და *Nematoda*) (ცხრილი).

ნაბადას ტბის ბენტოსური უხერხემლოების მრავალფეროვნება



მაკროზოობენტოსი	N 1
Mollusca Gastropoda	
<i>Viviparus contectus</i> (Millet, 1813)	+
<i>Ancylus lacustris</i> (Linnaeus, 1758)	+
Mollusca Bivalvia	
<i>Sphaerium rivicola</i> (Lamarck, 1818)	+
Annelida, Clitellata, Oligochaeta	
<i>Tubificoides sp.</i>	+
Nematoda	
<i>Nematoda sp.</i>	+

სახეობათა რიცხვით დომინირებს მოლუსკების ტიპი – *Mollusca* 60% (გრაფიკი-ა), ხოლო კვადრატულ მეტრზე ბენტოსური უხერხემლოების რიცხოვნობის პროცენტული თანაფარდობით, ორგანიზმები გადანა-წილებულია შემდეგი სახით: რგოლოვანი ჭიები, *Annelida* 87%, მოლუსკები 12% და ნემატოდა 1% (გრაფიკი-ბ).

ნაბადას ტბაზე დაფიქსირებული ბენტოსური მაკროუხერხემლოების კლასებს შორის (*Oligochaeta*, *Gastropoda*, *Bivalvia*) კვადრატულ მეტრზე ინდივიდების რიცხვით დომინირებენ *Oligochaeta*-ბი. ტიპი *Nematoda*-ს სახეობა *Nematoda sp.* წარმოდგენილი იყო მცირე რაოდენობით 40 ინდ.მ².

ნაბადას ტბის კვლევის შედეგების მიხედვით, ბენტოსური უხერხემლოების სახეობათა რიცხოვნობამ სულ 4240 ინდ.მ² შეადგინა, ხოლო ბიომასამ 11.04 გ.მ² (ნახ.).

ამრიგად, ნაბადას ტბაზე კვლევისას ბენტოსური უხერხემლოების მხოლოდ 5 სახეობა დაფიქსირდა: *Viviparus contectus*, *Ancylus lacustris*, *Sphaerium rivicola*, *Tubificoides sp.* და *Nematoda sp.* რიცხოვნობით ნაბადას ტბაზე დომინირებენ ოლიგოქეტები, მათი რიცხოვნობა 3680 ინდ.მ² შეადგენს, ხოლო ბიომასა 3.816 გ.მ², ისინი მთელი ბენტოფაუნის 87%-ს წარმოადგენენ, ხოლო ბიომასით მოლუსკები ჭარბობს და მთლიანი ბიომასის 65% შეადგენენ.



ნაბადას ტბის ბენტოფაუნის რიცხოვნობა და ბიომასა

4. კვლევის მეთოდოლოგია

4.1. ძირითადი მეთოდოლოგიური საფუძვლები

წყლის რესურსების მართვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც თავად წყლის, ასევე მთლიანი ლანდშაფტის შენარჩუნებისა და კონსერვაციისათვის, ვინაიდან წყალი უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორია, როგორც ველური ბუნების სახეობებისა და მათი ჰაბიტატების ცხოველქმედებისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის, ასევე მოსახლეობისათვის საჭირო სასიცოხლოდ მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს. წყლის რესურსების მდგომარეობა კი დამოკიდებულია მთელ რიგ ბუნებრივ და ანთროპოგენულ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ ერთიანი ეკოლოგიური ციკლის მდგომარეობასა და მდგრადობას და შესაბამისად განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ლანდშაფტის ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაში. შესაბამისად, წყლის რესურსების მართვის სტრატეგიისა და გეგმის შემუშავებისათვის, აუცილებელია სამიზნე ტერიტორიის ზოგადი ეკოლოგიური მდგომარეობისა და არსებული სოციო-ეკონომიკური საჭიროებების შესაფება, ასევე სხვა და სხვა ურთიერთდაკავშირებული მოვლენისა და მათი გამომწვევი თუ მათით გამოწვეული ფაქტორების ანალიზი, ვინაიდან თითოეული მათი კომპონენტი, როგორც სხვა, ისე წყალთან დაკავშირებული ეკოსისტემური სერვისების უზრუნველყოფისა და ერთიანი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს.

წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია წყლის ინტეგრირებული მართვის მიდგომის გამოყენება, რაც ემყარება მთელ რიგ ისეთ პრინციპებს, რომლებიც მიზნად ისახავს ხანგრძლივადიან პერსპექტივაში წყლის რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფას და მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში ეკოსისტემური მომსახურებების შედეგად მიღებული სარგებლის გამოყენების დაბალანსებული მიდგომის უზრუნველსაყოფას, ინტერსექტორალური თანამშრომლობის საფუძველზე. შესაბამისად, წყლის რესურსების მართვის დადგენისას, ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც თავად წყლის ობიექტების არსებულ მდგომარეობას, მათთან დაკავშირებით არსებულ რისკებსა და ზეწოლას, ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს წყალშემკრები აუზის დონეზე არსებულ მდგომარეობაზე, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მთლიანი ეკოლოგიური რეჟიმის მდგომარეობაზე.

მდინარეთა აუზის გეგმარების პროცესი ითვალისწინებს მდინარის აუზის ფარგლებში წყლის რესურსების მიმდინარე მდგომარეობის შესწავლას, კონკრეტული ამოცანების დასახვასა და მათი შესრულებისათვის ღონისძიებების შემუშავებას. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წყლის ობიექტების დაბინძურების წყაროს კონტროლი და ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება. ასევე, წყლის რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია წყლის ობიექტების არსებული მდგომარეობის საფუძველზე, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების, შენარჩუნების, დაცვისა და მათთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მოხდეს ზონალურების პრონციპის გამოყენება, რაც განხორციელდება არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

კოლხეთის ეროვნული პარკის შემთხვევაში, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იქ არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიების არსებული მდგომარეობის განსაზღვრა და დაგეგმარებისას მათი კონსერვაციისათვის საჭირო ღონისძიებების იდენტიფიცირება. ჭაობები, უმნიშვნელოვანეს ჰიდროლოგიურ და ზოგადად ეკოლოგიურ ფუნქციას ასრულებენ, რომელთა შენარჩუნება მნიშვნელოვანია, როგორც ველური ბუნების სახეობების შენარჩუნების, ასევე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად. ჭაობების განსაკუთრებული როლი ენიჭებათ წყალმომარაგების, წყალგაწმენდისა და წყალდიდობების კონტროლის თვალსაზრისით. ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან სოციო-ეკონომიკურ ფუნქციას, როგორცაა მეთევზეობისა თუ სატყეო რესურსების ჰაბიტატების უზრუნველყოფისათვის, ასევე განსაკუთრებული როლი ეკისრებათ ბიოლოგიური რესურსების, მათ შორის გლობალურად იშვიათი და მიგრირებადი სახეობების შესანარჩუნების საკითხში.

ჭარბტენიანი ტერიტორიებზე არსებული ნეგატიური ზემოქმედება გამოწვეულია სხვა და სხვა სახის ზემოქმედებით, რომელთა შორისაცაა, როგორც გარეგანი წარმოშობის ფაქტორები, ასევე წყლის რაოდენობის, ხარისხისა და დინების ცვლილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე წყლის რესურსების მერთვის გეგმის მომზადების პროცესში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იქ არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიების შენარჩუნება/აღდგენა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ მთლიანად წყლის რესურსებისა და მათზე დამოკიდებული სხვა ეკოსისტემების ფინქციონირებასა და ეკოსისტემური მომსახურებების უზრუნველყოფის კუთხით.

ჭარბტენიანი ტერიტორიების ეკოლოგიური სტატუსის შესანარჩუნებლად და არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია სწორი ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნება, რაც გულისხმობს წყლის სიღრმის, შემოდინების რაოდენობის და დინამიკის პარამეტრების შენარჩუნებას, სედიმენტისა და ზოგადად წყლის მდგომარეობის მონიტორინგს. ჭაობების ჰიდროლოგიური რეჟიმი, მოცულობა და ხარისხი დაკავშირებულია მდინარის წყალშემკრებთან, საიდანაც ხდება ჭაობებისათვის წყლის მიწოდება, ისევე როგორც ზედაპირული წყლებსა და მიწისქვეშა წყლებში, რომლების აღმოცენდება ჩამდინარე წყლებსა და ნაკადულებში. აღსანიშნავია, რომ წყალშემკრებ უბნებთან არსებულმა არამდგრადმა სოციო-ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია ბუნებრივი ჰიდროლოგიური რეჟიმების მოშლა, რამაც განაპირობა წყალდიდობების, გვალვებისა და წყლის დაბინძურება. შესაბამისად, კონსერვაციისა და აღდგენის ღონისძიებების დაგეგმისასათვის მნიშვნელოვანია ჭარბტენიანი ტერიტორიების მიმდებარედ არსებული მიწათსარგებლობის პრაქტიკების გათვალისწინება და ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე ტერიტორიების წარმატებული კონსერვაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ინტეგრირებული მართვის მიდგომა, წყალშემკრების წყლის ხარისხის და რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ფოკუსირებული უნდა იყოს წყლის ბუნებრივი რეჟიმის დაცვასა და აღდენაზე.

როგორც აღინიშნა, ჭარბტენიანი ეკოსისტემები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წყლის ბუნებრივი რეჟიმების შენარჩუნებაზე, როგორც არის არსებული ნაკადი, რაოდენობა, ხარისხი, ტემპერატურა და დრო, იმისათვის რათა შენარჩუნებულ იქნეს იქ არსებული ბიომრავალ-ფეროვნება, მათ შედეგად მიღებული ეკოსისტემური მომსახურებები და ძირითადი ღირებუ-ლებები. ბუნებრივი ნაკადების რეჟიმი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცვლადად, რომელიც არეგულირებს ჭარბტენიანი ეკოსისტემების ეკოლოგიური მთლიანობას. ინფრატრანსექტურა, რომელიც ხელს უშლის წყლის შემოდინებას,

ზრდის შიდა დონეს, ან აძლიერებს წყლის გადინებას, რაც იწვევს ჭაობის ბუნებრივი პირობების დეგრადაციას და შესაბამისად ეკოსისტემური მომსახურებების კარგვას. ჭარბტენიანი ტერიტორიების არსებული მდგომარეობის განსასაზღვრად მნიშვნელოვანია იმისა დადგენა თუ როგორი იყო კონკრეტული ობიექტის ჰიდროლოგიური რეჟიმი ბუნებრივი პირობებში და შემდგომში, რა ტიპის ცვლილებები განიციდა, განსაკუთრებით რა ცვლილებები მოხდა წყლის მიწოდების პირველად წყაროებში.

წყლის ადეკვატური დონის შენარჩუნებისა და განაწილების კუთხით, მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყანაში შემუშავებულია შესაბამისი რეგულაციები და სახელმძღვანელო დოკუმენტები. ამ კუთხით აღსანიშნავია, რამსარის კონვენციის მხარეთა კონფერენციის მე-8 შეხვედრაზე მიღებული რეზოლუცია VIII.1 ჭარბტენიანი ტერიტორიების ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნებისათვის წყლის მართვასთან დაკავშირებით.

დაცული სტატუსის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების წყლის რესურსების მართვის დაგეგმვისას გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი მართვის დადგეგმვის მიდგომები, რომლებსაც ითვალისწინებს ევროკავშირის ჰაბიტატებისა და ფრინველებთან დაკავშირებული დირექტივები. აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე ხელმისაწვდომია სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც საინტერესო მაგალითს წარმოადგენს წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავებისათვის. მაგალითისათვის, 2018 წელს ხორვატიის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტრომ გამოსცა პრაქტიკული სახელმძღვანელო დაცული ტერიტორიებისა და ნატურა 2000 საიტების მართვის გეგმის შემუშავების შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მართვის გეგმის შეინაარსის, სტრუქტურის შესახებ, ასევე რეკომენდაციების განვითარების პროცესის წარმართვასა და ცალეული ელემენტების დეტალური შემუშავების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ეფუძნება ხორვატიის ბუნების დაცვის აქტს, აღნიშნულ დოკუმენტს გაცილებით ფართოდ გამოყენებადი რესურსი გააჩნია. ასევე, 2022 წელს ავსტრალიის მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნა წყლის რესურსების მართვის გეგმების შემუშავების დეტალური სახელმძღვანელო პროცეპები მდინარეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიებისათვის, რომელიც საკმაოდ საინტერესო აღწერს მართვის გეგმის შემუშავების პრიბციპებსა და სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებულ მოვლენებს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებით.

კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავება მიზნად ისახავს წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივის, სხვა ნორმატიული აქტებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად, წყლის ობიექტების სტატუსის დადგენას და მის საფუძველზე წყლის რესურსების დაცვისა და მათი მდგრადი სარგებლობის ხელშეწყობის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი გრძელვადიანი მიზნების დასახვას. ასევე, მათ მისაღწევად საჭირო ამოცანებისა და არსებული და მოსალოდნელი ბუნებრივი და ანტროპოგენური რისკების გათვალისწინებით, მათი განხორციელებისათვის საჭირო ქმედებებისა და მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ინდიკატორების ფორმულირებას. აღნიშნული კვლევა ითვალის, როგორც მთლიანად რეგიონის, ასევე კერძოდ დაცული ტერიტორიების შესახებ ხელმისაწვდომი მასალის მოძიება-დამუშავებას, პროექტის სამიზნე ობიექტების დათვალიერებას, საველე და ლაბორატორიულ კვლევებს, ინფორმაციის ანალიზსა და მათ საფუძველზე არსებული მდგომარეობის დადგენას. ასევე, სიტუაციის ანალიზისა და სამომავლო დაგეგმვისათვის გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენებას.

4.2. წყლის რესურსების მართვის გეგმის საკანონმდებლო საფუძვლები

კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა და გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებით შემუშავებული პოლიტიკის/სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტები და წყლის რესურსებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პრინციპები, ასევე საერთაშორისო დონეზე აღიარებული ვალდებულებები.

4.2.1 ეროვნული კანონმდებლობა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია კოლხეთის ეროვნული პარკისა და იქ არსებული წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების შესახებ ინფორმაცია და მოკლე ანალიზი.

საქართველოს კონსტიტუცია (24.08.1996) – საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფოს უზენაეს კანონს, რომელიც ადგენს სახელმწიფო მმართველობის ძირითად პრინციპებს, მიმართულებებსა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, მათ შორის გარემოს დაცვის უფლებას, კერძოდ კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი მუხლის თანახმად „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივითი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით“.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (10.12.1996) – კანონის მეშვეობით უზრუნველყოფილია საელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და ეკონომიკურ ზონასთან დაკავშირებით ურთიერთობების დარეგულირება. კანონი განსაზღვრავს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ პრინციპებს და ნორმებს გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის, ბიომრავალ-ფეროვნების სახეობების, ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების კონსერვაციის, ბუნებრივი რესურსებით მდრადი სარგებლობის, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ძირითად პრინციპებს.

საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (03.07.1996) – კანონი არეგულირებს ქვეყანაში დაცული ტერიტორიების სამართლებრივ საფუძვლებს. არეგულირებს დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის, კატეგორიზაციის, შექმნისა და განვითარების პრინციპებს, ასევე სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სრუქტურებთან თანამშრომლობის საკითხებს. კანონის თანახმად, საქართველოში დაცული ტერიტორიების შემდეგი კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. ქვეყანაში შესაძლებელია ასევე შეიქმნას დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული

შემდეგი კატეგორიების: ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.

საქართველოს კანონი კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ (09.12.1998) – კანონის ქმნის კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნის სამართლებრივ საფუძველს და არეგულირებს მისი მართვის მექანიზმებს. კანონი ადგენს კოლხეთის ბუნებრივი და სახელცვლილი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის, აღდგენისა და ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების, ბუნებრივი რესურსებით რაციონალი სარგებლობის პრინციპებს. ასევე ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ბიომრავალფეროვნების, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობების დაცვისა და აღდგენის, კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საკითხებს. კანონის თანახმად, კოლხეთის დაცული ტერიტორიები შედგება კოლხეთის ეროვნული პარკის (საერთო ფართობი 44,980 ჰა, მათ შორის ზმელეთის – 29,229 ჰა და ზღვის აკვატორიის – 15,751 ჰა), და ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილისაგან (ნაკრძალის საერთო ფართობი – 316,4 ჰა, ხოლო აღკვეთილის – 466,3 ჰა).

საქართველო კანონი წყლის შესახებ (16.10.1997) – კანონი მოქმედებს 2026 წლის 1 სექტემბრამდე. კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წყლის დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში სამართლებრივ ურთიერთობებს, ასევე წყლის საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების საკითხებს. კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ყვეანის პოლიტიკის განსაზღვრას, წყლის ობიექტების დაცვასა და მდგრადი განვითარების პრინციპების თანახმად წყლის რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა. კანონი ადგენს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის, წყლის ბიომრავალფეროვნების დაცვის და რესურსებით მდგრადი სარგებლობის, წყალზე მავნე ზემოქმედების აცილებისა და უარყოფი ფაქტორების ლიკვიდაციის ძირითად საფუძვლებს. კანონის თანახმად, საქართველოს წყლის ყველა ობიექტში არსებული წყლის ერთობლიობა ქნის წყლის სახელმწიფო ფონდს, რომელიც შედგება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებისგან, ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევების, არხების და ტბორების წყლების, მიწისქვეშა წყლების (მათ შორის წყაროები და კონტინენტური შელფის წყლების), მყინვარების და თოვლის მუდმივი საფარის, ჭაობების, საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და ეკონომიკური ზონის წყლებისაგან.

საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ (30.06.2023) – კანონი ქმნის წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად წყლის რესურსების მართვის, სუფთა წყალთან მოსახლეობის წვდომის, ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს. კანონის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს წყლის ეკოსისტემების მდგომარეობის და ხარისხის დაცვა, წყლის რესურსებისა და წყლის ეკოსისტემებზე უშუალოდ დამოკიდებული ხმელეთისა და ჭარბტენიანი ეკოსისტემების მდგომარეობის გაუმჯობესება, წყალდიბობის რისკის შეფასება და შესაბამისი მართვის

სისტემის შექმნა, წყლის რესურსების მდგრადი გამოყენება მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, წყლის რესურსების მართვის სფეროში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკის შემცირება, დამაბინძურებელი ნივთიერების წყლის წყლის ობიექტში მოხვედრის შემთხვევაში წყლის გარემოსა და იქ არსებული რესურსების დაცვას და მდგომარეობის გაუმჯობესებას, მიწისქვეშა წყის დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მოაქცეული ზონების განსაზღვრისათვის და დაბინძურების ეტაპობრივი შემცირებისთვის და დაცვისთვის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა და წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. კანონით არ ხდება საქართველოს საზღვაო სივრცესთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება, გარდა კანონით დარეგულირებული სანაპირო წყლებისთვის განსაზღვრული შემთხვევებისა. კანონით რეგულირდება ასევე სასაზღვრო ზონაში არსებული წყლის ობიექტების საკითხი, სადაც დაცული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სანონები და ნორმატიული აქტები. კანონი განსაზღვრავს ასევე კომპეტენციებს წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში.

საქართველოს კანონი ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ (27.10.2000) – კანონი არეგულირებს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონების კომპლექსური და რაციონალური გამოყენების, სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონების მდგრადობის სამართლებრივ საკითხებს. ასევე აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის და ადგენს სახელმწიფო კონტროლისა და პასუხისმგებლობის ნორმებს სანაპირო საინჟინრო დაცვის ზონაში ეროზიული და აბრაზიული პროცესების გამომწვევ საქმიანობაზე. კანონის მიზანს წარმოადგენს მშენებლობისა და რელიეფწარმომქმნელი ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი და ტექნოგენური პროცესების მართვა.

საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (01.06.2017) – კოდექსი არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული შეფასების, ტრანს-სასაზღვრო ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების ისეთ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიონ გარემოს ან ადამიანის ჯანმრთელობაზე. კანონი ასევე განსაზღვრავს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში უფლებამოსილ ორგანოებს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპებსა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პროცედურებს. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში კონტროლისა და პასუხისმგებლობის მექანიზმებს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრული პროცედურა ითვალისწინებს სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შემუშავების ეტაპებს, საჯარო განხილვის პროცედურებსა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების ჩათვლით. კანონი მოიცავს დანართებს გარემოზე ზემოქმედების მქონე აქტივობების ნუსხით. დანართ 1-ში მოცემული საქმიანობები ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, ხოლო დანართ 2-ით განსაზღვრული ღონისძიებები შემოიფარგლება სკრინინგის პროცედურით.

აღნიშნული კანონების გარდა, კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებები:

- საქართველოს მთავრობის 31.12.2013 #414 დადგენილება „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს მთავრობის 31.12.2013 #425 დადგენილება „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს მთავრობის 31.12.2013 #440 დადგენილება „წყალდაცვითი ზონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს მთავრობის 31.12.2013 #445 დადგენილება „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს მთავრობის 03.01.2014 #17 დადგენილება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს მთავრობის 03.01.2014 #31 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების. ექსპლუატაციის წესების შესახებ დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს მთავრობის 26.03.2019 #161 დადგენილება „სასარგებლო წოდისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ და სხვა.

4.2.2 საერთაშორისო კონვენციები და დირექტივები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია სერთაშორისო დონეზე აღიარებული კონვენციები და დირექტივები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია (1992) – კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 1992 წელს რიო-დეჟანეიროში და ძალაში შევიდა შემდეგი წლის 29 დეკემბერს. კონვენციის მთავარ მიზნებს წარმოადგენს ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობისა და გენეტიკური რესურსებით მიღებული სარგებლის თანასწორი და სამართლიანი სარგებლობის უზრუნველყოფა. კონვენცია ეხმიანება რესურსებით მდგრადი სარგებლობის უზრუნველსაყოფად, ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ ეროვნული სტრატეგიების შემუშავების აუცილებლობას და მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპების დანერგვასა და განხორციელებას, ასევე, ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიების, და მათი დანერგვისათვის საჭირო სამოქმედო გეგმების შემუშავებას. კონვენციის ფარგლებში მიღებულია ასევე რამდენიმე ოქმი და ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმა და მასთან დაკავშირებული მიზნები, მისი ძირითადი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. საქართველო აღნიშნულ კონვენციას მიუერთდა 1994 წელს.

კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ (1997) – კონვენცია მიზნად ისახავს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების დაცვას. კონვენცია მიიღეს ქალაქ რამსარში, 1971 წელს. საქართველოს კონვენციას შეუერთდა 1996 წელს.

ევროკავშირის წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივა (WFD, 2000/60/EC) – წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივა, ევროკავშირის წყლების დაცვის მიზნით შექმნილი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. იგი ისახავს მიზნებს ევროკავშირის წყლების ხარისხისა და დაცვის კუთხით და ეფუძნება წყლის რესურსების სააუზო მართვის პრინციპით მიდგომას. დირექტივა მოიცავს წყლის ყველა კატეგორიას, როგორცაა მდინარეები, ტბები, მიწისქვეშა წყლები, ტრანსსა-საზღვრო და ტერიტორიული წყლები. წევრი სახელმწიფოებისათვის დირექტივის შესრულება დაგეგმილია ეტაპობრივად, სამსაფეხურიანი პროცესის მიხედვით.

პირველი ეტაპი მოიცავს წყლის რესურსების წინასწარ დახასიათებას, არსებულ გეოგრაფიულ, ჰიდროლოგიურ და ხარისხობრივ მაშვენებლებზე დაყრდნობით. აღნიშნული პროცესი საშუალებას იძლევა “რისკის ქვეშ მყოფი” (ითვალისწინებს ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ეკოლოგიური ხარისხის მნიშვნელოვან ცვლილებას), “შესაძლო რისკის ქვეშ მყოფი” (ცვლილებების დონის დასადგენად ან ცვლილებების დასარეგულირებლად საკამრისი ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში) და “ურისკო” (არავითარი ან ოდნავი ცვლილების შემთხვევაში) წყლის ობიექტების იდენტიფიცირებას. აღნიშნული შეფასება მოიცავს ეკოლოგიურ ანალიზსაც. მეორე ეტაპზე ითვალისწინებს წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივასთან თავსებადი მონიტორინგის ქსელის შემუშვებას, რომლის შედეგებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება წყლის მარაგების დახასიათება და ბიოლოგიური და ქიმიური ელემენტების ხარისხის გათვალისწინებით მისი სტატუსის განსაზღვრა. აღნიშნული აუცილებელია წყლის სტატუსის კლასიფიკაციისათვის. მესამე ეტაპი კი ითვალისწინებს მდირეთა აუზებისათვის “მდინარის აუზის მართვის გეგმის” შემუშავებას, კომპრეტულ ღონისძიებათა პროგრამების ჩათვლით. გეგმის დამტკიცებასა და ევროკომისიის წარდგენამდე, ქვეყნის მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ გეგმის საზოგადოებისათვის მიწოდება და საჯარო განხილვა.

ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისთვის (EUWI+) – პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, რომელსაც ახორციელებს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE). პროგრამის მიზანია წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში – საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსში, მოლდოვასა და უკრაინაში. ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის დაახლოება ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის პრინციპებთან, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა და შესაბამისი მრავალხმრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების მიღწევა. პროექტი უზრუნველყოფს საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, გარემოს და კლიმატური ცვლილებების სფეროსთან დაკავშირებით მომზადებული გზამკვლევისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდაჭერას.

4.3. წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავების ეტაპები

კვლევის პირველი ეტაპი მოიცავდა სავსე კვლევას/დათვალიერებასა და არსებული მეორადი მასალების დამუშავების საფუძველზე სიტუაციური ანალიზის მომზადებას. აღნიშნულ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წყლის ობიექტების არსებული სტატუსის დადგენა, რაც აუცილებელ ფუნდამენტს ქმნის დაგეგმვის შემდგომი ეტაპის წარმართვისასთვის.

წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივის (2000/60/EC) თანახმად, რომლის მთავარ მიზანს ევროკავშირის წყლების კარგი სტატუსის მიღწევა წარმოადგენს, წყლის კარგი სტატუსი გულისხმობს წყლების კარგი ეკოლოგიური და ქიმიური მდგომარეობისა შენარჩუნებას. სტატუსის განსაზღვრა კი სამი ძირითადი გრადაციის გამოყენებით ხდება – “მაღალი სტატუსის”, “კარგი სტატუსის” და “საშუალო სტატუსის”. ზედაპირული წყლების იმ ობიექტებს, რომელთაც გააჩნიათ საშუალოზე დაბალი ხარისხი, კლასიფიცირდებიან დაბალი ან ცუდი ხარისხის წყლებად.

ზედაპირული წყლები შედგება მდინარეების, ტბების, გარდამავალი წყლების, სანაპირო წყლებისა და ხელოვნური ან ძლიერ სახეშეცვლილი ზედაპირული წყლის ობიექტებისაგან.

საუკეთესო ხარისხის წყლის სტატუსი ენიჭება ზედაპირ წყალს იმ შემთხვევაში, თუ ობიექტზე არ ფიქსირდება ან ფიქსირდება მხოლოდ მცირე ანთროპოგენული ცვლილებები ფიზიკურ-ქიმიური, ჰიდრომორფოლოგიურ ელემენტებზე, მოცემული ტიპის წყლის ობიექტისთვის მათთვის დამახასიათებელ ნორმალურ მდგომარეობასთან შედარებით. ასევე, თუ ბიოლოგიური ელემენტების არსებული მდგომარეობა შეესაბამება მის ნორმალურ მდგომარეობას და არ, ან მხოლოდ მცირედით ფიქსირდება ცვლილებები.

კარგი ხარისხის სტატუსი ენიჭება ზედაპირული წყლების ისეთ ობიექტს, სადაც ბიოლოგიური ელემენტებთან დაკავშირებით ფიქსირდება ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული მხოლოდ დაბალი ხარისხის ცვლილებები მოცემული ტიპის წყლის ობიექტისთვის დამახასიათებელ ნორმალურ მდგომარეობასთან შედარებით.

დამაკმაყოფილებელი სტატუსი ენიჭება ზედაპირული წყლის ისეთ ობიექტს, სადაც ბიოლოგიურ ელემენტებთან დაკავშირებით ფიქსირდება ადამიანის ზემოქმედების შედეგად საშუალო ხარისხის ცვლილებები მოცემული ტიპის წყლის ობიექტისთვის დამახასიათებელ ნორმალურ მდგომარე-ობასთან შედარებით და კარგ მდგომარეობასთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებებია.

დაბალი ხარისხის წყლებად კლასიფიცირდება ზედაპირული წყლის ის ობიექტები, სადაც ვლინდება მნიშვნელოვანი ცვლილებები ბიოლოგიურ ელემენტებთან მიმართებაში და მდგომარეობა მნიშვნელოვნად გასწავდება მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტისათვის, მასზე ზემომედების არ არსებობის პირობებში არსებული მდგომარეობიდან.

ცუდი ხარისხის წყლებად მიიჩნევა ზედაპირული წყლების ის ობიექტი, რომელშიც ბიოლოგიური ელემენტებთან მიმართებაში ფიქსირდება კრიტიკული ცვლილებები და რომელშიც აღარ გვხვდება ბიოლოგიური ელემენტების ის მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც ჩვეულებრივ ასოცირდება მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტთან მასზე ზემოქმედების არ არსებობის პირობებში.

ზედაპირული წყლის სტატუსის განსაზღვრისათვის ხდება მისი ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელშიც იგულისხმება სხვა და სხვა სახის ბიოლოგიური ელემენტები, რომელთა შორისაა ფიტოპლანქტონი, მაკროფიტები და ფიტობენტოსი, ბენტური უხერხემლოები, თევზები; ჰიდრომორფოლოგიური ელემენტები, რომლებშიც იგულისხმება ზოგადი ჰიდროლო-გიური რეჟიმი, მდინარის უწყვეტობა და მორფოლოგიური მდგომარეობა; და ფიზიკურ-ქიმიური მდგომარეობა, სადაც ხდება ზოგადი პირობების, ცალკეული სინთეტიკური დამაბინძურებლების და ცალკეული არასინთეტიკური დამაბინძურებლების საშუალებით განსაზღვრა.

აღნიშნული სათანადო პირობები დამოკიდებულია გეოგრაფიულ რეგიონსა და კონკრეტული ეკოსისტემის მახასიათებლებზე. კარგი სტატუსის გარდა, წყლის ობიექტებთან დაკავშირებით დასახულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლების მდგომარეობის გაურესების არ დაშვება და წყლის მთელი მარაგის დაცვა, გაზრდა და აღდგენა.
- მავნე ნივთიერებებით დაბინძურების თანმიმდევრული შემცირება და ზედაპირულ წყლებში ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებების აღმოფხვრა, ამასთან მიწისქვეშა წყლების დამაბინძურებელი ნივთიერებებით დაბინძურების აკრძალვა და შემცირება.
- მიწისქვეშა წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების მნიშვნელობის ზრდის ტენდენციის საპირისპიროდ შემობრუნება
- დაცული ტერიტორიების ევრიპულ კანონმდებლობაში განსაზღვრული ნორმებისა და ამოცანების შესრულება.

ძლიერ მოდიფიცირებული ან ხელოვნურად შექმნილი წყლის ობიექტებისათვის ჩარჩო დირექტივა ისახავს სპეციალურ ამოცანებს, რომელთა მთავარი მიზანია აღნიშნული ობიექტების კარგი ეკოლოგიური სტატუსის მიღწევა და ასევე განსაზღვრავს მათი გამოყენების მკაცრ კრიტერიუმებს.

წყლის ჩარჩო დირექტივა ასევე ხაზს უსვამს მდინარეთა აუზების მართვის გეგმებში საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობას.

წყლის ობიექტების არსებული მდგომარეობის დასადგენად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მათი ჰიდროქიმიური პარამეტრების განსაზღვრა, რომელთაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ როგორც უშუალოდ წყლის ობიექტისა და იქ არსებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის, ასევე წყლის ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებისა და სხვა და სხვა ბიოტური თუ აბიოტური ფაქტორების ცხოველქმედებისათვის.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება წყლის ყველა მნიშვნელოვანი ობიექტის ჰიდროქიმიური პარამეტრების დასადგენად ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, რაც გულისხმობს ორჯერადად, კერძოდ ზაფულსა (ივლისის) და შემოდგომაზე (ოქტომბერი) სინჯების აღებასა და მათ საფუძველზე ლაბორატორიული ანალიზის განხორციელებას.

აღნიშნული ითვალისწინებს ტბებსა და საჭიროების შემთხვევაში სოფლის მიმდებარე ტერიტორიებზე ნიმუშების აღებას, მათ ტრანსპორტირებას ლაბორატორიაში და კვლევას. ლაბორატორიულ შედეგებზე მომზადდება შესაბამისი დეტალური ანგარიშები, კვლევის

ჩატარების მეთოდოლოგიასა და შედეგების დადგენასთან დაკავშირებით. სინჯების აღების არელების შერჩევასა და გათვალისწინებულია სხვა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი, მათ შორის მინერალიზაციის არსებული დონე, რაც მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. ასევე, მდინარეების შემთხვევაში მნიშვნელოვანი შესართავებისა თუ დაცულ ტერიტორიასთან შესასვლელი არელების გათვალისწინება.

სინჯების აღება, მათი შენახვა-კონსერვირება და ქიმიური ანალიზების შესრულება ხდება საერთაშორისო სტანდარტული მეთოდების მიხედვით: სინჯის აღება – ISO 5667-14:2005; pH-პოტენციომეტრული მეთოდით, ISO 10523, ჟანგვადოვა – პერმანგანატული მეთოდით ISO 8467 მეთოდებით. გახსნილი ჟანგბადი – იოდომეტრული მეთოდით ISO 5813-83. მთავარი იონები: ნატრიუმი და კალიუმი – ალის ფოტომეტრული მეთოდით, ISO 9964-1 და 9964-2. კალციუმი, მაგნიუმი – კომპლექსონომეტრული მეთოდით ISO 6059. სულფატები – გრავიმეტრული მეთოდით, ISO 9280, ხოლო ქლორიდები – მორის მეთოდით, ISO 9297. ნიტრიტ, ნიტრატ და ამონიუმის იონები – სპექტროფოტომეტრული მეთოდებით, ISO 7890-3, ISO 6777, ISO 7150 მეტალები ატომურ-აბსორბციული და მიკროტალღური პლაზმური ატომოემისიური სპექტრომეტრის მეთოდებით (ISO 8288, CSN EN13804; I.S. EN 13805:2014).

ანალიზის შემსრულებლის ინსტრუმენტალური ბაზის გათვალისწინებით, მთავარი იონები, ამონიუმის, ნიტრატ და ნიტრიტ იონები, შეიძლება განსაზღვრული იქნას იონური ქრომატოგრაფის და კაპილარული ელექტროფორეზის საშუალებით (ISO 1034-1:2007; Molecules 2021; 26(22): 6972.) სულფატების განსაზღვრისათვის ძალიან პრაქტიკულია, ფოტოტურბიდიმეტრული მეთოდი, თუმცა ის არ მიეკუთვნება საერთაშორისო სტანდარტებს და მოითხოვს ანალიზის შემსრულებლის მაღალ კვალიფიკაციას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია განსასაზღვრი ჰიდროქიმიური პარამეტრებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ თავად წყლის ობიექტებზე, იქ არსებულ ბიომრავალფეროვნებასა თუ სხვა ფაქტორებზე.

ცხრილი 4.1 ჰიდროქიმიური პარამეტრები

პარამეტრები	განსაზღვრის მეთოდი	შესაძლო გამოყენება
pH	პოტენციომეტრია	იმის გარდა რომ აუცილებელი და ნორმირებული სიდიდეა, მისი მნიშვნელობის მიხედვით შესაძლებელია ტოქსიკური მეტალების მდგომარეობის (ჰიდროქსიდოკომპლექსების) დიაგრამების გათვლა
გახსნილი ჟანგბადი	მოცულობითი	გახსნილი ჟანგბადის რაოდენობის განსაზღვრა, აუცილებელია საკვლევი წყალსაცავების სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად. თევზების ნორმალური არსებობისთვის საჭირო გახსნილი ჟანგბადის მინიმალური კონცენტრაციაა 5 მგ/ლ.
კალიუმი	ალის ფოტომეტრია	ნორმირებული კომპონენტებია. მთავარი იონების განსაზღვრა აუცილებელია წყლების მინერალიზაციის (მარილიანობის), კლასის, ჯგუფის და ტიპის დასადგენად. ხოლო ანიონების კონცენტრაციის ცოდნა აუცილებელია ტოქსიკური მეტალების მიგრაციის ფორმების გასათვლელად.
ნატრიუმი	ალის ფოტომეტრია	
კალციუმი*	მოცულობითი	
მაგნიუმი	მოცულობითი,	
ჰიდროკარბონატი	მოცულობითი, ან ქრომატოგრაფია	

ქლორიდი	მოცულობითი, ან ქრომატოგრაფია	
სულფატი	წონითი, ფოტოტურ-ბიდიმეტრია, ან ქრომატოგრაფია	
პერმანგანატული ჟანგვადობა (ჟანგბადის ქიმიური მოხმარება)	მოცულობითი	ნორმირებული კომპონენტია. მისი განაზღვრა აუცილებელია ორგანული ნივთიერებებით წყალსატევების გაჭუჭყიანების დასადგენად. ასევე მისი სიდიდით, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება განსაზღვრის გარეშე დახლოებით დადგინდეს ორგანული ნახშირბადის და ორგანული ნივთიერებების რაოდენობაც.
ნიტრატი		ნორმირებული კომპონენტებია. მათი კონცენტრაციები შეიძლება გამოსახული იყოს ან იონური, ან აზოტის ფორმის სახით. ნიტრიტი გაჭუჭყიანების ინდიკატორია. მისი მატება ნიშნავს რომ წყალში ორგანული ნივთიერების რაოდენობა მატულობს და შესაბამისად ჟანგბადის რაოდენობა უნდა კლებულობდეს.
ნიტრიტი		
ამონიუმის იონი	ფოტომეტრია, ან ქრომატოგრაფია	
სპილენძი	ატომურ-აბსორბციული, ან მიკროტალღური პლანმური ატომო ემისიური სპექტრომეტრია	წყალსაცავების ტიპური დამაბინძურებელი ნორმირებული ტოქსიკური, მძიმე მეტალებია.
კადმიუმი		
ტყვია		
რკინა	ატომო ემისიური სპექტრომეტრია	
პესტიციდები *	ქრომატოგრაფია, ან მასსპექტროფოტომეტრია	ნორმირებული დამაბინძურებელი ორგანული ნივთიერებები

კვლევის ფარგლებში ჰიდროლოგიური ობიექტების ანალიზისათვის იქმნება გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზა, როგორც არსებული უახლესი მასალების, ასევე ძველი ტოპოგრაფიული რუკების, ორთოფოტო გეგმებისა და სატელიტური სურათების დამუშავების საფუძველზე.

მონაცემთა ბაზაში ხდება შემდეგი ინფორმაციის ასახვა:

- საკვლევი ობიექტების, როგორცაა მდინარეები, ტბები, ჭაობები, წყაროები და სხვა
- საკადასტრო მონაცემები
- საკვლევ არეალში და მის მიდებარედ არსებული მოქმედი სასარგებლო წიაღისეული
- საკვლევი ობიექტის ფარგლებში არსებული ზურმუხტის ქსელი

განხორციელდება საკვლევი ობიექტების კლასიფიკაცია წყლის სტატუსის მიხედვით, ასევე ჰიდროქიმიური მონაცემების ანალიზების საფუძველზე მოხდება ობიექტების დაყოფა კლასის, ჯგუფისა და ტიპის შესაბამისად. მონაცემთა ბაზაში მოხდება ასევე ჰიდრობიოლოგიური მასალის ასახვა.

სიტუაციის ცვლილების დინამიკის დასადგენად გამოყენებული იქნება მე-XX საუკუნის მე-2 ნახევრისა და XI საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდისათვის არსებული მასალები.

საველე კვლევები ასევე ითვალისწინებს ჰიდრობიოლოგიური ანალიზის ჩატარებას, საკვლევ არეალში არსებულ ყველა მნიშვნელოვან წყლის ობიექტზე, რაც ითვალისწინებს წყლისა და

სედიმენტის ნიმუშების აღებას, ეტიკეტირებას, დამუშავებასა და მიკროსკოპირებას. აღნიშნული კვლევები ჩატარდება ფიტოპლანქტონზე, ზოოპლანქტონსა და მაკროუხერხემლოებზე.

წყლის არსებული სტატუსის დასადგენად, მნიშვნელოვანია ჰიდრომორფოლოგიური ელემენტების გათვალისწინება. რაც გულისხმობს ჰიდროლოგიური რეჟიმის დადგენას, დინების რაოდენობრივი მახასიათებლების, დინამიკის, წყლის დონის და სხვა პარამეტრების შესაბამისად, ასევე წყლის ობიექტების მორფოლოგიური მდგომარეობის განსაზღვრას წყლის ობიექტისა და სანაპირო ზოლის სტრუქტურის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წყლის ობიექტზე მაღალი სტატუსის მინიჭება მოხდება იმ შემთხვევაში თუ დინების რაოდენობრივი მახასიათებლები, დინამიკა და დონე სრულიად ან თითქმის სრულად ასახავს ზემოქმედების არ არსებობის პირობებს. ასევე თუ სიღრმის ცვალებადება, წყლის ობიექტისა და სანაპირო ზონის სტრუქტურა და მდგომარეობა სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზეგავლენათა არ არსებობის მდგომარეობას.

წყლის არსებული სტატუსის განსაზღვრისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს წყლის ობიექტზე არსებული ბუნებრივი და ანთროპოგენული კონფლიქტების იდენტიფიცირება, მათი მნიშვნელობისა და ინტენსივობის ხარისხის დადგენა. ანთროპოგენული კონფლიქტების კუთხით ასევე მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს არსებული სამართლებრივი მექანიზმების ანალიზი და მომავალში მათი თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

როგორც უკვე აღინიშნა, წყლის ობიექტებზე ჩატარებული საველე კვლევების, საველე ექსპედიციებისა და ექსპერტების მიერ ინფორმაციების გადამუშავების შედეგად, რაც ითვალისწინებს, როგორც თავად წყლის ობიექტების მდგომარეობას, ისე იქ არსებული ბიომრავალ-ფეროვნების სტატუსსა და მათზე არსებული თუ მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირებას, მოხდება წყლის რესურსების არსებული სტატუსის განსაზღვრა. მათ საფუძველზე თითოეული ობიექტისათვის კონკრეტული მიზნების დადგენა და შესაბამისი ღონისძიებებისა და ქმედებების იდენტიფიცირება, მათ განხორციელების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად კი შესაბამისი ინდიკატორების შემუშავება.

5. შედეგები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის შესამუშავლებლად განხორციელებული კვლევის პირველადი შედეგები, საველე კვლევებისა და მათი ანალიზის საფუძველზე.

აღნიშნული კვლევა ითვალისწინებდა, როგორც რეგიონსა და კერძოდ დაცული ტერიტორიების შესახებ ხელმისაწვდომი მასალის მოძიება-დამუშავებას, პროექტის სამიზნე ობიექტების საველე დათვალიერებასა და მდგომარეობის შეფასებას, მიღებული ინფორმაციის ანალიზს, მათ შორის გეო-საინფორმაციო სისტემების გამოყენებით, სამომავლო აქტივობების განხორციელების მეთოდოლოგიის განსაზღვრას და შესაბამისი ანგარიშის მომზადებას.

კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსების მართვის გეგმის შემუშავების წინასაპროექტო კვლევის ფარგლებში მოხდა და სხვა ბუნებრივი და ანთროპოგენული კომპონენტის გამოკვეტა, წყლის რესურსებზე მათი არსებული თუ პოტენციური გავლენის შეფასება (ზეგავლენის ხარისხის გათვალისწინებით) და ინფორმაციის გაანალიზება შესაბამისი ინდიკატორების მეშვეობით. ასევე განხორციელდა ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და საერთაშორისო დონეზე დადგენილი და ქვეყნის მიერ აღიარებული ნორმებისა და წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკები მიმოხილვა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული ძირითადი საფრთხეები.

ცხრილი 5.1 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებული არსებული და პოტენციური საფრთხეები

საფრთხის ტიპი	შედეგები
ტყის რესურსებით არამდგრადი სარგებლობა	<p>ტყეების არამდგრადმა სარგებლობამ მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა მრავალ სახეობას (მაგ: მუხა, ლაფანი, ნეკერჩხალი, რცხილა და სხვა). ამჟამად კორომების გავრცელებას ფრაგმენტული ხასიათი აქვთ.</p> <p>ნაკლებად აქტიურად მიმდინარეობს კოლხეთის რელიქტური ტორფნარი ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობების: ჰარტვისის მუხის, ლაფანის, იფანის, ნეკერჩხლის, რცხილას ბუნებრივი განახლება.</p> <p>ფიტო მავნებლების გამომნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ იმყოფება წითელი ნუსხის სახეობა, კოლხეთის ენდემი და მესამეული პერიოდის რელიქტი – კოლხური ბზა.</p> <p>მურყანი მონოდომინანტურ დაჯგუფებებს ქმნის პოლიდომინანტური ტყის ადგილზე. ძირითადად წარმოდგენილია ახალგაზრდა ხეებით, შესაბამისად შემცირებულია ფრინველთა იმ სახეობების რაოდენობა, რომელთა</p>

	<p>ბუდობისათვისაც აუცილებელია მაღალი ხეების არსებობა (მაგ: მცირე მყივანა არწივი).</p> <p>ალტერნატიული საწვავის ნაკლებობის გამო მაღალია მოთხოვნა საშემე მერქანზე და გვხდება ბუნებრივი რესურსებით არამდგრადი სარგებლობის ფაქტები.</p> <p>ტყეების არამდგრადი სარგებლობა და მეორე მდელოების ჩამოყალიბება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ინვაზიური მცენარეების გავრცელებისათვის.</p> <p>კლიმატის ცვლილებით გამოწვეული დღე-ღამური ტემპერატურის მერყეობამ, რაც განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში აღინიშნება, გამოიწვია ენტემო და ფიტო მავნებლების გაჩენა. საფრთხეს წარმოადგენს ტყეში გავრცელებული სოკოვანი დაავადებებიც.</p> <p>ტყის მართვისას ფრინველთა კონსერვაციული მიზნების გათვალისწინებლობის შემთხვევაში იქმნება ხეზე მოზუდარ ფრინველთა (მტაცებელი ფრინველები, ყანჩები, ბელურასნაირები) პოპულაციების დაზიანების საფრთხე.</p>
სამელიორაციო სამუშაოები	<p>უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს სამხრეთ ფერდობებზე. მდინარეების პირას სამელიორაციო არხების გაღრმავება იწვევს ზედაპირული წყლების განტვირთვას წყალშემკრები აუზიდან.</p> <p>მნიშვნელოვანია სადრენაჟე არხების გარშემო ბუფერების არსებობა, შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით.</p> <p>ჰიდროლოგიური ფაქტორი განსაკუთრებით უმნიშვნელოვანია ტორფნარებისათვის. წყლის სათანადო დონე ქმნის ტორფის აკუმულაციის/ზრდის საშუალებას. ტორფნარებში არსებული მცენარეულობა ადაპტირებულია წყლის მაღალი დონის მიმართ.</p> <p>წყლის დონის ცვლილებები ხშირად იწვევს ტორფნარში მცენარეთა სხვა სახეობების გავრცელებას, რასაც სხვა ტიპის ტორფის ზრდა და აკუმულაცია მოყვება. მცენარეების განსხვავებული მინერალიზაციის მახასიათებლების გამო ტორფი განსხვავებული ფორიანობით, გამჭოლუნარიანობით და წყლის შეკავების კოეფიციენტით ხასიათდება, რაც თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენს ტორფნარის ჰიდროლოგიურ მახასიათებლებზე.</p>
ხანძრები	<p>უარყოფითი გავლენა ბიომრავალფეროვნებაზე, მცენარეულ საფარზე, ფრინველებსა თუ ფაუნის სახეობებზე. ცეცხლი ქარის საშუალებით ადვილად ვრცელდება ტორფნარზე და გარშემო არსებულ ტყეებზე. მარტივად ეკიდება სფაგნუმიან ტორფნარებზე გაბატონებულ მარცვლოვან სახეობებს. პერიოდული ხანძრები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მცენარეულ საფარზე, მოზუდარ ფრინველებზე, ამფიბებზე, რეპტილიებსა და ძუძუმწოვრებზე.</p>
ბრაკონიერობა	<p>დაცული ტერიტორიის შემოგარენში ადგილობრივი მოსახლეობის სიმჭიდროვე შედარებით მაღალია. ფრინველთა მიგრაციის და ზამთრობის პერიოდში დაცულ ტერიტორია და მისი შემოგარენი იზიდავს მონადირეებს. დაცული ტერიტორიის თანამშრომლები პერიოდულად აფიქსირებენ ნადირობის ფაქტებს</p>

	დაცულ ტერიტორიაზე. ასევე ხშირია აკრძალული მეთოდებით (პროექტორი, ელექტრო აკუსტიკური სატყუარა) ნადირობა. ბრაკონიერობა ზრდის ანთროპოგენულ წნეხს მიგრანტ და მოზამთრე ფრინველთა პოპულაციებზე.
უკონონო თევზჭერა	დაცულ ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთზე (პაიასტომი, ჭურია) და მის შემოგარენში, ადგილობრივი მოსახლეობისათვის, დაშვებულია თევზჭერა. ადგილობრივები სათევზაოდ იყენებენ სახლერთ ბადეებს. სახლართი ბადეები წარმოადგენს საფრთხეს წყლის ფრინველთათვის, განსაკუთრებით ყვინთია იხვებისათვის, კოკონებისთვის და ქარიშხალებისთვის.
ჭაობებისა და ლელქაშიანების ხანძრები	ზამთარში ადგილობრივი მოსახლეობა წვავს ჭაობის გამხმარ მცენარეულობას. ხანძრები ზოგიერთ ზამთარს ვრცელდება უზარმაზარ ტერიტორიაზე და ჭაობის მცენარეულობის დიდ ფართობებს ანადგურებს. ხანძრების მიზეზად, ადგილობრივი მოსახლეობა, ასახელებს ძველი, გამხმარი მცენარეულობის მოსპობას ახალი აღმონაცენის ზრდისთვის ხელის შეწყობას. ახალი აღმონაცენი ხელსაყრელია ტერიტორიაზე მოზამთრე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის თუმცა შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს მოზამთრე და მიგრანტ ფრინველთა პოპულაციებს.
განვითარების პროექტები	კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მრავალი მოქმედი და დაგეგმილი განვითარების პროექტია. გასული წლების განმავლობაში მოხდა გარკვეული ტერიტორიების ამოღება დაცული ტერიტორიიდან პორტების, რკინიგზის, გზების და ენერგეტიკული ობიექტების განსავითარებლად.
ტორფის მოპოვებაზე ნებართვის მოთხოვნები	ტორფის მოპოვება საფრთხეს შეუქმნის ეკოსისტემას და ჭარბტენიანი ტერიტორიების უნიკალური ეკოლოგიური მახასიათებლების ცვლილებას. მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიის ჰიდროლოგიური ობიექტების ბუფერული ზონების განსაკუთრებული დაცვა დაწესება დაცვითი ზონების დადგენა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილია ძირითადი ჰიდროლოგიური ობიექტების არსებული მდგომარეობისა და საადაპტაციო ღონისძიებების შესახებ ზოგადი ინფორმაცია, რაც დეტალურად დაზუსტდება განხორციელებული კვლევების საფუძველზე.

ჰიდროლოგიური ობიექტების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- **ბუნებრივი**, რაც გამოიხატება კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად ნალექების რაოდენობის შემცირებით და გვალვიან დღეთა გაზრდით.
- **ანთროპოგენური**, რაც გამოხატულია ჰიდროლოგიური ობიექტების მიმდებარე ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოყენებით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩადინებით, საადაპტაციო ღონისძიებების დაგვიანებით და სხვა.

ცხრილი 5.2 ძირითადი ჰიდროლოგიური ობიექტების არსებული მდგომარეობა

და საადაპტაციო ღონისძიებების საჭიროება

ობიექტი	არსებული ვითარება და საჭირო ქმედებები
პალიასტომის ტბა და მიმდებარე ჭარბტენიანი ტერიტორიები	<p>ტბის დონეების ცვალებადობა, წყლის დონიდან პერიოდული კლება.</p> <p>ტბის წყლით საზრდოობისათვის მნიშვნელოვანია მის აუზში არსებული იმნათის ტორფნარისა და მის შემოგარენში რელიქტური ტყეების ჯანადი ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება.</p> <p>ტბაში, მალთაყვის არხით შავი ზღვის მარილიანი წყლის შეჭრა იწვევს ტბის მტკნარი წყლის გამარილიანება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს არსებულ ეკოსისტემაზე.</p> <p>პალიასტომის ტბის ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა და მასში ძველი ჰიდროლოგიური რეჟიმის აღდგენისათვის საჭიროა, რომ ტბიდან წყლის გადინება ზღვაში განხორციელდეს მაქსიმალურად დაუბრკოლებლად, რათა არ მოხდეს პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა. ამისათვის საჭიროა განხორციელდეს მდინარე კაპარჭინას გაწმენდა-გაფართოება და მისი დაბრუნება ძველ კალაპოტში.</p> <p>ჩამდინარე მდინარეების სედიმენტების დაბინძურება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან.</p> <p>ტბაში შეინიშნება ევტროპიკაციული პროცესები, რაც განპირობებულია მდინარე ფიჩორიდან და სხვა შენაკადებიდან ჩამდინარე სედიმენტურ ნალექებში აზოტოვანი სასუქების ნარჩენებით.</p> <p>ტბის აუზში სოფლის მეურნეობის შედეგად მიკროორგანიზმების მომეტებული რაოდენობაა.</p> <p>ტბა საჭიროებს საადაპტაციო ღონისძიებებს.</p>
იმნათის ტბა	ტბის ეკოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია და არ საჭიროებს განსაკუთრებულ საადაპტაციო ღონისძიებებს
ნაბადას ტბა	ტბის ეკოლოგიური მდგომარეობა სტაბილურია და არ საჭიროებს განსაკუთრებულ საადაპტაციო ღონისძიებებს
მდინარე ფიჩორი	<p>მდინარიდან ტბაში ჩაედინება გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები.</p> <p>წყლის დონეების ცვალებადობა დამოკიდებულია მოსულ ატმოსფერულ ნალექებზე, გაჭუჭყიანების ძირითადი ფაქტორები ეს არის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მდინარის კალაპოტი შედარებით მდგრადია</p>
მდინარე თხორინა	არსებული მდგომარეობა სტაბილურია და არ საჭიროებს განსაკუთრებულ საადაპტაციო ღონისძიებებს
მადინარე ჭურია	არსებული მდგომარეობა სტაბილურია და არ საჭიროებს განსაკუთრებულ საადაპტაციო ღონისძიებებს

მდინარე ცივა	არსებული მდგომარეობა სტაბილურია, არ საჭიროებს განსაკუთრებულ საადაპტაციო ღონისძიებებს გარდა კალაპოტის პერიოდული გაწმენდა-გსუფთავებისა
მდინარე კაპარჭინა	საჭიროებს კალაპოტის გაღრმავება-გასუფთავებას და გარკვეულ საადაპტაციო ღონისძიებებს

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჰიდროლოგიური ობიექტების მორფომეტრიული მახასიათებლები.

ცხრილი 5.3 მდინარეთა მორფომეტრიული მახასიათებლები

	მდინარის სიგრძე	აუზის ფართობი
ფიჩორი	66 კმ	406
თხორინა	7 კმ	-
ჭურია	12 კმ	296
ცივა	17 კმ	-
კაპარჭინა	7 კმ	-

ცხრილი 5.4 ტბების მორფომეტრიული მახასიათებლები

	სიმაღლე ზ.დ. (მ)	სარკის ფართობი, კმ ²	H _{მაქს} (მ)	H _{საშ} (მ)
პალიასტომი	-0.3	18.2	3.2	2.6
იმნათი	0.6	0.08	2.0	1.2
ნაბადა	0.5	0.18	1.8	1.1
	მდინარის სიგრძე	აუზის ფართობი		
ფიჩორი	66 კმ	406		
თხორინა	7 კმ	-		
ჭურია	12 კმ	296		
ცივა	17 კმ	-		
კაპარჭინა	7 კმ	-		

6. წყლის ობიექტების საინფორმაციო ბარათები და მართვის გეგმა

პროექტის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელებული საველე შეფასების, ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგებისა და მეორადი მასალების გადამუშავების შედეგად განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, კოლხეთის ეროვნულ პარკში არსებული წყლის რესურსების მდგომარეობისა და სტატუსის განსაზღვრის მიზნით შემუშავებულ იქნა კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული წყლის რესურსების შესახებ საერთო და ცალკეული წყლის ობიექტების მიხედვით ინდივიდუალური საინფორმაციო ბარათები, რომლებიც წყლის ობიექტებისა და მათი არსებული მდგომარეობისა და სტატუსის შესახებ ინფორმაციას იძლევა.

6.1 კოლხეთის ეროვნულ პარკში არსებული წყლის რესურსების ერთიანი საინფორმაციო ბარათი

მოკლე ინფორმაცია დაცული ტერიტორიის შესახებ	
სახელწოდება	კოლხეთის ეროვნული პარკი
შექმნის საკანონმდებლო საფუძველი	1998 წლის საქართველოს კანონი “კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ”
ძირითადი მიზანი	საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვა და შენარჩუნება
საერთაშორისო აღიარება	2021 წელს კოლხეთის ტროპიკული ტყეები და ჭაობები, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შევიდა.
მდებარეობა	დასავლეთი საქართველო, კოლხეთის დაბლობის ტერიტორია. მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლს და პალიასტომის ტბის აუზს.
ფართობი	საერთო ფართობი – 44'980 ჰა. სახმელეთო ფართობი – 29'229 ჰა, ზღვის აკვატორიის – 15'751 ჰა.
ზოგადი გეომორფოლოგიური მახასიათებლები	<ul style="list-style-type: none"> • კოლხეთის დაბლობი საქართველოს მთათაშორისი ვაკის დასავლეთ ნაწილს წარმოადგენს. • მოიცავს აკუმულაციურ ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე სტრუქტურულ-ეროზიულ გორაკ-ბორცვებს ზ.დ. 200 მ-მდე. • დაბლობი ოდნავ დახრილია შავი ზღვისაკენ და იკვეთება მცირე სიღრმის ხეობებით. აქვს სამკუთხედის ფორმა, ფუძით შავ ზღვას ებჯინება, წვერი აღმოსავლეთისკენ ვრცელდება. • აგებულია პლეისტოცენური და ჰოლოცენური თიხნარებით, ქვიშებითა და რიყნარით. • გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, წელიწადში – 1'700-2'500 მმ. • გავრცელებულია ყვითელმიწები, სუბტროპიკული ეწერები, ეწერ-ლებიანები, წითელმიწები, წითელმიწა ლებიანები და ჭაობიანი ნიადაგები (მინერალური და ორგანული ჭაობიანი

	<p>ნიადეგი, ტორფიან-ჭაობიანი და კამიან-ჭაობიანი ნიადაგების სახით).</p> <ul style="list-style-type: none"> • დაბლობი წარმოადგენს ჰიდროგეოლოგიური ოლქის, ე.წ ქართული ბლოკის არტეზიული აუზების დასავლეთ ჩაძირულ ნაწილს, მთათაშორის დეპრესიას და აგებულია ძირითადად მეზოკაინოზოური ნაფენების დანალექი კომპლექსით. • მიწისქვეშა წყლების დაგროვებასა და მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ტექტონიკური რღვევები ასრულებენ. • დაბლობი მრავალი მდინარით ისერება, მათ შორის მთავარია მდ. რიონი შენაკადებით და სხვა ტრანზიტული მდინარეები, რომლებიც უშუალოდ შავ ზღვაში ჩაედინება. მხოლოდ რამდენიმე მცირე მდინარე ფორმირდება კოლხეთის ფარგლებში. • შენარჩუნებულია მესამეული ფლორის რელიქტები. ზ.დ. 0-50 მ სიმაღლეზე ძირითადად ჭაობები და დაჭაობებული ტყეები გვხვდება, ხოლო 50-200 მ-ზე – კოლხური ტიპის ლიანები და ჭალის ტყეები. ქვეტყეში გავრცელებულია მარადმწვანე ხეები და ბუჩქები. ფლორის სახეობებიდან გავრცელებულია ეროვნული და გლობალური წითელი ნუსხით დაცული სახეობები, ენდემები, რელიქტები. • მრავლდაა წარმოდგენილია როგორც წყლის, ისე ხლეღეთის ბინადარი უხერხემლო და ხერხემლიანი ფაუნის წარმომადგენელები. (ეროვნული პარკის საზღვაო აქვატორიაში ბოლო პერიოდში წარმოებულ კვლევათა შედეგად დაფიქსირებული იქნა თევზების 27 ოჯახი და 45 სახეობა, რაც საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს იქთიოფაუნის დაახლოებით 41%-ია)
<p>ჰიდროლოგიური მახასიათებლები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჰიდროლოგიური ქსელი წარმოდგენილია მდინარეებითა და ტბებით, ნაწილი ჭაობითაა დაფარული, რომლებიც სცხვადასხვა ტიპის არხებთან ერთად და შავ ზღვასთან ერთად რთულ ჰიდროლოგიურ სისტემას ქმნის. • მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ ობიექტებს მიეკუთვნება შავი ზღვის აკვატორია, მდინარე ჭურია და მისი შენაკადები, მდინარე ფიჩორი და მისი შენაკადები, მდინარე ცივა და მისი შენაკადები, მდინარე თხორინა, იმნათის ტბა, ნაბადას ტბა და პალიასტომის ტბა. • წყლის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად, ჰიდროლოგიური ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არსებული ყველა მდინარე თავისი აუზის მიხედვით დაბლობის (<200 მ) კატეგორიას განეკუთვნება, ზომათა ტიპოლოგიით, წყალშემკრები აუზების მიხედვით, საშუალო ზომას მიკუთვნება მდინარე ფიჩორი, ჭურია და ცივა (100-1000 კმ²), ხოლო თხორინა – მცირეს. • ტბები, გარდა პალიასტომისა, რომელიც აუზის ფართობის მიხედვით დიდი ზომის (10-100 კმ²) ტბას მიეკუთვნება, ნაბადასა და იმნათის ტბები წარმოადგენს მცირეზე პატარა (0.5 კმ²) ტბებს. სიღმის მიხედვით ყველა ტბა მცირეს განეკუთვნება, ხოლო მდებარეობის მიხედვით – დაბლობის კატეგორიას.

<p>ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • კოლხეთის ეროვნული პარკის წარმოადგენს ჭარბტენიანი ტერიტორიას, რომელსაც იცავს Ramsar-ის კონვენცია. აქ წარმოდგენილია მრავალი წყლის ობიექტი, ზღვის აკვატორია და ხმელეთზე უნიკალური კოლხური ტყეები. წყლის ობიექტები მდიდარია იქთიოფაუნით და ჰიდრობიონტებით, წვრილი და მსხვილი ძუძუმწოვრებით ხმელეთსა და ზღვაში, მნიშვნელოვანია წყლის, გადამფრენ, მოზამთრე და მოზუდარი ფრინველებისათვის. • ტერიტორია უნიკალური პერკორაციული ჭაობებით გამოირჩევა, კოლხურ ტყეებსა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით აღიარებულია UNESCO-ს კონვენციით და იმყოფება მისი დაცვის ქვეშ, ასევე დაცულია Bernis კონვენციით და წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიას.
<p>ჰიდროქიმიური პარამეტრები/ მახასიათებლები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითადად ნორმის ფარგლებშია; • ზაფხულში და შემოდგომით წყლის კლასიფიკაცია მუდმივია: კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი.
<p>ჰიდროქიმიური მდგომარეობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • pH მაჩვენებელი, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირული წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად ნორმის (6.5-8.5) ფარგლებშია. გამოანკლისებია: იმნათის (5.1) pH სიდიდეები. • აზოტის არაორგანული ფორმებიდან ნიტრატი და ნიტრიტი იონები ყველგან ნორმის ფარგლებშია. ზდკ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამონიუმის იონის შემთხვევაში შემდეგ ზედაპირულ წყლებში: მდ. ფიჩორი, მდ. ფიჩორი-I შენაკადი, იმნათის ტბა, მდ. ჭურია, მდ. ჭურია, პირველი შენაკადი, მდ. ჭურიას მეორე შენაკადი, მდ. ცივი, მდ. ცივი, პირველი შენაკადი, მდ. ცივის მეორე შენაკადი. მიზეზები ფეკალური ნაკადები და ორგანული სასუქების გამოყენება უნდა იყოს. • ქლორიდები ყველგან ნორმის ფარგლებშია, მაშინ როდესაც პირველ ეტაპზე მისი რაოდენობა ორ სინჯში გაზრდილი იყო. ცვლილება მხოლოდ შავი ზღვის გავლენის შესუსტებით შეიძლება აიხსნას, რაც შავ ზღვაში განვითარებული დინამიკური პროცესებით (ტალღების და დონეების ცვალებადობა) და მეტეოროლოგიური პირობების ცვლილებამ გამოიწვია. პირველ შემთხვევაში იზრდება ზღვის წყლის გავლენა, მეორე შემთხვევაში კი ატმოსფერული ნალექები წყლის დონის (ზედაპირული და მიქისქვეშა) მატებასა და ზღვის გავლენის შესუსტებას იწვევს. მძიმე მეტალებიც და დანარჩენი კომპონენტები, ყველგან ნორმის ფარგლებშია.

6.2 წყლის ობიექტების ზოგადი შეფასების ბარათები

წყლის ობიექტი 1. მდ. ჭურია და მისი შენაკადები

აღწერილობითი ნაწილი	
გეოგრაფიული დასახელება	მდინარე ჭურია
აუზი/ეკორეგიონი	ხმელთაშუა ზღვის აუზი / კავკასიის ეკო რეგიონი
წყლის ობიექტის კატეგორია	მდინარე
მორფომეტრიული მახასიათებლები	მდინარის სიგრძე 12 კმ, აუზის ფართობი 296 კმ ²
სიციო-ეკონომიკური მნიშვნელობა	ტურისტულ-რეკრეაციული
საშუალო წლიური ჩამონადენი	საშუალო წლიური ხარჯი 5.9 მ ³ /წმ
ჰიდროლოგიური რეჟიმი	<ul style="list-style-type: none"> - ტიპური ჭაობის მდინარე, ძირითადად საზრდოობს. წვიმის წყლით, ხშირია წვიმები დამახასიათებელია წყლის მაღალი დონეები. - წყალდება არ ხდება. - ნაკადის მახასიათებლები, კავშირი გრუნტის წყლებთან სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზეგავლენის არ არსებობას. - კალაპოტის უწყვეტობა შენარჩუნებულია - მდინარე წარმოადგენს ესტუარისებურ შესართავს და განიცდის ზღვის წყლის გავლენას
ჰიდროქიმიური პარამეტრები / მახასიათებლები	ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითად ნორმის ფარგლებშია.
ჰიდრობიოლოგიური მახასიათებლები (საბაზისო ინფორმაცია)	<ul style="list-style-type: none"> - მდინარის ორივე ნაპირზეა გავრცელებული ინვაზიური ამორფა, ასევე კოლხეთის ენდემი: ტორფის ოქროწყვეპლა (Solidago turfosa). - მდინარეში ბინადრობს მრავალი სახეობის თევზი.
შეფასების ნაწილი	
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
ზეწოლის სახეები	წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან
არსებული ჰიდროქიმიური მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> - ზღვ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამომიუმის იონის შემთხვევაში, შემოდგომის სინჯებში: მდ. ჭურია – 1.1 ზღვ; I შენაკადი – 1.2 ზღვ; II შენაკადი – 2.1 ზღვ; - ზაფხულისგან განსხვავებით, შემოდგომაზე, მდ. ჭურიას და მისი მეორე შენაკადის ქლორიდული კლასი, შეიცვალა ჰიდროკარბონატულით. ჯგუფი (კალციუმის) და ტიპი (მესამე) იგივე დარჩა. ცვლილება არ შეეხო მდ. ჭურიას პირველ შენაკადს. იყო და დარჩა ჰიდროკარბონატული კლასის, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი.
არსებული ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა	- მდინარე მდიდარია თევზებით, შესაბამისად როგორც სხვა წყლის ობიექტები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს.

	- მრავლადაა გადამფრენი, წყლის და მოზუდარი ფრინველები;
დასკვნა/განსაზღვრული სტატუსი შეფასებაზე დაყრდნობით	
არსებული ეკოლოგიური სტატუსი	მაღალი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/საუკეთესო ჩარჩო დირექტივის მიხედვით - არ ფიქსირდება, ან ფიქსირდება მხოლოდ მცირე ანთროპოგენული ცვლილებები მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტის ხარისხის ფიზიკურ-ქიმიური და ჰიდრომორფოლოგიური ელემენტების იმ მნიშვნელობებთან შედარებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, ასოცირდება წყლის ობიექტის მოცემულ ტიპთან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების არარსებობის პირობებში.
არსებული ქიმიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/საუკეთესო ჩარჩო დირექტივის მიხედვით - ფიზიკურ-ქიმიური ელემენტების მნიშვნელობები სრულად, ან თითქმის სრულად შეესაბამება ზემოქმედებათა არარსებობის პირობებს. საკვები ნივთიერებების კონცენტრაცია იმ დიაპაზონის ფარგლებში რჩება, რომელიც, ჩვეულებრივ, ზეგავლენათა არარსებობის პირობებთან ასოცირდება. მარილიანობის ხარისხი, pH დონე, ჟანგბადის ბალანსი, მჟავათა განეიტრალების უნარი და ტემპერატურა არ ავლენს ანთროპოგენური ზეგავლენის ნიშნებს და რჩება იმ დიაპაზონის ფარგლებში, რომელიც, ჩვეულებრივ, ზეგავლენათა არარსებობის პირობებთან ასოცირდება.
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
რისკის კატეგორია	ურისკო
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	
ძირითადი	არ საჭიროებს
დამატებითი	- ნაგავდამჭერი ნაგებობის მშენებლობა - ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
მონიტორინგის პროგრამის საჭიროება	აუცილებელი

წყლის ობიექტი 2. მდ. ცივა და მისი შენაკადები

აღწერილობითი ნაწილი	
გეოგრაფიული დასახელება	მდინარე ცივა
აუზი/ეკორეგიონი	ხმელთაშუა ზღვის აუზი/კავკასიის ეკო რეგიონი
წყლის ობიექტის კატეგორია	მდინარე
მორფომეტრიული მახასიათებლები	მდინარის სიგრძე 56.3 კმ, აუზის ფართობი 199კმ;
სიციო-ეკონომიკური მნიშვნელობა	ტურისტულ-რეკრეაციული
საშუალო წლიური ჩამონადენი	საშუალო წლიური ხარჯი 6.3 მ/წმ
ჰიდროლოგიური რეჟიმი	<ul style="list-style-type: none"> - მდინარისათვის დამახასიათებელია თავსხმა წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩევიან კომბინირებული – თოვლ-წვიმის წყლებით გამოწვეული წყალმოვადნები. - წყალაღება არ ხდება. - ნაკადის მახასიათებლები, კავშირი გრუნტის წყლებთან სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზეგავლენის არ არსებობას. - კალაპოტის უწყვეტობა შენარჩუნებულია
ჰიდროქიმიური პარამეტრები/მახასიათებლები	ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითად ნორმის ფარგლებშია.
ჰიდრობიოლოგიური მახასიათებლები/ (საბაზისო ინფორმაცია)	მდინარე მდიდარია თევზებით, შესაბამისად როგორც სხვა წყლის ობიექტები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. მრავლადაა გადამფრენი, წყლის და მოზუდარი ფრინველები.
შეფასების ნაწილი	
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
ზეწოლის სახეები	წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან
არსებული ჰიდროქიმიური მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> - ზდკ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამომიუმის იონის შემთხვევაში, შემოდგომის სინჯებში: მდ. ცივი – 1.5 ზდკ; I შენაკადი – 1.8 ზდკ; II შენაკადი – 1.7 ზდკ. - ზაფხულისგან განსხვავებით, შემოდგომაზე, მდ. ცივას და მისი შენაკადების ქლორიდული კლასი, შეიცვალა ჰიდროკარბონატულით. ჯგუფი (კალციუმის)და ტიპი (მესამე) იგივე დარჩა.
არსებული ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა	მდინარე მდიდარია თევზებით, შესაბამისად როგორც სხვა წყლის ობიექტები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. მრავლადაა გადამფრენი, წყლის და მოზუდარი ფრინველები;
დასკვნა/განსაზღვრული სტატუსი შეფასებაზე დაყრდნობით	

არსებული ეკოლოგიური სტატუსი	მაღალი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/საუკეთესო ჩარჩო დირექტივის მიხედვით – არ ფიქსირდება ან ფიქსირდება მხოლოდ მცირე ანთროპოგენული ცვლილებები მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტის ხარისხის ფიზიკურ-ქიმიური და ჰიდრომორფო-ლოგიური ელემენტების იმ მნიშვნელობებთან შედარებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, ასოცირდება წყლის ობიექტის მოცემულ ტიპთან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების არარსებობის პირობებში.
არსებული ქიმიური სტატუსი	კარგი – ფიზიკურ-ქიმიური ელემენტების მნიშვნელობები სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზემოქმედებათა არარსებობის პირობებს. საკვები ნივთიერებების კონცენტრაცია იმ დიაპაზონის ფარგლებში რჩება, რომელიც, ჩვეულებრივ, ზეგავლენათა არარსებობის პირობებთან ასოცირდება. მარილიანობის ხარისხი, pH დონე, ჟანგბადის ბალანსი, მჟავათა განეიტრალების უნარი და ტემპერატურა არ ავლენს ან თროპოგენული ზეგავლენის ნიშნებს და რჩება იმ დიაპაზონის ფარგლებში, რომელიც, ჩვეულებრივ, ასოცირდება, ზეგავლენათა არარსებობის პირობებთან.
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
რისკის კატეგორია	ურისკო
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	
ძირითადი	არ საჭიროებს
დამატებითი	<ul style="list-style-type: none"> - ნაგავდამჭერი ნაგებობის მშენებლობა - ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
მონიტორინგის პროგრამის საჭიროება	აუცილებელი

წყლის ობიექტი 3. მდ. ფიჩორი და მისი შენაკადები

აღწერილობითი ნაწილი	
გეოგრაფიული დასახელება	მდინარე ფიჩორი
აუზი/ეკორეგიონი	ხმელთაშუა ზღვის აუზი/კავკასიის ეკო რეგიონი
წყლის ობიექტის კატეგორია	მდინარე
მორფომეტრიული მახასიათებლები	მდინარის სიგრძე 66 კმ., აუზის ფართობი – 406 კმ ² .
სიციო-ეკონომიკური მნიშვნელობა	ტურისტულ-რეკრეაციული
საშუალო წლიური ჩამონადენი	საშუალო წლიური ხარჯი 10,8 მ ³ /წმ.
ჰიდროლოგიური რეჟიმი	<ul style="list-style-type: none"> - მდინარისათვის დამახასიათებელია წყალმოვარდნები, - წყალაღება არ ხდება. - ნაკადის მახასიათებლები, კავშირი გრუნტის წყლებთან სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზეგავლენის არ არსებობას. - კალაპოტის უწყვეტობა შენარჩუნებულია
ჰიდროქიმიური პარამეტრები/მახასიათებლები	ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითად ნორმის ფარგლებშია.
ჰიდრობიოლოგიური მახასიათებლები (საბაზისო ინფორმაცია)	<ul style="list-style-type: none"> - მდიდარია თევზებით, შესაბამისად როგორც სხვა წყლის ობიექტები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს; - მრავლადაა გადამფრენი, წყლის და მობუდარი ფრინველები.
შეფასების ნაწილი	
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
ზეწოლის სახეები	წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან
არსებული ჰიდროქიმიური მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> - ზდკ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამონიუმის იონის შემთხვევაში. ზაფხულის სინჯებში: მდ. ფიჩორი – 1.2 ზდკ; I შენაკადი 2.5 ზდკ; მდ. II შენაკადი – 1.2 ზდკ; შემოდგომის სინჯებში: 1.3 ზდკ; მდ. ფიჩორი-I შენაკადი – 1.4 ზდკ. - ზაფხულისგან განსხვავებით, შემოდგომაზე, მდ.ფიჩორას და მისი მეორე შენაკადის კლასი, ჯგუფი და ტიპი არ შეცვლილი (ჰიდროკარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი) შეიცვალა პირველი შენაკადის ტიპი და ჯგუფი. ზაფხულში ნატრიუმის ჯგუფის, პირველი ტიპი იყო, შემოდგომაზე ნატრიუმის ჯგუფი კალციუმით შეიცვალა, პირველი ტიპი – მესამე ტიპით.
არსებული ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> - მნიშვნელოვნად არის გავრცელებული ინვაზიური ამორფა; - გადამფრენი ფრინველების სიმრავლე, იხვების გუნდები და რუხი წეროების სიმრავლე შეიმჩნეოდა;

	<ul style="list-style-type: none"> - ლურჯ-მწვანე მცენარეების სიმრავლე მდინარეში, ხოლო შესართავთან წყალი შავი იყო ტორფნარის ზემოქმედების გამო; - მდინარისპირა ტყეებზე მნიშვნელოვანია კოლხური ტყეების დაცვა, მოვლა და მუდმივი მონიტორინგი, მავნებელი მწერების, სოკოების და დაავადების გავრცელება; - ტბის ნაპირებზე და დაჭაობებულ ადგილებში მრავლად ინვაზიური მცენარეები ამორფა; - ტერიტორია წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის ტერი-ტორიას მნიშვნელოვანი სახეობების და მათი ჰაბიტატების გამო, ასევე დაცულია UNESCO-ს კონვენციით, აღიარებულია მათი მსოფლიო მნიშვნელობა. - ტერიტორიაზე შედის ზურმუხტის სახეობები. ტერი-ტორიას მინიჭებული აქვს იუნესკოს სტატუსი, რაც ხაზს უსვავს მის უნიკალურობას.
დასკვნა/განსაზღვრული სტატუსი შეფასებაზე დაყრდნობით	
არსებული ეკოლოგიური სტატუსი	მაღალი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/საუკეთესო ჩარჩო დირექტივის მიხედვით – არ ფიქსირდება ან ფიქსირდება მხოლოდ მცირე ანთროპო-გენური ცვლილებები მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტის ხარისხის ფიზიკურ-ქიმიური და ჰიდრომორფოლოგიური ელემენტების იმ მნიშვნელო-ბებთან შედარებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, წყლის ობიექტის მოცემულ ტიპთან ასოცირდება მასზე რაიმე სახის ზემოქმედების არარსებობის პირობებში.
არსებული ქიმიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/საუკეთესო ჩარჩო დირექტივის მიხედვით – ფიზიკურ-ქიმიური ელემენტების მნიშვნელობები სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზემოქმედებათა არარსე-ბობის პირობებს. საკვები ნივთი ერებების კონცენტრაცია იმ დიაპაზონის ფარგლებში რჩება, რომელიც, ჩვეულებრივ, ზეგავლენათა არარსებობის პირობებთან ასოცირდება. მარილიანობის ხარისხი, pH დონე, ჟანგბადის ბალანსი, მჟავათა განეიტრალების უნარი და ტემპერატურა არ ავლენს ანთროპოგენური ზეგავლენის ნიშნებს და იმ დიაპაზონის ფარგლებში რჩება, რომელიც, ჩვეულებრივ, ზეგავლენათა არარსებობის პირობებთან ასოცირდება.
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
რისკის კატეგორია	ურისკო
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	
ძირითადი	არ საჭიროებს
დამატებითი	<ul style="list-style-type: none"> - ნაგავდამჭერი ნაგებობის მშენებლობა - ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა

	- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
მონიტორინგის პროგრამის საჭიროება	აუცილებელი

წყლის ობიექტი 4. მდ. თხორინა და მისი შენაკადები

აღწერილობითი ნაწილი	
გეოგრაფიული დასახელება	მდინარე თხორინა
აუზი/ეკორეგიონი	ხმელთაშუა ზღვის აუზი/კავკასიის ეკო რეგიონი
წყლის ობიექტის კატეგორია	მდინარე
მორფომეტრიული მახასიათებლები	სიგრძე 7 კმ, პალიასტომის ტბაში ჩაედინება.
სიციო-ეკონომიკური მნიშვნელობა	ტურისტულ-რეკრეაციული
საშუალო წლიური ჩამონადენი	საშუალო წლიური ხარჯი 0.6 მ ³ /წმ
ჰიდროლოგიური რეჟიმი	<ul style="list-style-type: none"> - ტიპური ჭაობის მდინარე; - წყალაღება არ ხდება; - ნაკადის მახასიათებლები, კავშირი გრუნტის წყლებთან სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზეგავლენის არ არსებობას; - კალაპოტის უწყვეტობა შენარჩუნებულია.
ჰიდროქიმიური პარამეტრები/მახასიათებლები	ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითად ნორმის ფარგლებშია.
ჰიდრობიოლოგიური მახასიათებლები (საბაზისო ინფორმაცია)	<ul style="list-style-type: none"> - მდინარესა და მის ნაპირებზე გვხვდება მრავალი გადამფრენი, მოზამთრე და მოზუდარი ფრინველი. - ტერიტორიაზე გავრცელებულია მრავალი ზურმუხ-ტის სახეობა და ჰაბიტატი, მათ შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია, გარდა ამისა ტერიტორიას გააჩნია UNESCOს სტატუსი.
შეფასების ნაწილი	
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
ზეწოლის სახეები	წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან
არსებული ჰიდროქიმიური მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> - ზდკ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამომიუმის იონის შემთხვევაში ზაფხულის სინჯში – 2.0 ზდკ. - აფხულში და შემოდგომით მდინარის კლასიფიკაცია იყო: ჰიდროკარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი.
არსებული ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> - ლურჯ-მწვანე მცენარეების სიმრავლე მდინარეში, ხოლო შესართავთან წყალი შავი იყო ტორფნარის ზემოქმედების გამო; - კოლხური ტყის ფიტოპათოლოგიური მდგომარეობა საკმაოდ საყურადღებოა.
დასკვნა/განსაზღვრული სტატუსი შეფასებაზე დაყრდნობით	

არსებული ეკოლოგიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/ კარგი ჩარჩო დირექტივის მიხედვით – მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტის ხარისხის ელემენტების მნიშვნელობები უმნიშვნელოდ არის შეცვლილი, რაც ადამიანის საქმიანობითაა გამოწვეული და მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება იმ მნიშვნელობებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, წყლის ობიექტის მოცემულ ტიპთან ასოცირდება მასზე რაიმე სახის ზემოქმედების არარსებობის პირობებში.
არსებული ქიმიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/ კარგი ჩარჩო დირექტივის მიხედვით – ტემპერატურა, ჟანგბადის ბალანსი, pH, მჟავათა განეიტრალების უნარი და მარილიანობის ხარისხი არ სცილდება იმ დადგენილი დიაპაზონის ფარგ-ლებს, რაც უზრუნველყოფს ტიპოსპე-ციფიკური ეკოსისტემის ფუნქციონირებას და ხარი სხის ბიოლოგიური ელემენტებისათვის ზემოაღნიშნული მნიშვნელობების მიღწევას.
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
რისკის კატეგორია	ურისკო
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	
ძირითადი	არ საჭიროებს
დამატებითი	- ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
მონიტორინგის პროგრამის საჭიროება	აუცილებელი

წყლის ობიექტი 5. პალიასტომის ტბა

აღწერილობითი ნაწილი	
გეოგრაფიული დასახელება	პალიასტომის ტბა
აუზი/ეკორეგიონი	ხმელთაშუა ზღვის აუზი/კავკასიის ეკო რეგიონი
წყლის ობიექტის კატეგორია	ტბა
მორფომეტრიული მახასიათებლები	სარკის ფართობი – 18.2 კმ ² , მაქსიმალური სიღრმე – 3.2 მ, წყლის მოცულობა – 52.0 მლნ მ ³
სიციო-ეკონომიკური მნიშვნელობა	ტურისტულ-რეკრეაციული
ჰიდროლოგიური რეჟიმი	<ul style="list-style-type: none"> - წყალადება არ ხდება; - წყლის დონეები, კავშირი გრუნტის წყლებთან, სანაპირო ხაზის კონფიგურაცია და სტრუქტურა სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზეგავლენის არ არსებობას; - წყლის უწყვეტობა შენარჩუნებულია; - ფსკერული ნალექების დინამიკის შემცირება.
ჰიდროქიმიური პარამეტრები/მახასიათებლები	ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითადად ნორმის ფარგლებშია.
ჰიდრობიოლოგიური მახასიათებლები (საბაზისო ინფორმაცია)	<p>პალიასტომის ტბის ფოტოპლანქტონი არ გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნებით.</p> <p>სახეობათა შორის რიცხოვნობის მიხედვით დომინირებდა <i>Anabaena sp.</i> 2.9 მლნ უჯ/ლ-ით, რამაც ფიტოპლანქტონის რიცხოვნობის 39,21 % შეადგინა. ბიომასის მიხედვით დომინირებდა <i>Volvox sp.</i> 754.1 მგ/მ³, ის მიეკუთვნება მწვანე წყლამცენარეებს (<i>Chlorophyceae</i>) - მან საერთო ბიომასის 86.2 % -იან ნიშნულს მიაღწია.</p>
შეფასების ნაწილი	
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
ზეწოლის სახეები	<ul style="list-style-type: none"> - წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან - წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება ურბანული ჩამდინარე წყლებით;
არსებული ჰიდროქიმიური მდგომარეობა	- ზდკ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამომიუმის იონის შემთხვევაში. ზდკ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამომიუმის იონის შემთხვევაში, ზაფხულის სინჯში – 7.1ზდკ. წყლის ჯგუფი ზაფხულში და შემოდგომაზე განსხვავებულია. ზაფხულში იყო ქლორიდული კლასი, ნატრიუმის ჯგუფი,მესამე ტიპი, შემოდგომით – ქლორიდული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი.
არსებული ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა	- საკვლევ პერიოდში პალიასტომის ტბის მიკროწყალმცენარეთა რიცხოვნობა იყო 7.4 მლნ უჯრ/ლ, ხოლო ბიომასა 874.56 მგ/მ ³ . დაფიქსირდა წყალსატევის „ყვავილობა“, რაც იმას მიანიშნებს, რომ ტბაში ევრტროფიკაციის პროცესები აღინიშნება;

	<ul style="list-style-type: none"> - მიღებული შედეგების მიხედვით პალიასტომის ტბაზე აღინიშნება პლანქტონური უხერხემლოების დაბალი რაოდენობა და შესაბამისად საკვები ბაზის სიმცირე, რაც ტბაში მიმდინარე ევტროფული პროცესებით შეიძლება იყოს გამოწვეული; - პალიასტომის ტბის ბენტოსური უხერხემლოები არ გამორჩევა ბიომრავალფეროვნებით; - პალიასტომის ტბის ნაპირებზე შეინიშნება ტყის ეკოსისტემების (კოლხური ბზის, ჰარტვისის მუხის და ლაფნის და თელას) მდგრადი ფიტოსანიტარული მდგომარეობის გაუუარესება ზოგიერთ ადგილებში; - ბოლო წლები გადამფრენი ფრინველების შედარებით სიმცირეა.
დასკვნა/განსაზღვრული სტატუსი შეფასებაზე დაყრდნობით	
არსებული ეკოლოგიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/ კარგი ჩარჩო დირექტივის მიხედვით – მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტის ხარისხის ელემენტების მნიშვნელობები უმნიშვნელოააა შეცვლილი, რაც ადამიანის საქმიანობითაა გამოწვეული და მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავება იმ მნიშვნელობებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, წყლის ობიექტის მოცემულ ტიპთან ასოცირდება მასზე რაიმე სახის ზემოქმედების არარსებობის პირობებში.
არსებული ქიმიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/ კარგი ჩარჩო დირექტივის მიხედვით – ტემპერატურა, ჟანგბადის ბალანსი, pH, მჟავათა განეიტრალების უნარი, გამჭვირვალობა და მარილი-ანობის ხარისხი არ სცილდება დადგენილი დიაპაზონის ფარგლებს, რაც უზრუნველყოფს ტიპოს პეციფიკური ეკოსისტემის ფუნქციონირებას და ხარისხის ბიოლოგიური ელემენტებისათვის შესაბამისი მნიშვნელობების მიღწევას უზრუნველყოფს.
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
რისკის კატეგორია	ურისკო
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	
ძირითადი	არ საჭიროებს
დამატებითი	<ul style="list-style-type: none"> - ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
მონიტორინგის პროგრამის საჭიროება	აუცილებელი

წყლის ობიექტი 5. იმნათის ტბა

აღწერილობითი ნაწილი	
გეოგრაფიული დასახელება	იმნათის ტბა
აუზი/ეკორეგიონი	ხმელთაშუა ზღვის აუზი/კავკასიის ეკო რეგიონი
წყლის ობიექტის კატეგორია	ტბა
მორფომეტრიული მახასიათებლები	სარკის ფართობი 0.08 კმ ² -ის ტოლია, მაქსიმალური სიღრმე 2 მ, წყლის მოცულობა 0.13 კმ ³ .
სიციო-ეკონომიკური მნიშვნელობა	ტურისტულ-რეკრეაციული
ჰიდროლოგიური რეჟიმი	- წყალაღება არ ხდება. - წყლის დონეები, კავშირი გრუნტის წყლებთან, სანაპირო ხაზის კონფიგურაცია და სტრუქტურა თითქმის სრულად შეესაბამება ზეგავლენის არ არსებობას.
ჰიდროქიმიური პარამეტრები/მახასიათებლები	ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითადად ნორმის ფარგლებშია.
ჰიდრობიოლოგიური მახასიათებლები (საბაზისო ინფორმაცია)	- იმნათის ტბის და ჭაობის წარმოადგენს მნიშვნელოვან ობიექტს კოლხეთის ეროვნული პარკის ჰიდროლო-გიურ ქსელში, იგი ერთერთი საყურადღებო ობიექტია იუნესკოს კონვენციისათვის და ასევე წარმოადგენს მრავალი სახეობის ადგილსამყოფელს; - კარგი საკვები ბაზაა ტბის ბიოცენოზის კვებით ჯაჭვში არსებულ სხვა ცოცხალ ორგანიზმებისათვის; - იმნათის ტბაზე ზოოპლანქტონი წარმოდგენილია თევზების საკვები ბაზის მნიშვნელოვანი წარმომადგენლებით. ტბაში დომინირებს ულვაშტოტიანი კიბოსნაირები, ისინი მთლიანი ზოოპლანქტონის რიცხოვნობის 72% და ბიომასის თითქმის 90% შეადგენენ. საკვები ბაზის როდუქტიულობის თვალსაზრისით, ტბა საკმაოდ ღარიბია – ანუ თევზებისათვის არცთუ ხელსაყრელია.
შეფასების ნაწილი	
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
ზეწოლის სახეები	- წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან; - წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება ურბანული ჩამდინარე წყლებით;
არსებული ჰიდროქიმიური მდგომარეობა	- ზღვ-ზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ამომიუმის იონის შემთხვევაში: 1.2 ზღვ, ზაფხულში და 1.1 ზღვ, შემოდგომაზე. ზაფხულში და შემოდგომით წყლის კლასიფიკაცია უცვლელია: ჰიდროკარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი. მაგრამ მკვეთრად იცვლება pH სიდიდე. ზაფხულში – 6.9, შემოდგომით – 5.1, რაც ნორმაზე ბევრად დაბალია.
არსებული ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა	- იმნათის ტბის ფოტიპლანქტონი გამოირჩეოდა სახეობრივი მრავალფეროვნებით. ჩვენს მიერ დაფიქსირდა 6 განყოფილების 35 სახეობა. მათ შორის

	<p>ყველაზე მრავალფეროვანი მწვანეების (<i>Chlorophyta</i>) ჯგუფის წარმომადგენლებია;</p> <ul style="list-style-type: none"> - საკვლევ პერიოდში იმნათის ტბის მიკროწყალმცენარეთა რიცხოვნობა იყო 321 937 უჯრ/ლ, ხოლო ბიომასა 677.36 მგ/მ³, რაც ტბის ნორმალურ მდგომა-რეობაზე მიუთითებს. იმნათის ტბის მიკროწყალ-მცენარეები, კარგი საკვები ბაზაა ტბის ბიოცენოზის კვებით ჯაჭვში არსებულ სხვა ცოცხალ ორგანიზმებისათვის; - ფიტოპლანქტონის რიცხოვნობის და ბიომასის რაოდენობის მიხედვით არ დაფიქსირებულა წყლის “ყვავილობა”; - იმნათის ტბა და ჭაობი მრავალი გადამფრენი, მოზამთრე და მოზუდარი ფრინველების კარგი თავშეყრის ადგილია; - ტბა წარმოადგენს ზურმუხტის ქსელში შემავალი ტერიტორიას, სადაც მრავალდაა ზურმუხტის სახეობები და ჰაბიტატები.
დასკვნა/განსაზღვრული სტატუსი შეფასებაზე დაყრდნობით	
არსებული ეკოლოგიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/ კარგი ჩარჩო დირექტივის მიხედვით – მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტის ხარისხის ელემენტების მნიშვნელობები მნიშვნელოდ არის შეცვლილი, რაც ადამიანის საქმიანობითაა გამოწვეული და მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება იმ მნიშვნელობებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, წყლის ობიექტის მოცემულ ტიპთან ასოცირდება მასზე რაიმე სახის ზემოქმედების არარსებობის პირობებში.
არსებული ქიმიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/ კარგი ჩარჩო დირექტივის მიხედვით – ტემპერატურა, ჟანგბადის ბალანსი, pH, მჟავათა განეიტრალების უნარი, გამჭვირვალობა და მარილიანობის ხარისხი არ სცილდება დადგენილი დიაპაზონის ფარგლებს, რაც უზრუნველყოფს ტიპოსპეციფიკური ეკოსისტემის ფუნქციონირებას და ხარისხის ბიოლოგიური ელემენტებისათვის შესაბამისი მნიშვნელობების მიღწევას.
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
რისკის კატეგორია	ურისკო
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	
ძირითადი	არ საჭიროებს
დამატებითი	<ul style="list-style-type: none"> - ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
მონიტორინგის პროგრამის საჭიროება	აუცილებელი

წყლის ობიექტი 6. ნაზადას ტბა

აღწერილობითი ნაწილი	
გეოგრაფიული დასახელება	ნაზადას ტბა
აუზი/ეკორეგიონი	ხმელთაშუა ზღვის აუზი/კავკასიის ეკო რეგიონი
წყლის ობიექტის კატეგორია	ტბა
მორფომეტრიული მახასიათებლები	სარკის ფართობი 0.18 კმ ² შეადგენს, მაქსიმალური სიღრმე – 1.8 მ. წყლის მოცულობა – 0.26 კმ ³
სიციო-ეკონომიკური მნიშვნელობა	ტურისტულ-რეკრეაციული
ჰიდროლოგიური რეჟიმი	- წყალაღება არ ხდება; - წყლის დონეები, კავშირი გრუნტის წყლებთან, სანაპირო ხაზის კონფიგურაცია და სტრუქტურა სრულად ან თითქმის სრულად შეესაბამება ზეგავლენის არ არსებობას.
ჰიდროქიმიური პარამეტრები/მახასიათებლები	ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითადად ნორმის ფარგლებშია.
ჰიდრობიოლოგიური მახასიათებლები (საბაზისო ინფორმაცია)	<p>- ნაზადას ტბაზე ბენტოსური უხერხემლოები კვლევას დაფიქსირდა მხოლოდ 5 სახეობა: <i>Viviparus contectus</i>, <i>Ancylus lacustris</i>, <i>Sphaerium rivicola</i>, <i>Tubificoides sp.</i> და <i>Nematoda sp.</i> რიცხოვნობით ნაზადას ტბაზე დომინირებენ ოლიგოქეტები, მათი რიცხოვნობა შეადგენს 3680 ინდ.მ-2, ხოლო ბიომასა 3,816 გ.მ-2, ისინი წარმოადგენენ მთელი ბენტოფაუნის 87%-ს, ხოლო ბიომასით ჭარბობს მოლუსკები და მთლიანი ბიომასის 65% შეადგენენ.</p> <p>- ფიტოპლანქტონის რიცხოვნობის და ბიომასის რაოდენობის მიხედვით არ დაფიქსირებულა წყლის „ყვავილობა“.</p> <p>- მრავლადაა გადამფრენი, მოზამთრე და მოზუდარი ფრინველები;</p> <p>- საკმაოდ მრავალფეროვანია იქთიოფაუნაც;</p> <p>- აქ ბინადრობს ინვაზიური სახეობა ნუტრია (<i>Myocastor coypus</i>), რომელმაც შესაძლოა განდევნოს და შეუქმნას პრობლემა სხვა სახეობებს.</p> <p>- ტერიტორია ასევე შედის ზურმუხტის ქსელში და აქ გვხვდება ზურმუხტის სახეობების და ჰაბიტატები. აქ ხარობს ჭაობის ჯადვარი (<i>Epipactis palustris</i>). სფაგნუმიან ტორფნარებზე იზრდება გლობალური წითელი ნუსხის 8 სახეობა: კოსტელეტსკია (<i>Kosteletzkya pentacarpos</i>), სამეფო გვიმრა (<i>Osmunda regalis</i>), ჯადვარი (<i>Spiranthes sinensis (amoena)</i>), თეთრი რინხოსპორა (<i>Rhynchospora alba</i>), ხერხა (<i>Cladium mariscus</i>), წყლის სამყურა (<i>Menyanthes trifoliata</i>), ჭაობის ჯადვარი (<i>Epipactis palustris</i>), მედვედევის რამფიკარპა (<i>Rhamphicarpa medwedewii</i>).</p> <p>- ინვაზიური სახეობებიდან სფაგნუმიან ტორფნარებზე დაფიქსირებულია შემდეგი სახეობები:</p>

	<i>Hydrocotyle vulgaris, Hypericum mutilum, Polygonum thunbergii.</i>
შეფასების ნაწილი	
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
ზეწოლის სახეები	- წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან; - წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება ურბანული ჩამდინარე წყლებით.
არსებული ჰიდროქიმიური მდგომარეობა	ზაფხულში და შემოდგომით წყლის კლასიფიკაცია არ იცვლება: კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი.
არსებული ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა	ზაფხულში და შემოდგომით წყლის კლასიფიკაცია არ იცვლება: კარბონატული კლასი, კალციუმის ჯგუფი, მესამე ტიპი.
დასკვნა/განსაზღვრული სტატუსი შეფასებაზე დაყრდნობით	
არსებული ეკოლოგიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/კარგი ჩარჩო დირექტივის მიხედვით – მოცემული ტიპის ზედაპირული წყლის ობიექტის ხარისხის ელემენტების მნიშვნელობები უმნიშვნელოდ არის შეცვლილი, რაც გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით და მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება იმ მნიშვნელობებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ასოცირდება წყლის ობიექტის მოცემულ ტიპთან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების არარსებობის პირობებში.
არსებული ქიმიური სტატუსი	კარგი წყლის რესურსების მართვის კანონის მიხედვით/კარგი ჩარჩო დირექტივის მიხედვით – ტემპერატურა, ჟანგბადის ბალანსი, pH, მჟავათა განეიტრალების უნარი, გამჭვირვალობა და მარილი-ანობის ხარისხი არ სცილდებიან დადგენილი დიაპაზონის ფარგლებს, რაც უზრუნველყოფს ტიპოსპეციფიკური ეკოსისტემის ფუნქციონირებას და ხარისხის ბიოლოგიური ელემენტებისათვის შესაბამისი მნიშვნელობების მიღწევას.
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
რისკის კატეგორია	ურისკო
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	
ძირითადი	არ საჭიროებს
დამატებითი	- ბიომეურნეობების დაარსების ხელშეწყობა - მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
მონიტორინგის პროგრამის საჭიროება	აუცილებელი

წყლის ობიექტი 7. ზღვის აკვატორია

აღწერილობითი ნაწილი	
გეოგრაფიული დასახელება	შავი ზღვის აკვატორია
აუზი/ეკორეგიონი	ხმელთაშუა ზღვის აუზი/კავკასიის ეკორეგიონი
წყლის ობიექტის კატეგორია	შავი ზღვის აკვატორია
მორფომეტრიული მახასიათებლები	ფართობი 15 276 ჰექტარი, სიგრძე – სანაპირო ხაზიდან 11 კმ.
სიციო-ეკონომიკური მნიშვნელობა	ტურისტულ-რეკრეაციული
ჰიდროლოგიური რეჟიმი	- დონეების სტაბილური რეჟიმი, წყლის დინების ციკლო-ნურ ბრუნვა, 1-3 ბალის სიმძლავრის ღელვა, მარილიანობა 17-18 ‰.
ჰიდროქიმიური პარამეტრები/მახასიათებლები	ჰიდროქიმიური პარამეტრები ძირითადად ნორმის ფარგლებშია. მძიმე მეტალები (სპილენძი, ტყვი და კადმიუმი), ნორმის ფარგლებშია.
ჰიდრობიოლოგიური მახასიათებლები / (საბაზისო ინფორმაცია)	- შავი ზღვის მსხვილი ძუძუმწოვრები (ზღვის ღორი, თეთრგვერდა დელფინი და აფალინა), იქტიოლოგიური მრავალფეროვნება. - ბენტოსური ჰაბიტატები
შეფასების ნაწილი	
დაბინძურების ძირითადი წყაროები	არ არის
ზეწოლის სახეები	
არსებული ჰიდროქიმიური მდგომარეობა	შავი ზღვაში, მთავრი იონების საშუალოფარდობითი შემცველობაა (% მარილიანობიდან): Cl- 54,1; SO ₄ - 28,2; HCO ₃ - 1,0, Na+ 30,8; K+ 1,3; Ca ₂ + 1,3 და Mg ₂ + 3,4%. მისი ჰიდროქიმიური თავისებურებაა ქიმიური შედგენილობის ცვლილება სიღრმის მიხედვით და გოგირდწყალბადის არსებობა. შავი ზღვის, საშუალო მარილიანობა სიღრმის მიხედვით მატულობს: ზედაპირზე, 100 და 1000 მეტრ სიღრმეში, შესაბამისად ტოლია: 18, 20 და 22‰ (პრომილე). სიღრმის მიხედვით იცვლება შავი ზღვის ტუტეობაც. pH სიდიდე ზედაპირზე, 100 და 1000 მეტრზე შესაბამისად ტოლია 8,39, 7,88 და 7,77. გახსნილი ჟანგბადის საშუალო მნიშვნელობა ზედაპირზე ტოლის 8 მგ/ლ, 200 მ-ზე – 0,10, ხოლო უფრო ქვევით – 0. ქვედა ფენებში ჟანგბადის შემცირების გამო, მცირდება ჟანგვითი პოტენციალი და შესაბამისად აღდგენითი არე იქმნება. ამ მიზეზით სიღრმეში ხდება ნიტრატ იონის აღდგენა ამონიუმის იონამდე, რაც შესაბამისად მათ სიღრმით განაწილებაში აისახება. თუ ზედაპირზე ნიტრატ იონის საშუალო კონცენტრაცია 0,1 მგ/ლ ტოლია, 500 მეტრზე – 0. ზედაპირზე ამონიუმის იონის საშუალო კონცენტრაცია 0,07 მგ/ლ, 500 მეტრზე – 0,7 მგ/ლ, ხოლო 1000 მეტრზე – 1 მგ/ლ. 150 მეტრის ქვევით იწყება გოგირდწყალბადის ფენა. 150

	მეტრზე მისი საშუალო კონცენტრაციაა 0.2 გ/ლ, 200 მეტრზე – 0.8 მგ/ლ, 1000 მეტრზე – 8.69მგ/ლ.
არსებული ჰიდრობიოლოგიური მდგომარეობა	შავი ზღვის მსხვილი ძუძუმწოვრები (ზღვის ღორი, თეთრგვერდა დელფინი და აფალინა), იქტიოლოგიური მრავალფეროვნება. ბენტოსური ჰაბიტატები
დასკვნა/განსაზღვრული სტატუსი შეფასებაზე დაყრდნობით	
არსებული ეკოლოგიური სტატუსი	კარგი – მნიშვნელოვანი ცვილებები არ ფიქსირდება
არსებული ქიმიური სტატუსი	კარგი – მნიშვნელოვანი ცვილებები არ ფიქსირდება
დაბინძურების ძირითადი წყაროები	- ზღვაში სხვადასხვა სახის ტრანსპორტის გადაადგილება; - საზღვაო მყარი ნარჩენებით დაბინძურება
რისკის კატეგორია	მცირე რისკის შემცველი
გარემოსდაცვითი ღონისძიებები	
ძირითადი	არ საჭიროებს
დამატებითი	–
მონიტორინგის პროგრამის საჭიროება	აუცილებელი



6.3 წყლის ობიექტების მართვის გეგმა

მდინარე ჭურია და მისი შენაკადების მართვის გეგმა

გრძელვადიანი მიზანი		მდინარე ჭურია და მის შენაკადებში გავრცელებული ჰიდრობიონტების და მდინარესთან კავშირში მყოფი მნიშვნელოვანი სახეობები და ჰაბიტატები დაცულია, ხორციელდება სამეცნიერო კვლევები, მონიტორინგი და ადმინისტრაციის მიერ ტერიტორია იმართება არსებული პრობლემებისა და გამოწვევებიდან გამომდინარე კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსებთან ერთად.				
N	მოკლევადიანი მიზნები	აქტივობა/ქმედება	ინდიკატორი	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი ორგანო	საჭირო რესურსები
1	მდინარე ჭურიაში და მის შენაკადებში ჯანსაღი ჰიდრობიოლოგიური ეკოსისტემების დაცვა და შენარჩუნება	ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, მაკროუხერხემლოების მონიტორინგი და საჭიროებისამებრ კვლევა, საჭიროებისამებრ სპეციალური ღონისძიებების განხორციელება მათი პოპულაციების რიცხოვნობის დასაბალსებლად.	- კვლევის და მონიტორინგის ანგარიშის დოკუმენტები; - ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, მაკროუხერხემლოების სტაბილური მდგომარეობა	ყოველწლიური ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ (თუნდაც სეზონური) კვლევები და მონიტორინგი.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები.
2	წყლის იქთიოფაუნის დაცვა, შენარჩუნება და დაზვებულ ზონებში მდგრადი თევზაობის მონიტორინგი	1. იქთიოლოგიური დეტალური კვლევები; 2. იქთიოლოგიური მონიტორინგი; 3. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სარგებლობის მიზნით დაჭერილი თევზის აღრიცხვა და ინფორმაციის შეგროვება; 4. თევზის დაავადების ან წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში საჭიროებისამებრ დეტალური კვლევა.	1. სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ; 2. რეგულარულად, ყოველწლიურად; 3. რეგულარულად, ყოველწლიურად; 4. საჭიროებისამებრ.	1. იქთიოლოგიური კვლევის ანგარიში; 2. იქთიოლოგიური მონიტორინგის ანგარიში; 3. თევზჭერის ანგარიში ან ინფორმაცია; 4. სპეციალური იქთიოლოგიური კვლევის ანგარიში.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები.

3.	მდ. ჭურიაზე და მის შენაკადების მობინადრე და წყლის მოყვარული ფრინველების დაცვა და კონსერვაცია	გადამფრენი, მოზუდარი და წყლის ფრინველების რეგულარული მონიტორინგი და პერიოდული კვლევა	1. ფრინველების კვლევისა და მონიტორინგის ანგარიშები; 2. სტატისტიკური ფორმები; 3. ინფორმაცია ჭურიაზე ფრინველების შესახებ „ბუნების მატეანეებში“.	1. ფრინველების კვლევები რამდენიმე წელიწადში ერთხელ ან სპეციალური კვლევები საჭიროებისამებრ; 2. მონიტორინგი რეგულარულად ყოველწლიურად; 3. ინფორმაცია სტატისტიკური ფორმებისა და „ბუნების მატეანისათვის“ რეგულარულად, ყოველ კვარტალურად და სეზონურად ადმინისტრაციის ანგარიშებისათვის.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები.
4	მდ. ჭურიას და მის შენაკადებში მობინადრე ძუძუმწოვრების დაცვა და ხელისშეწყობა	ევრაზიული წავის (<i>Lutra lutra</i>) მონიტორინგი და სპეციალური დეტალური კვლევა;	1. წავის მონიტორინგის რეგულარული ყოველწლიური ანგარიში; 2. განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში.	1. ყველა სეზონზე, ყოველწლიურად; 2. საჭიროებისამებრ.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები
5	ინვაზიური სახეობების კონტროლი და მართვა	ინვაზიური სახეობა ნუტრიას (<i>Myocastor coypus</i>) მონიტორინგი და კვლევა, შემდგომ მისი მართვის დოკუმენტის შექმნაც.	1. ნუტრიის კვლევის ანგარიში; 2. ნუტრიის რეგულარული მონიტორინგი; 3. ზემოაღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით მართვის გეგმის მომზადება	1. ერთხელ, დაფინანსების არსებობის შემთხვევაში; 2. რეგულარულად, ყოველწლიურად; 3. რამდენიმე წლის განმავლობაში პერიოდულად განახლება.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	ტბის ნაპირებზე და დაჭაობებულ ადგილებში მრავლავა ინვაზიური მცენარეები ამორფა.
		1. ტბის ნაპირებზე და დაჭაობებულ ადგილებში ამორფას კვლევა ერთიანი კვლევის „ინვაზიური	1. ინვაზიური სახეობების კვლევის ანგარიში; 2. ინვაზიური სახეობების გრძელვადიანი მართვის გეგმა;	1. კვლევა ერთხელ რამდენიმე წლის განმავლობაში; 2. ერთხელ და 5 წლის შემდეგ განახლება;	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო;	ტბის ნაპირებზე და დაჭაობებულ ადგილებში მრავლავა

		სახეობების შესწავლა“ ფარგლებში; 2. ინვაზიური სახეობების მართვის დოკუმენტის მომზადება და იმპლემენტაცია.	3. ინვაზიური ამორფას შემცირებული პოპულაციის მონიტორინგი.	3. ყოველწლიურად, რეგულარულად.	კოლხეთის ეროვნული პარკი.	ინვაზიური მცენარეები ამორფა.
6	UNESCO-ს კონვენციით და Emerald-ზურმუხტის ტერიტორიის დაცვა, ზურმუხტის ქსელში შეტანილი და სახეობების და ჰაბიტატების	ტერიტორია წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიას მნიშვნელოვანი სახეობების და მათი ჰაბიტატების გამო, დაცულია UNESCO-ს კონვენციით აღიარებულია მათი მსოფლიო მნიშვნელობა.	1. ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის იდენტიფიკაცია, სახეობების და ჰაბიტატების დეტალური გამოკვლევა; 2. ზოგიერთი სახეობებიდან და ჰაბიტატების მონიტორინგი	1. ერთხელ მოკლევადიანი კვლევა; 2. რეგულარულად, ყოველწლიურად.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები.
7	მდინარე ჭურას და მისი შენაკადების ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება და სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის გამოსწორება და მართვის გაუმჯობესება	არასისტემური მოვლენების და სტიქიური უბედურებების მონიტორინგი, ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზარალის აღწერით	1. არასისტემური მოვლენების და სტიქიური უბედურებების მონიტორინგის შედეგების ანგარიში; 2. ინფორმაცია „ბუნების მატანეში“. 3. სტიქიური უბედურებების და არასისტემური მოვლენების ზარალის შესამცირებლად განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის დოკუმენტი.	1. მონიტორინგი რეგულარულად, ყოველწლიურად; 2. ყოველწლიურად; 3. იმ შემთხვევაში თუ მოხდა მსგავსი მოვლენა.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები.
8	მდინარე ჭურას და მისი შენაკადების წყლის დონეების და რეჟიმის შენარჩუნება (ზედაპირული, მიწისქვეშა)	1. შესაძლო/პერსპექტიული წყალაღების გავლენის დეტალური აღწერა; 2. მდინარე ჭურას და მისი შენაკადების წყლის რაოდენობრივ მახასიათებლების ცვლილების აღწერა.	განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის დოკუმენტი	მდინარის აუზის წყლის ნაკადების უწყვეტი მონიტორინგი გარდამავალი წყლების ჩათვლით	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი.

9	წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან	შემთხვევითი დაბინძურების მასშტაბების და სტრუქტურის დადგენა	მონიტორინგის შედეგები	სისტემური მონიტორინგი 3 თვეში ერთხელ; ოპერატიული მონიტორინგი – საჭიროებისამებრ.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი.
10	წყლის ხარისხის შესაძლო გაუარესება აუზში არსებული ან პერსპექტიული ობიექტიდან	დაბინძურების მასშტაბების და სტრუქტურის დადგენა	განხორციელებული საქმიანობის ანგარიშის დოკუმენტი	სისტემური მონიტორინგი 3 თვეში ერთხელ; ოპერატიული მონიტორინგი – საჭიროებისამებრ	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი.

მდინარე ცივი და მისი შენაკადების მართვის გეგმა

გრძელვადიანი მიზანი		მდინარე ცივი და მის შენაკადებში გავრცელებული ჰიდრობიონტების და მდინარესთან კავშირში მყოფი მნიშვნელოვანი სახეობები და ჰაბიტატები დაცულია, ხორციელდება სამეცნიერო კვლევები, მონიტორინგი და ადმინისტრაციის მიერ ტერიტორია იმართება არსებული პრობლემებისა და გამოწვევებიდან გამომდინარე კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის რესურსებთან ერთად.				
N	მოკლევადიანი მიზნები	აქტივობა/ქმედება	ინდიკატორი	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი ორგანო	საჭირო რესურსები
1	მდინარე ცივი და მის შენაკადებში ჯანსაღი ჰიდრო-ბიოლოგიური ეკოსისტემების დაცვა და შენარჩუნება	ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, მაკროუხერხემლოების მონიტორინგი და საჭიროებისამებრ კვლევა, ასევე საჭიროებისამებრ სპეციალური ღონისძიებების განხორციელება მათი პოპულაციების რიცხოვნობის დასაბალსებლად.	- კვლევის და მონიტორინგის ანგარიშის დოკუმენტები; - ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, მაკროუხერხემლოების სტაბილური მდგომარეობა.	ყოველწლიური ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ (თუნდაც სეზონური) კვლევები და მონიტორინგი	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები.
2	წყლის იქთიოფაუნის დაცვა, შენარჩუნება და დაშვებულ ზონებში მდგრადი თევზაობის მონიტორინგი	1. იქთიოლოგიური დეტალური კვლევები; 2. იქთიოლოგიური მონიტორინგი; 3. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სარგებლობის მიზნით დაჭერილი თევზის აღრიცხვა და ინფორმაციის შეგროვება; 4. თევზის დაავადების ან წარმოქმნილი გარკვეული პრობლემების შემთხვევაში საჭიროებისამებრ დეტალური კვლევა;	1. 3-4 წელიწადში ერთხელ; 2. რეგულარულად, ყოველწლიურად; 3. რეგულარულად, ყოველწლიურად; 4. საჭიროებისამებრ	1. იქთიოლოგიური კვლევის ანგარიში; 2. იქთიოლოგიური მონიტორინგის ანგარიში; 3. თევზჭერის ანგარიში ან ინფორმაცია; 4. სპეციალური იქთიოლოგიური კვლევის ანგარიში	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები.
3	მდ. ცივი და მის შენაკადების მობინადრე და წყლის	გადამფრენი, მობუდარი და წყლის ფრინველების რეგულარული მონიტო-	1. ფრინველების კვლევისა და მონიტორინგის ანგარიშები;	1. ფრინველების კვლევები რამდენიმე წელიწადში	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.	სახელმწიფო, დონორი,

	მოყვარული ფრინველების დაცვა და კონსერვაცია	რინგი და პერიოდული კვლევა	2. სტატისტიკური ფორმები; 3. ინფორმაცია ცივზე ფრინველების შესახებ „ბუნების მატთანებში“.	ერთხელ ან სპეციალური კვლევები საჭიროებისამებრ; 2. მონიტორინგი რეგულარულად ყოველწლიურად; 3. ინფორმაცია სტატისტიკური ფორმებისა და „ბუნების მატთანისათვის“ რეგულარულად, ყოველწლიურად, ყოველკვარტალურად და სეზონურად ადმინისტრაციის ანგარიშებისათვის.	კოლხეთის ეროვნული პარკი.	დაქირავებული ექსპერტები.
4	მდ. ცივის და მის შენაკადებში მოზინადრე ძუძუმწოვრების დაცვა და ხელისშეწყობა	ევრაზიული წავის (Lutra lutra) მონიტორინგი და სპეციალური დეტალური კვლევა	1. წავის მონიტორინგის რეგულარული ყოველწლიური ანგარიში; 2. განხორციელებული კვლევის დეტალური ანგარიში	1. ყველა სეზონზე, ყოველწლიურად; 2. საჭიროებისამებრ.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	სახელმწიფო, დონორი, დაქირავებული ექსპერტები.
5	ინვაზიური სახეობების კონტროლი და მართვა	1. ამორფას და ოქროწყვეპლას კვლევა ერთიანი კვლევის „ინვაზიური სახეობების შესწავლა“ ფარგლებში; 2. ინვაზიური სახეობების მართვის დოკუმენტის მომზადება და იმპლემენტაცია	1. ინვაზიური სახეობების კვლევის ანგარიში; 2. ინვაზიური სახეობების გრძელვადიანი მართვის გეგმა; 3. ინვაზიური ამორფას შემცირებული პოპულაციის მონიტორინგი	1. კვლევა ერთხელ რამოდენიმე წლის განმავლობაში; 2. ერთხელ და 5 წლის შემდეგ განახლება; 3. ყოველწლიურად, რეგულარულად.	სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო; კოლხეთის ეროვნული პარკი.	ტბის ნაპირებზე და დაჭაობებულ ადგილებში მრავლაა ინვაზიური მცენარეები ამორფა.
